


საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კაფეირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



№19
2013

უურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესრეგის საფუძველზე, რაც საჭირო ცელიღებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო უურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი

უურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის მაღით აკრძალულია.
უურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),
ნოდარ ზედელაშვილი (აასუხისმგებელი მდივანი),
გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნიკო ლეონიძე, თეა მამარდაშვილი, ტარიელ სტურუა, ნოდარ ცხვირავაშვილი, ალექსი ჭედია, ნინო წერეთელი.

**რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.
საკონტაქტო ტელეფონები:
299-00-35, 299-94-46, 293-43-10
577-52-31-31, 577-50-29-84**

ISSN 1987-7449

У საქართველოს ილია ჭავჭაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

მეცნიერება

1.	ლალი მიქაილი – წამალი და ალკოჰოლი	4
2.	ლილი ბგაზავა, მანანა მაისაშვილი – პოლინოზი	9
3.	ზონაიდა ჭარტურია - ფარმაცევტული დახმარების კონცეფცია	12

ლიტერატურა, მომღებები

4.	ომარ შედრა – დუბნა, მოსკოვის ოლქი (1966-1970 წწ.)	20
5.	ნუბჩარ ღვრეთელი – „სახელი ქვეყნადა რჩება“	32

ლიტერატურა, პროზა

6.	ნინო ჩხეიძე – საქართველოს სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე	39
7.	ბიბი მერაბიშვილი – ხალხი და ხელისუფალი	43
	იტალიური ეზო	46
8.	ნუბჩარ ერგემლიძე – არმაგედონის მათრახი (რომანი)	55
9.	ნუბჩარ ღვრეთელი – გზები წყვდიადში (რომანი)	62

საზოგადო ახალგაზრდობის შემოქმედება

10.	ნათია პახიძე – ლექსები	84
11.	მარიამ ყაზიშვილი – ლექსები	86
12.	გვანცე ჩიქობაგა – ლექსი	88

ლიტერატურა, თარგმანები

13.	ანა ახმატოვა – ლექსები	90
-----	-------------------------------	----

ლიტერატურა, პრეზია

14.	ნუბჩარ ღვრეთელი – ლექსები	102
-----	----------------------------------	-----

ნსობნა

14.	კაცი, რომელიც დააკლდა ყველას	106
-----	-------------------------------------	-----

ვამალი და ალკოჰოლი

ალკოჰოლი უარყოფით გავლენას ახდენს ბევრი პრეპარატის თერაპიული ეფექტის გამოვლენაზე და წარმოადგენს საშიში გართულებების მიზეზს.

ორგანიზმზე ალკოჰოლისა და სამკურნალწამლო საშუალებათა ურთიერთ ზემოქმედების ეფექტი დამოკიდებულია სისხლში მათ კონცენტრაციაზე, სამკურნალწამლო საშუალებათა ფარმაკოდინამიურ თვისებებზე, დოზასა და შეყვანის დროზე. მცირე რაოდენობით (5%-ძეგ) ალკოჰოლი ზრდის კუჭის წვენის გამოყოფას, ხოლო 30%-ზე მეტი კონცენტრაციით არაჩეულებრივად ამცირებს მის გამოყოფას და აფერხებს საჭმლის მონელების პროცესებს. ბევრი სამკურნალწამლო ნივთიერების შეწოვა იზრდება მათი ეთანოლში ხსნადობის მომატების შედეგად. ლიპოფილური თვისებების გამო ალკოჰოლი ადგილებს სამკურნალწამლო ნივთიერებათა გასვლას უჯრედის ფოსფოლიპიდური მემბრანებში, ხოლო დიდი კონცენტრაციით, აზიანებს რა კუჭის ლორწოვან გარსს, უფრო მეტად ზრდის წამლის შეწოვას. წარმოადგენს რა სისხლძარღვების გამაფართოებელ საშუალებას, ეთანოლი აჩქარებს სამკურნალო პრეპარატების შეღწევ ას ქსოვილში. მრავალი ფერმენტის დათრგუნვა, რომელიც ხდება ალკოჰოლის მიღების დროს, აძლიერებს წამლების ზემოქმედებას და იწვევს მძიმე ინტოქსიკაციებს სამკურნალის დოზების შეზღუდვის გარეშე.

საც კი. ეს ეხება ნეიროლეპტიკებს, ანალგეტიკებს, ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს, საძილე საშუალებებს, შარდმდენ საშუალებებს, ანტიდეპრესანტებს, ინსულინს, ნიტროგლიცერინს. სამკურნალწამლო პრეპარატების ზემოთჩამოთვლილი ჯგუფების მიღებას ალკოჰოლთან ერთად ახლავს მძიმე მოწამვლები, რომლებიც ხში რად სიკვდილით მთავრდება. სიკვდილი დგება თავის ტვინის სიცოცხლისათვის აუცილებელი ცენტრების, როგორიცაა სასუნთქი და გულსისხლძარღვთა, მკეთრი დათრგუნვის შედეგად. ამასთანავე ეთანოლი ხშირად ემატება შოკის საწინააღმდეგო ინფუზურ ხსნარებს. შევეცადოთ პაციენტისათვის გასაგებ ენაზე ავხსნათ თუ რატომ არ უნდა მივიღოთ რომელიმე სამკურნალო პრეპარატი ალკოჰოლთან ერთად; ალკოჰოლის და მედიკამენტების ურთიერთქმედების მრავალი მაგალითი არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში მახინჯდება ალკოჰოლის ეფექტი, ძლიერდება ან სუსტდება წამლების მოქმედების ეფექტი, ან იცვლება ადამიანის საპასუხო რეაქცია. შედეგი კი ყველთვის ერთია - რთულდება მკურნალობა.

ყველა ალკოჰოლური სასმელები შეიცავს ეთილის სპირტს, რის გამოც არსებობს თრობის განცდა. ამასთანავე ალკოჰოლს აქვს საანესთეზიო ეფექტი, რომელიც ვლინდება ნებისმიერი ორგანიზმის ყველა უჯრედების მიმართ. ორგანიზმში ალკოჰოლი, როგორც

უცხო ნივთიერება, ფერმენტების ზემოქმედებით გადის ბიოტრანსფორმაციას. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები კი წარმოადგენენ მრავალი ქიმიური პროცესების კატალიზატორებს. თავდაპირველად ალკოჰოლდეპიდროგენაზა სპირტს უანგავს ალღეპიდამდე ეს პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარებას. თუ შევანელებთ სპირტის უანგვის პროცესს, მაშინ ალკოჰოლის მიმართ მდგრადობა მცირდება. ასეთი მოქმედება ახასიათებს ნატრიუმის მეტამიზოლს (ანალგინი). მეორე ეტაპზე ალღეპიდდეპიდროგრნაზის ზემოქმედებით აცეტალდეპიდი გარდაიქმნება ძმარმჟავად, რომელიც აქტიურად გამოიყენება ორგანიზმის მიერ ნივთიერებათა ცვლის პროცესში. რაც უფრო სწრაფად წარიმართება ეს პროცესი, მით უფრო ნაკლებად ვიგრძნობთ ალღეპიდისა და შესაბამისად სპირტის მავნე ზემოქმედებას.

მეტრონიდაზოლი, ამანინჯებს ალკოჰოლის ეფექტს, რადგან იგი ანელებს აცეტალდეპიდის გარდაქმნას ძმარმჟავაში. აცეტალდეპიდი გროვდება რა სისხლში, წამლავს ორგანიზმს. ალკოჰოლიზმის მკურნალობის ერთი მეთოდი ეფუძნება ასეთ მექანიზმს. პაციენტს აძლევენ დისულფირამის (Teturam, Esperal და სხვები) ან ციანამიდის შემცველს პრეპარატებს. ეს ნივთიერები ბლოკავენ ფერმენტ ალდეპიდდეპიდროგენაზას და ეთანოლის ბიოტრანსფორმაცია ჩერდება აცეტალდეპიდის წარმოქმნის სტადიაზე, რომელიც იწვევს ორგანიზმის მოწამვლას. მეტრონიდაზოლს ასევე აღმოჩნდა

ალკოჰოლის საწინააღმდეგო ძალიან სუსტი მოქმედება. ამ მიზნით ის არ გამოიყენება. მაგრამ ფართოდ გამოიყენება ანტიბაქტერიული თვისებების გამო. მეტრონიდაზოლით მკურნალობის დროს ალკოჰოლის მცირე დოზამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე მოწამვლა. მაგალითად, როგორიცაა (თავის ტკივილი, კანის სიწითლე, გულისრევა ან ღებინება, თავბრუსხვევა) იგივე შიძლება გამოიწვიოს ალკოჰოლის და ცეფალოსპორინების, ანტიბიოტიკების, ქლორამფენიკოლის, გრიზეოფულვინის და სულფანილამდების ერთდროულმა გამოყენებამ. შესწავლილია ციანამიდების ანტიალკოჰოლური თვისებები.

ცნობილია ალკოჰოლის უჩვეულო ზემოქმედება კლონიდინზე (მაგ. კლოფელინი, ჰემიტრონიდა სხვ.): აღამიანი არა მხოლოდ იმყოფება ღრმა ძილში, არამედ არ ახსოვს არაფერი შემდგომში თუ რა მოუხდა მას მანანდე. ამიტომ, მას ხშირად „იყენებენ“ არადანიშნულებით. სამწუხაროდ, მექანიზმი ამ ურთიერთქმედების არ იციან. ვარაუდით, ეს არის ალკოჰოლისა და კლონიდინის ჯამური ეფექტი.

კოფეინს გააჩნია ფსიქომასტიმულირებელი მოქმედება. ამიტომ იგი აძლიერებს სისხლიდან ჰემატონცეფალური ბარიერის მეშვეობით სპირტის შეღწევას ტვინში, რის გამოც ნასვამ მდგომარობაში აღამიანი თავიდან თითქოს ფხიზლდება, მცირე დროის შემდეგ კი თრობის მდგომარეობა უფრო ძლიერდება. სპირტები წარმოადგენ

უჯრედული მემბრანების ცხიმოვანი კომპონენტების კარგ გამზინელებს, რომელიც ნებსმიერი ნივთიერებებისათვის წარმოადგენს ბარიერს ჯრეში შესაღწევად. ალკოჰოლი ამ დაბრკოლებებში თითქოს აჩენს ნასვრეტებს. ეს განსაკუთრებით საშიშია ტვინის უჯრედებისათვის. როდესაც ერთობლივად მოიხმარება ალკოჰოლური სასმელები და უვნებელი დოზით საძილე პრეპარატები (განსაკუთრებით, ბარბიტურის მჟავას წარმოებულები) შეიძლება წარმოიქმნას სიცოცხლისათვის საშიში - რესპირატორული ცენტრის დათრგუნვა. ასევე სახიფათოა ალკოჰოლის გამოყენება ფსიქოტროპული საშუალებების კიდევ ერთი ჯგუფთან - ანტიდეპრესანტებთან ერთად. თუმცა მხოლოდ მათთან, რომლებიც აინჰიბირებენ ფერმენტ - მონოამინოქსიდაზას. ეს უკანასკნელი კი შელის ადრენალინს. თუ ასეთ წამლებთან ერთად მივიღებთ აკოჰოლს, რომელიც ასტიმულირებს ადრენალინის დამატებით გამოყოფას, ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს გულის მუშაობის საშიში აჩქარება, სისხლძარღვთა სპაზმი არტერიალური წნევის გაზრდილი მაჩვენებლებით. ლუდის და ღვინის ზოგიერთი სახეობა შეიცავს თირამინს რომელსაც აქვს ადრენალინის მსგავსი სტრუქტურა და მოქმედება. ნორმალურ პირობებში ის იშლება ნაწლავებში, მაგრამ მონოამინოქსიდაზის მაინჰიბირებელ წამლების მიღებისას, თირამინი შეიწოვება სისხლსში და შეიძლება გამოიწვიოს წარმოებული ავადმყოფისათვის. პირველი, სისხლში შეაქრის მკვეთრმა ვარდნამ შეიძლება გამოიწვიოს ცნობიერების დაკარგვა. მეორე, სულფანილამიდური პრეპარატები, რომლრბიც ენიშნებათ დაბეტიკებს, თრგუნავენ ალღედვიდეპიდროგენაზას, ეს კი იწვევს სისხლში ტოქსიკური აცეტალდეპიდოს დაგროვებას.

ალკოჰოლის მიღება, ისევე როგორც სტრესული მდგომარეობა, იწვევს პორმონების - კორტიზონის, ალდოსტერონის და სხვათა გამომუშავებას. ალკოჰოლის რეგულარულად მოხმარებისას ორგანიზმი იმყოფება მუდმივი სტრესის პირობებში, ეს, რა თქმა უნდა, ცვლის მის წამლების მიმართ რეაქტიულობას. ბარბიტურატრბის სედატიური ეფექტი მცირდება, მაგრამ იზრდება მათი ტოქსიკურობა; პორმონალური პრეპარატების სამკურნალო დოზა იწვევს გადაჭარბებული დოზის ეფექტს. საგულე გლიკოზიდების გამოყენებამ ალკოჰოლის მიღების ფონზე, შეიძლება გამოიწვიოს გულის რითმის დარღვევა. ნიტროგლიცერინისა და შარდმდენი საშუალებების თერაპევტული ეფექტი კი იცვლება. ალკოჰოლთან ერთად კომბინაციაში, რეზერპინის, მეთილდოფას, პიდრალაზინის და პერიფერიული სისხლძარღვების გამაფართოებელ სამკურნალო ნეტიერებების ან განგლიობლოკა-

ტორების გამოყენებამ, შეიძლება გამოიწვიოს არტერიული წნევის სახითო ვარდნა.

ალკოჰოლის ქრონიკულად მოხმარებისას ხდება იმ ფერმენტების აქტივაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ ალკოჰოლის დაშლას ღვიძლში. ამასთანავე იზრდება სხვა ფერმენტების აქტიურობა, რომლებიც ახორციელებენ ორგანიზმში წამლების გარდაქმნებს და აჩქარებენ მათ დაშლას. მათ მიეკუთვნება საძილეები, ტკივილგამაყუჩებლები, დაბეტის საწინააღმდეგო საშუალებები. ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც მუდმივად მოიხმარენ ალკოჰოლს, სუსტად მგრძნობიარენი არიან სანარკოზო და ტკივილგამაყუჩებელი აგენტების მიმართ.

ალკოჰოლური სასმელების რეულარული მიღება აძლიერებს ღვიძლზე პარაცეტამოლის ტოქსიკურ ზემოქმედებას. ამიტომ, პარაცეტამოლი არ უნდა მიეცეთ ალკოჰოლიზმით დაავადებული პაციენტებს. ამის მიუხდავად, აფთიაქებში ხშირად სთავაზობენ პაციენტებს ნაბახუსევის სინდრომის მოსახსნელად პარაცეტამოლს. ალკოჰოლს საჭმლის მომნელებელი ტრეჭტიდან შეუძლია დააჩქაროს წამლების შეწოვა და ამით ორგანიზმში შექმნას პრეპარატის იმაზე მეტი კონცენტრაცია. ვიდრე ჩვეულებრივი მიღებისას. რასაც მივყავართ დოზის გადაჭარბებასთან. ყოველთვის შეუძლებელია არასასურველი შედეგის თავიდან აცილება.

ალკოჰოლი ახდენს ანტიკოაგულანტების (აცეტილსალიკილის მჟა-

ვა, დიკუმარინი, ნეოდიკუმარინი, სინკუმარი, ფენილინი და სხვ.) მოქმედების პოტენციებას. იგი იმდენად აძლიერებს მათ მოქმედებას, რომ შეიძლება განვითარდეს ძლიერი სისხლდენა და სისხლჩაქცევა შინაგან ორგანოებსა და თავის ტვინში.

ალკოჰოლი მრავალმხრივ გავლენას ახდენს პორმონალური პრეპარატების შეწოვასა და ცვლაზე. კერძოდ, მცირდება ინსულინისა და დიაბეტის სამკურნალო სინთეზური პრეპარატების შაქრის დამწევი თვისება, რის შედაგადაც შეიძლება განვითარდეს დიაბეტური კომა.

განსაკუთრებით დაუშვებელია ალკოჰოლისა და იმ სამკურნალწამლო საშუალებათა მიღება, რომლებიც მოქმედებენ ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციაზე: დამამშვიდებელი, საძილე, კრუნჩხვის საწინააღმდეგო (ბრომიდები, ქლორალჰიდრატი, დიფენინი და სხვ.), ასევე ტრანკვილიზატორი (ქლორდია ზეპოქსიდი, დიაზეპამი, ოქსაზეპამი, მეპრობამატი და სხვ.), ანტიაპისტამინური პრეპარატები და სხვ. არ შეიძლება ალკოჰოლის გამოყენება ნიტროგლიცერინთან ერთად, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს კოლაფსი. ანტიადიაბეტური სულფამიდები, ლევომიცეტინი, გრიზეოფულვინი, მეტრონიდაზოლი იძლევიან ანტაბუსურ ეფექტს (ტეტურამ-ალკოჰოლური რეაქცია), რადგან ირლვევა ორგანიზმში ეთანოლის მეტაბოლიზმი.

ალკოჰოლის გავლენით მცირდება ვიტამინოთერაპიის ეფექტი. ხდება ინაქტივაცია და ქსოვილებში ანტიბი-

ოტიკების კონცენტრაციის შემცირება. ალკოჰოლი აძლიერებს სულფანილამიღებისა და ანტიპელმინტური საშუალებების ტოქსი კურობას, შეუთავსებელია კრუნჩხვის საწინააღმდეგო საშუალებების მიმართ.

დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, რომ სამკურნალწამლო საშუალებებით მკურნალობისას ალკოჰოლის ურაყოფითი გავლენა მრავალფეროვანია და ვლინდება სხვადასხვა ხარისხით. მაგრამ ყველა შემთხვევაში ფარმაკოტერაპიის ეფექტურობა ქვეითდება ან საერთოდ იკარგება.

სამკურნალწამლო პრეპარატების ზემოქმედებაზე შეიძლება გავლენა

მოახდინოს ნივთიერებებმა, რომლებიც ზედება ორგანიზმში მოწევის დროს. ამ დროს ხდება ფენაცეტინის, ანტიპირინის ჟანგვითი მეტაბოლიზმი, რის შედეგადაც მცირდება მათი ეფექტურობა. მოწევა აქვეითებს დექსამეტაზონის, ფუროსემიდის (ლაზიქსი), პროპოქსიფენისა და პერორალური კონტრაცეპტივების თერაპიულ ეფ ექტს. არომატიზირებული სიგარეტების შემადგენლობაში შედის კუმარინები, რომლებიც აძლიერებენ ანტიკოაგულანტების – წარმოებული კუმარინის – მოქმედებას.

**ლალი მიქაი
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი**

პოლინოზი – მცენრეული ალერგია

პოლინოზი მცენარეული მტვრით გამოწვეული ფართოდ გავრცელებული ალერგიული დაავადებაა („პოლენ“ მტვერს ნიშნავს). ის ემართებათ ადამიანებს, რომელებიც მცენარეული წარმოშობის გამღიზიანებლისადმი – ძირითადად მტვრის მარცვლისადმი განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენენ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ქარით დამტვერავ მცენარეთა მტვერს, რომელიც დიდი რაოდენობით წარმოიშობა.

ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს, ალბათ, შეუმჩნევიათ, რომ ყვავილობის პერიოდში ისეთი მცენარეების მტვერი, როგორიცაა ფიჭვი, კვიპაროსი, ტუია, კედარი და სხვები, ნისლივით მოედება გარემოს პატარა ქარის დროსაც კი. ეს მცენარეები დიდი რაოდენობითაა თბილისის მიდამოებში, ბაღ-პარკებში. ძალიან ხშირად ამ მცენარეების მტვრის ყვითელი ნაფენით დაფარულია მოას-ფალტებული გზები, ხოლო მცენარეებთან შეხებისას ის ედება ტანსაცმელს, აღწევს შენობის შიგნით და იწვევს ალერგიულ დაავადებას. ეს ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაავადებულს პირადად არ ჰქონია კონტაქტი ალერგიულ დაავადებათა გამომწვევ მცენარეებთან.

პოლინოზი ცივილიზებულ ქვეწნებში ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. იგი ხშირია ქალაქის მცხ-

ოვრებთა შორის, თუმცა სოფელთან შედარებით ქალაქის ჰაერში მცენარეული მტვრის კონცენტრაცია ბევრად ნაკლებია. ნათელია, რომ ქალაქის მჭიდრო დასახლება, ყოველდღიურ ცხოვრებაში ქიმიური საშუალებების ფართოდ ხმარება უამრავი ახალი სამკურნალო და პროფილაქტიკური მედიკამენტის გამოყენება, კოსმეტიკური საშუალებები, მრავალრიცხოვნი აცრები, ცხოვრების სწრაფი ტემპი და ამასთან დაკავშირებული ნერვული სისტემის დაძაბულობა ცვლის ორგანიზმის რეაქტიულობას და ქმნის პირობებს გარშემო არსებული მრავალი ალერგენის, მათ შორის მცენარეული მტვრის მიმართ ორგანიზმის ადვილი სენსიბილიზაციისათვის. სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული ანთებადი დაავადებები, თავის მხრივ, ქმნის პირობებს პოლინოზით ადვილად დაავადებისათვის. შემთხვევათა 90-70%-ში მნიშვნელობა აქვს შთამომავლობით განწყობას. პოლინოზი ყველაზე ხშირად 20-30 წლის ასაკში ვლინდება.

პოლინოზის კლინიკური სურათი გამოიხატება ცხვირის, ცხვირ-ხახის, ბრონქების, კონიუნქტივური გარსის, კანის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ნერვული სისტემის მწვავე ალერგიული ანთებით, რომელსაც ახასიათებს ზუსტი სეზონურობა გარკვეული მცენარის ყვავილობასთან დაკავშირებით.

ცნობილია პოლინოზის გამომწვევი 50-მდე მცენარე. მათი დამტკერიანება და დიდ მანძილზე მტკრის მარცვლების გადატანა ქარის საშუალებით ხდება (ბალაზეული, მარცვლეული, სარეველა და უმეტესად ხე მცენარეები). დაავადების გამომწვევი მცენარეული ალერგენი საცხოვრებელი ტერიტორიის მიხედვით სხვადასხვა შეიძლება იყოს.

საქართველოს მოსახლეობის სამეცნიერო-პოლინოლოგიური შესწავლით დადასტურდა, რომ შეიძლება გამოიყოს მცენარეთა ყვავილების სამი სეზონი, რასაც უკავშირდება პოლინოზის გამტვავების სამი სტადია: ადრე გაზაფხულის, გაზაფხულ-ზაფხულისა და ზაფხულ-შემოდგომის.

პირველი პერიოდი იწყება თებერვლის მეორე ნახევრიდან, მთავრდება აპრილში და ემთხვევა ხე მცენარეების (ჭადარი, ალვის ხე, თუთის ხე, იფანი და სხვა) ყვავილობას; მეორე (მაისი-ივნისი) – გამოწვეული მარცვლოვანი ბალაზეულის (წივანა, ტიმოთელა, შვრიელა, კოინდარი და სხვ.) ყვავილობა; მესამე (აგვისტო-სექტემბერი) – ემთხვევა ზოგიერთი ბალაზეულისა და სარეველა მცენარე ამბროზიას და სავარებლების სათვის პოლინოზის ბშირი მიზეზია სარეველა მცენარე ამბროზია, თბილისა და მინისი მიდამოებისათვის – ხე

მცენარეული (ჭადარი, ვერხვი და ზოგიერთი სხვა).

სხვადასხვა მცენარეთა მტკრი პოლინოზის ერთსა და იმავე გამოვლინებას იძლევა: სინათლის შიში, თვალების სიწითლე, ქუთუთოების შეშუპება, თვალებიდან გამონადენი დასაწყისში გამჭვირვალე, შემდეგ-ჩირქოვანი (სეზონური კონიუნქტივი). მძიმე შემთხვევები თვალის ლორწოვანზე ვითარდება წყლულები, აღსანიშნავია ცხვირ-ხახის ქვილი, პაროქ-სიზმული ხასიათის ცხვირის ცემინება (50-60 - ჯერ), ცხვირიდან დიდი რაოდენობით თხიერი გამონადენი, რასაც მოჰყვება ცხვირის სრული დაცობა, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, შუბლის არეში სიმძიმის გრძნობა.

ალერგიული სურდო და კონიუნქტივი პოლინოზის ყველაზე ტიპიური გამოვლინებაა მთელ შოთვლიოში, დაავადების ერთ-ერთი მძიმე ფორმაა პოლინოზური ბრონქული ასთმა, რომელიც ავადმყოფს გამოაჩნდება ხშირად არანამკურნალევი პოლინოზური სურდოსა და კონიუნქტივის მიმდინარეობიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

პოლინოზის კლინიკური გამოვლინების პერიოდში ავადმყოფების გარკვეულ ნაწილს აღნიშნება აწეული მგრძნობელობა საკვები პროდუქტების, სხვადასხვა სუნისა და მედიკამენტების მიმართ.

ალერგიული სამსახური პოლი-ნოზის დიაგნოზისთვის ფართოდ იყ-ენებს სპეციფიკური დიაგნოსტიკის მეთოდებს, რაც, პირველ ყოვლისა, დაწვრილებით ალერგოლოგიური ან-ამნეზის შეკრებას გულისხმობს. ზუსტად უნდა გაირკვეს დაავადების გამწვავების პერიოდი, გადატანილი ან არსებული ალერგიული დაავადება, რეაქცია საკვებ პროდუქტებსა და მედიკამენტებზე და სხვა. მთელ მსოფლიოში ერთხმად აღიარებულია პოლი-ნოზის პროფილაქტიკური პიპოლიზაციის მეთოდი, რომელიც ჩვენს ქვეყნაშიც გამოიყენება.

პოლინოზის სამკურნალოდ სპეცი-ფიკური პიპოლიზაციის რამდენიმე მეთოდი არსებობს. კლასიკურ მეთოდად ითვლება სეზონისწინა პროფილაქტიკური პიპოლიზაცია, დოზების გაზრდით იწყება სპეცი-ფიკური დიაგნოსტიკის საფუძველზე

აღმოჩენილი „დამნაშავე“ ალერგენის დიდი განზავების კანქვეშ შეყვანა.

პიპოლიზაციის კურსი უნდა შეწყდეს მცენარის ყვავილობის დაწყებამდე 1-2 კვირით ადრე. სპეცი-ფიკური პიპოლიზაციის პარალელურად შეიძლება გამოვიყენოთ ანტიჰისტამინური და ნერვული სისტე-მის დამამშვიდებელი პრეპარატები... აღნიშნული პრეპარატები ნაკლებ აქ-ტიურია პოლინიზური ბრონქული ასთ-მის შემთხვევაში, ამ დროს ხშირად საჭირო ხდება კორტიკოსტეროიდუ-ლი პორმონების გამოყენება.

დაავადების მძიმე გართულების თავიდან ასაცილებლად და ასევე, გა-მოსაჯანმრთელებლად, დიდი მნიშ-ვნელობა ენიჭება დაავადების დროუ-ლად გამოვლინებას, ალერგენის ზუსტად განსაზღვრას და სათანადო სპეცი-ფიკური ხასიათის პიპოლიზა-ციას.

**ლილი გვაზავა,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი
მანანა მაისაშვილი,
ფარმაცევტულ მეცნიერებათა დეპარტამენტის დოქტორანტი**

ზარმაცხვთული დახმარების პონდეფია

ფარმაცევტული დახმარების კონცეფციის ფორმირება შორეული წარსულიდან იღებს სათავეს და წარმოდგება ეგვიპტური სიტყვისაგან - ფარმაკი, რომელიც განკურნებას და უსაფრთხოებას ნიშნავს, ასევე ბერძნული სიტყვისაგან - ფარმაკონი (წამალი).

ზუსტად ეს აზრობრივი დატვირთვა მიიღო საქმიანობამ, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის საფუძვლზე.

სამკურნალო დაწესებულებებში ფარმაცევტული საქმიანობის დასახასიათებლად ცნება -ფარმაცევტული დახმარება (ინგლ. Pharmaceutical care) პირველად გამოყენებულ იქნა ევროპაში XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. თავდაპირველად ფარმაცევტული დახმარება მოიაზრებდა ფარმაკოთერაპიული უზრუნველყოფის სისტემას, როცა პაციენტის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ექიმთან ერთად თანამონაწილეობს ფარმაცევტი, ღიგულობს რა თავის თავზე გარკვეულ პროფესიულ პასუხისმგებლობას. ამასთანავე ფარმაცევტული დახმარება მოიცავდა არამარტო ფარმაკოთერაპიას, აგრეთვე ყველა იმ პრობლემის მოგვარებას, რომელიც დაკავშირებული იყო ამა თუ იმ სამკურნალო საშუალების დანიშნულების ინდივიდუალურობასთან.

ფარმაცევტული დახმარების კონცეფცია ოთხოცდათიანი წლების

პირველი ათწლეულის დასაწყისში განვითარდა არა მხოლოდ სავადმყოფო (ჰოსპიტალურ) სექტორში, იგი გავრცელდა ფარმაცევტულ ორგანიზაციებში და განიხილებოდა როგორც ტრადიციული სამკურნალო პრეპარატებით უზრუნველყოფის აღტერნატიული საშუალება. ფარმაცევტული დახმარების სისტემის განმასხვავებელ ნიშნებად გვევლინება:

- ურთიერთობების ახალი სახე
- თერაპიულ ურთიერთიერთობათა ჯაჭვში: ექიმი-ფარმაცევტი-პაციენტი;
- პაციენტის მკურნალობის პროცესის მართვაში უმაღლესი განათლების ფარმაცევტის თანამონაწილეობა, რაც გამოიხატება შესაბამისი სამკურნალო საშუალების შერჩევით;
- პაციენტის სწავლებითა და კონსულტაციით, ფარმაკოთერაპიის შედეგების შეფასებითა და მონიტორინგით;
- კლინიკური შედეგების მიღწევა ოპტიმალური ეკონომიკური დანახარჯებით;
- სამკურნალო პრეპარატების განაწილების სისტემის დაზვეწა (ხარისხის მართვა, სოციალური ფარმაცია და სხვა);
- მოსახლეობისთვის სამკურნალო საშუალებებზე ინფორმაციის ოპტიმიზაცია (საინფორმაციო საშუალებების სრულყოფა, ინსტრუქციების სრულყოფა);

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტების თანახმად ფარაცევტუ-

ლი დახმარება მოიაზრება, როგორც პაციენტთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ფილოსოფია აფთიაქში და განისილება როგორც პირველი რგოლი ჯანდაცვის მრავალდონიან სისტემაში. მოცემული ფილოსოფია საფუძვლად უდევს სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკის კოცეფციას, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ან-სამბლეამ მიღღო და დაამტკიცა 1996 წ.

90-იანი წლების დასასრულს პრაქტიკაში განხორციელებულმა ფარმაცევტული დახმარების კონცეფციამ გამოიწვია როგორც სოციალური ასევე ეკონომიკური ეფექტი, რომელიც გამოიხატებოდა კერძოდ, სამკურნალო საშუალებების გამოყენებისას გვერდითი ეფექტების გამოვლინებების სიხშირის შემცირებით, რაც თავისთავად გამორიცხავდა ექიმთან დამატებით ვიზიტებს, ჰოსპიტალიზაციის ვადების შემცირებას, ასევე რეცეპტებში დაშვებული შეცდომების შემცირებას და სხვა.

ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს (FIP – International Pharmaceutical Federation) მიერ 1998 წელს შემუშავებულ იქნა დეკლარაცია, სადაც ფარმაცევტული დახმარება განისილება:

➤ როგორც ფარმაკოთერაპია, რომელიც მთლიანად ემსახურება პაციენტის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას გარკვეული შედეგების მიღწევის მიზნით;

➤ როგორც ურთიერთთანამშრომლობის პროცესი ექიმსა და ფარმაცევტს შორის, რომელიც მიმართულია პრობ-

ლემების აღკვეთაში, გამოვლენასა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც თავისთავად ემსახურება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარების გაუმჯობესებას.

➤ ექიმისა და ფარმაცევტის თანამშრომლობა მოიაზრება როგორც თანაზიარი საპასუხისმგებლო ფუნქცია პაციენტის ჯანმრთელობის საქმეში.

ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ჯანდაცვის სისტემაში დაინერგა ან დანერგვის პროცესშია ფარმაცევტული დახმარების კონცეფცია, გამოიყენება მოდელი ნაციონალური სპეციფიკის მოდელის გათვალისწინებით. მაგ. აშშში ფართოდაა გავრცელებული ფარმაცევტული დახმარების მოდელი კლინიური ფარმაციისთვის, ხოლო ევროპაში გამოიყენება მოდელი, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობისთვის განკუთვნილ აფთიაქზე. ამ ორ მოდელს შორის საერთო ისაა, რომ ორივე ეფუძნება ფარმაცევტულ დახმარებას, რომელიც მიზანმიმართულია აამაღლოს მოსახლეობის სასიცოცხლო მაჩვენებლების ხარისხი.

90-წლიების დასაწყისში პროფ. ლოპანტინმა შეიმუშავა ფარმაცევტული დახმარების კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად სისტემური მიღვოძა პქონდა. სადაც ფარმაცევტული დახმარება - საქმიანობაა, რომლის მიზანს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მოსახლეობის უზრუნველყოფა სააფთიაქო ასორტიმენტით, ასევე სამედიცინო პერსონალს გაუწიოს სამეცნიერო-საკონსულტაციო მომსახურება, შესაბამისად დახმაროს მომზმარებელს

ეფექტური და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებებისა და სხვა სააფთიაქო ასორტიმენტის შერჩევაში, განუმარტოს მათი შენახვის პირობები, გამოყენების ინსტრუქცია და სხვა.

მოცემულ ფარმაცევტული დახმარების მოდელში მთავარ განმასხვავებელ თვისებად წარმოგვიდვება მისი აღტერნატიულობა არამარტო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფაზე, არამედ მთლიანად, სამკურნალო საშუალებების ბრუნვის სფეროში. ამასთანავე მოცემული კონცეფცია ასახავს ხარისხიანი მომსახურების პრობლემებს ნებისმიერი ტიპის მომხმარებელთან, არამარტო წამლებით უზრუნველყოფის სფეროში, ასევე პარაფარმაცევტული საქონლის რეალიზაციისას, რომელიც ფარმაცევტული მომსახურების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს.

სისტემების დეკომპოზიციის პრინციპით ავტორმა გამოყო ფარმაცევტული დახმარების ქვესისტემები:

- ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- სახელმწიფო სტანდარტიზაცია, რეგისტრაცია და სერტიფიცირება;
- სამრეწველო წარმოება და აფთიაქში წამლების მომზადება (ექსტემპორალური ფორმები);
- საქონლის მიწოდება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე;
- ინფორმირება და კონსულტირება;
- უწყვეტი ფარმაცევტული განათლება;

➤ მომხმარებელთა უფლებების დაცვა;

ფარმაცევტული დახმარება, როგორც ჯანდაცვის სისტემის ნაწილი, მჭიდრო კავშირშია სამედიცინო და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სისტემებთან.

ფარმაცევტული დახმარების არსი უმეტესწილად განისაზღვრება საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური და სამუშაო გარემოს პირობებით. ფარმაცევტული დახმარების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი შეფასების კრიტერიუმები:

➤ ფარმაცევტული საქონლის გამოყენების შედეგად მიღებული უკუკავშირი მომხმარებლებისგან (უფექტურობა, უსაფრთხოობა, ხარისხი);

➤ ფარმაცევტული კადრის საკვალიფიკაციო დონე;

➤ სააფთიაქო საქონლის ფართო არჩევნი;

➤ სააფთიაქო საქონლის ხელმისაწვდომობა;

ევროპასა და ამერიკაში ფარმაცევტული დახმარების კონცეფციის მოთხოვნები ასახვას პოვებს ფარმაცევტული კადრის მომზადებაში, სასწავლო პროგრამებში.

საქართველოში ფარმაცევტული დახმარება, როგორც ტერმინი არ არის განმარტებული არც საკანონმდებლო და არც ნორმატიულ დოკუმენტაციაში. ფარმაცევტულ ბაზარზე ცნობილია მხოლოდ ისეთი ტერმინები, როგორიცაა: ”ფარმაცევტული პროდუქტის მიმღებება”, ”ფარმაცევტული საქმიანობა”. საქართველოს კანონიში

“წამლისა და ფარმაცევტული საქმი-ანობის შესახებ” გათხულბთ განმარტებებს:

ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევა – საქმიანობა, რომელიც მოიცავს ფარმაცევტული პროდუქტის მომზადებას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, შეფუთვას, შესყიდვას, გადაგზავნა-გადაზიდვას, შენახვას, გაყიდვას, მის შესახებ მოსახლეობისა და სპეციალისტების ინფორმირებას, მის რეკლამას, მარკეტინგს, ექსპორტს, იმპორტს, რეექსპორტს, გამოყენებას, განადგურებას და ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებს.

ფარმაცევტული საქმიანობა – ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში დაკავებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმიანობა.

დღესდღობით საქართველოში ფარმაცევტი, მრავალ ფუნქციას ასრულებს. ვიზუალურად თვალშისაცემია, რომ იგი ხშირად სალარო ოპერაციებს ახორცილებს და ამიტომ, ზოგჯერ მის მიმართ ქნინობითი შეხედულებაცაა.

სინამდვილეში, ფარმაცევტი ჯანდაცვის საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პირია. გარდა „ფარმაცევტულ საქმიანობისა“ და „ფარმაცევტული პროდუქტის მომოქცევისა“ ფარმაცევტი ახორციელებს ფარმაცევტულ დახმარებასაც.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ფარმაცევტულ დახმარების კონცეფცია განსაკუთრებულ ჯგუფებზე (მოხუცები, ბავშვები, ფეხმმიმებები, ქრონიკული ავადმყოფები) ასევე მთლიან მოსახლეობაზე. რაც საშუალებას იძლება მიზანმიმართულად მოხდეს ჯანდაცვის ხარჯების ეკონომიკური მართვა.

საქართველოში სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესების ინსტრუმენტია. გარდა ამისა მას შეუძლია გასული წლების მონაპოვარზე, (პროფესიულ ტრადიციებზე) დაფუძნება და უკვე არსებული რეგულაციების დანერგვის ხელშეწყობა, რითად უზრუნველყოფილი იქნება ფარმაცევტული სექტორის განვითარების თანმიმდევრულობა და მდგრადობა.

2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში შეტანილია დისციპლინა - ფარმაცევტული დახმარება, რაც სპეციალისტებს მისცემს სათანადო ინფორმაციას.

ევროკავშირის ფარმაცევტული ჯგუფი (PGEU), ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაცია (FIP) და ჯანმრთელობისა მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მოუწოდებენ მთავრობებს და ფარმაცევტულ ასოციაციებს ერთობლივად შეიმუშაონ (ან გადასინჯონ) ფარმაცევტული პრაქტიკის ეროვნული სტანდარტები სათანადო ფარმაცევტუ-

ლი პრაქტიკის (GPP) თანამედროვე რეკომენდაციათა შესაბამისად.

სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკის სტანდარტების შემუშავება ყოველთვის მოიაზრულს აფთიაქის, ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხიან დონეს. დასავლეთის ქვეყნებში ნებისმიერი გადასვლა სტანდარტიზაციის პროცესზე უკავშირდება დარგის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ძიგომარეობას, აქედან გამოიმდინარე სათანადო სააფთიაქო ფარმაცევტული (GPP) რეკომენდაციების საფუძველზე ნაციონალური სტანდარტების შექმნადანერგვა მოიცავს ქვეყნის ფარმაცევტული ბიზნესის ყოვლისმომცველ ანალიზს, შესაბამისად მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას.

სტანდარტები უმთავრესი კრიტერიუმებია მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის შეფასებაში. საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაცია FIP თვლის, რომ სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკის სტანდარტები უნდა მიიღონ და განიხილონ საერთაშორისო ფარმაცევტულმა ორგანიზაციებმა, როგორც საფუძველი GPP ნაციონალური სტანდარტების შესაქმნელად. GPP სახელმძღვანელო პრინციპები გამომდინარეობს ფარმაცევტული საქმიანობის პრაქტიკიდან, რომელთა მიხედვით ნაციონალური სტანდარტები იქმნება შემდეგი მიზნებისათვის:

➤ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება;

➤ სამკურნალო საშუალებებისა და პარაფარმაცევტული საქონლის მიწოდების მექანიზმის რეგულირება;

➤ პაციენტის თვითმკურნალობაზე მართებული ზემოქმედება;

➤ სამკურნალო საშუალებების დანიშვნისა და გამოყენების მეთოდოლოგიური სრულყოფა ფარმაცევტების თანამონაწილეობით;

ყოველი ფარმაცევტი თავის პრაქტიკაში ვალდებულია კვალიფიციურად მოქმედისახუროს თითოეულ პაციენტსა თუ მომხმარებელს. ნაციონალური სტანდარტები წარმოადგენს სწორედ ამ მოვალეობის განმარტებისა და განხორციელების საშუალებას.

მოქმედისახურების ხარისხიანი დონე მოიცავს:

➤ პაციენტის უზრუნველყოფა, მომხმარებლის კეთილგანწყობა, მომსახურების პერსონიფიცირება;

➤ ფალსიფიცირების თავიდან აცილების საშუალება;

➤ პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დონე;

➤ შრომის პირობების გაუმჯობესება;

➤ სამკურნალო საშუალებების უსაფრთხოება და ხარისხი;

➤ თვითმკურნალობის რეგულირება;

როდესაც განვიხილავთ ფარმაცევტულ საქმიანობას, ფარმაცევტულ დახმარებას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია. პირველად ტერმინი „ეთიკა“ მოხსენიებულია არისტოტელეს მიერ, რომელიც მოიაზრებდა ადამიანური თვისებების კეთილშობილებას (ვაჟაცობას, ზომიერებას, ზნეობას და სხვა) და ეჭირა შეალედური ადგილი

ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ სწავლებებს შორის.

ეთიკის ერთერთ ნაწილად განიხილება დეონტოლოგია - რომელიც მოიაზრებს ვალდებულებებს კონკრეტულ საქმიანობაში. ტერმინი “დეონტოლოგია” მოიხსენიება ი. ბენტამის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში.

არსებული მიღვომებიდან გამდინარე შეიქმნა ტერმინი როგორიცაა ფარმაცევტული ეთიკა და დენტოლოგია, შესაბამისად ფარმაცევტული დახმარება, რომელიც მოიაზრებს:

ფარმაცევტული ეთიკა - არის მეცნიერება, რომელიც განიხილავს ფარმაცევტულ საქმიანობაში არსებულ ზნებისა და მორალის საკითხებს. ფარმაცევტის დამოიდებულებას ჯანმრთელი და დაავადებული ადამიანებისადმი, კოლეგებისა და საერთოდ საზოგადოებისადმი.

დეონტოლოგია - არის მეცნიერება ადამიანთა პროფესიული ქცევის სწავლების შესახებ.

ფარმაცევტული დახმარება - ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია უზრუნველყოს მოსახლეობა მედიკამენტებისა და პარაფარმაცევტული საქონლის სრული ასორტიმენტით; გაუწიოს მაღალპროფესიული კონსულტაცია პაციენტებს, სხვა სამედიცინო პერსონალს და მომზარებელს. მიაწოდოს მათ უსაფრთხო, ხარისხიანი და ეფექტური სამკურნალო საშუალებები (სამედიცინო მოვლის საგნები, ჰიგიენისა და სამკურნალო კოსმეტიკის ნაწარმი), შესაბამისი ინსტრუქტაჟით მიღების წესების, ჩვენე-

ბა-უკუჩენების, შენახვის პირობების გათვალისწინებით.


1997 წ. საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის კრებაზე (თემა: „ფარმაცევტთა განათლების პროგრამის შემუშავება“ - ვანკუვერი. კანადა) ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციასთან (FIP) თანამშრომლობით ფორმულირებულ იქნა თანამედროვე ფარმაცევტის დარგობრივი მოთხოვნები, რომელმაც მიიღო სახელწოდება: “7 ვარსკვლავის მფლობელი ფარმაცევტი”, რომელიც ასევე ასახავს პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობასაც, რომლის თანახმადაც, ფარმაცევტი:

- ჯანდაცვის ორგანიზაციის მუშაკია, გუნდის წევრი;
- შეუძლია და უფლებამოსილია მიიღოს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები;
- კომუნიკაციის სპეციალისტია, შუამავალია პაციენტსა და ექიმს შორის;
- მზადყოფნაშია საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებისა და დაცვისათვის;
- შეუძლია მართოს რესურსები და ინფორმაცია;
- მზადყოფნაშია უწყვეტი განათლებისთვის;
- მონაწილეობს ახალგაზრდა ფარმაცევტული კადრის პროფესიულ მომზადებაში;

ბოლო დროის გლობალურმა ცვლილებებმა ეკონომიკის, ჯანდაცვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ფარმაცევტული კადრის პროფესიულ მომზადებაში;

იერთობების” ახალი ტიპის ფორმირება: ექიმი-ფარმაცევტი-პაციენტი, რომელივ გამოიხატება სამკურნალო პროცესში ფარმაცევტის უშუალო მონაწილეობით, კერძოდ - სამკურნალო პრეპარატების საფუძვლიანი შერჩევით, კონსულტაციით და პაციენტთა ინფორმირებულობით, მონიტორინგითა და მკურნალობის თერაპიის შედეგების შეფასებით (ნახ.1)

იც სათანადოდ უზრუნველყოფს კონკრეტული პაციენტის კონკრეტული დავადების ფარმაკოთერაპიის ხარისხს, კერძოდ ექიმის ზედამხედველობას, სიმპტომებისა და ჩვენებების, უკუჩვენების, გვერდითი მოვლენების აღრიცხვა/მონიტორინგს, თვითმკურნალობისა თა თვითპროფილაქტიკის მართვას, წამლების რაციონალურ გამოყენებას. ფარმაკოთერაპიის სათანა-



ნახ.1 ფარმაკოთერაპიული ურთიერთობის სქემა.

საერთაშორისო ყრილობებზე, რომლებიც მიმდინარეობდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ეგიდით, ფარმაცევტული დახმარების კონცეფცია და მასზე მოთხოვნები მუდმივად განიცდის დაკონკრეტებას.

ამრიგად, ფარმაცევტული დახმარება, თავის მხრივ წარმოადგენს სამკურნალო ინფორმაციულ და საორგანიზაციო-მეთოდურ სისტემას, რომელ-

დო ხარისხში მოიაზრება ის მოთხოვნები, რომლებიც რეგლამენტირებულ უნდა იქნას შესაბამის სატანდარტებში. სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკა (GPP) ამ მხრივ განიხილება, როგორც ერთეულთი გზა, ფარმაცევტული დახმარების განსახორციელებლად.

- გამოყენებული ლიტერატურა:
1. GPP (Good Pharmacy Practice) –In Community and Hospital Pharmacy Settings. World Health Organization 1996;
 2. The role of the pharmacist in self-care and self-medication . World Health Organization 1998;
 3. პ. ჭუმბურიძე. ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება საქართველოში. 2010 წ.
 4. Standards for Quality of pharmacy Services. International Pharmaceutical Federation.
 - 5.
- 2001 .
6. Declaration of the Americas on the profession of pharmacy and its impact on Healthcare systems.
 7. ვ. ერიაშვილი - სოციალური ფარმაცია 2001 წ.

**ზინაიდა ჭანტურია
ეს „პსკ აფთიაქის“ ხარისხის უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი.**

დუბნა, მოსკოვის ოლქი (1966 – 1970წწ.)



1965წ. შემდგომაზე ნ.ამაღლობელმა შემომთავაზა სერპუხოვოს ამჩქარებელზე (დაბა პროტვინო) იური პროკოშკინთან და იური პოპოვთან სტაჟირება (ასპირანტურა). ი.პროკოშკინი თბილისელი იყო და შედეგ აკადემიკოსი გახდა, ი.პოპოვმა კი მაღლე ლენინური პრემია მიღო.

პროტვინო ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო, ამიტომ მე გამიხარდა, როცა საბოლოოდ, ხანგრძლივი მივლინება დუბნის საერთაშორისო ცენტრში შემომთავაზეს.

ქ. დუბნაში თბილისიდან ზაფხულში ჩავედი. გამანაწილეს ყველაზე პრესტიჟულ საერთო საცხოვრებელში, ორსართულიან სახლში – ჟოლიო-კიურის ქუჩაზე. დერეფნის ბოლოს, ე.წ. „ქართველების ოთახში“, ადგილი არ იყო და როგორც „აზიატს“, კუთხე უზბექების ოთხკაციან ოთახში გამომიყვეს.



თემისული ფაზისტის დამოუკიდებელი. 1965 წ.

კარგი ბიჭები იყვნენ, მათ შორის ტოლიბი (შემდგომში, უზბეკეთის ცკ პირველი მდივნის, შ.რამიდოვის სიძე, პროფესორი) და მაქსუდი (სამარყანდის უნივერსიტეტის მომავალი პროფესორი). მეზობელ ოთახებში მცხოვრები აშხანაგებიც დღეს ცნობილი მეცნიერები არიან: ბაქოელი აკადემიკოსი— რუფატ მირ-კასიმოვი, პროფესორები ვ. გარსევანიშვილი, ჯ. ხუბუა, ლ. ლლონტი და სხვ.

ნაქირავებში ან სხვა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ მომავალი პროფესორები: ა.კვინიხიძე, ფ. ტყებუჩავა, ლ. სლეპჩენკო, მ. ელიაშვილი, შ. ვაშაკიძე, ი. თევზაძე, მ. მესტვირიშვილი, თ. გრიგალაშვილი, შ. შოშიაშვილი, გ. რჩეულიშვილი, მ.ჯლარკავა, ვ. ალიზაძე, კ. ნიორაძე, ბ. ჭილაძე .



მაქსუდის მარცხენა — კვინიხიძე მ. კვებუჩავა, სლეპჩენკო და უკიძე, ა. ფ. ქ. ვაშაკიძე, ი. თევზაძე, მ. მესტვირიშვილი, თ. გრიგალაშვილი, შ. შოშიაშვილი, გ. რჩეულიშვილი, მ. ჯლარკავა, ვ. ალიზაძე, კ. ნიორაძე, ბ. ჭილაძე .

ჩემი ხელმძღვანელი იური კარუავინი (მაშინ სიმპათიური გარევნობის ახალგაზრდა მეცნ.კანდიდატი, ავტომატიზაციის განყოფილების გამგე), რამდენ-იმე თვით გახლდათ მივლინებით უენევაში. კვირა დღე იყო. ლაბორატორიაში კაბელით ინფორმაციის გადაცემის ახალ პროექტს ვამზადებდი. შენობაში მარტო მე ვიყავი. ამ დროს შემოვიდა ი.კარუავინი . დაინტერესდა პროექტით, გაიტანა თავის ოთახში და ათიოდე წუთში მასთან სამუშაოდ გადასვლა შემომთავაზა. ცხადია, რომ გადავსულიყავი, მეტი ხელფასი მექნებოდა, მაგრამ უნივერსიტეტის ღალატი გამოდიოდა, ამიტომ უარი ვუთხარი ... შემდეგ კი, უფროსი

ინჟინრის ნახევარგანაკვეთზე შევთანხმდით. ასე ვიღებდი ზელფასს ასპირანტურის სტიპენდიასთან ერთად 1970 წლამდე.



ინჟინერული (ლექ.) კლეიტონის განახლებაზე

უზბეკებიდან მალე ოთხადგილიან ოთახში გადავედი, სადაც სულ ორნი ვიყავით. შეძლებ კი მომიხდა ბინის დაქირავება, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენდა დუბააში., ი.კარუზავინმა, ჩემი თანდასწრებით სოხოვკა საერთო საცხოვრებელზე ლაბორატორიაში მოსულ თვით ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს. მის პასუხზე: , ი.კარუზავინმა იუმორით უპასუხა:

ყველას გაეცინა, მაშინ გავრცელებული ანეკდოტი გაგვახსენდა:



ლექტონი 1967 წლის

ნაქირავებ ბინაში შხაპი არ იყო. ზშირად მიწუვდა ზოლმე საერთო საცხოვრებელში შეპარვა, შემდეგ ი.თევზაძესთან მოსვენება და გარეთ საღამოს 10 საათზე მინუს 20 -30 გრადუსიან ყინვაში ავტობუსის ლოდინი. ალბათ, ახალგაზრდობის გამო, თორებ ახლაც მიკვირს, როგორ არ გავცივდი ასეთ პირობებში. უბრალო გრიპით ჩაწოლაც კი პრობლემა განლდათ –თორებ ვინ იყო ან სადილის გამკეთებელი ან წამლის მომტანი? გამოსავალი ... თბილისიდან ხელოსნებისთვის გამოტანებული საწოლის ქვეშ მუდამ მტვრიანი რამდენიმე არყის თუ სპირტის ბოთლი ეწყო (რადგან, სასმელს საერთოდ არ ვსვამ დღემდე). სიცხიანი, ძლივს ვახერხებდი ბოთლის გამოლებას, საცობის მოხსნას... ეს იყო ჩემი სადილიც, ვახშამიც და წამალიც. მეორე დღეს კი, თავს უკეთ ვგრძნობდი და ასე დავდიოდი სამსახურში.

წამყვანი მეცნიერები, აკადემიკოსები კი ორსართულიან კოტეჯებში ცხოვრობდნენ, სადაც, რატომდაც, ეზოში ბალახი ყოველთვის მოუთიბავი იყო. ავტომანქანა „ვოლგის“ გარდა ეზოში პატარა კატარლა – გლისერიც ჩანდა. თუმცა ეს არავის უგვირდა და სამსახურში მაინც ვეღლისიპედით დადიოდნენ.

კოტეჯები უბრალოდ იყო მოწყობილი და დერეფნებში „ბუნებრივი ცხოვრების სტილი“ იგრძნობოდა: რეზინის ჩექმები, თევზსაჭერი ბადეები, ჩოგნები, წყლის თხილამურები და ა.შ... პარკეტი, ეწ. „ხრუსტალი“ და „ევრო-რემონტი“ მე იქ არ მინახავს. მთელ ქვეყანაში აღიარებული „ბირთვული ფიზიკის“ სახელმძღვანელოების ავტორებს, მოსკოვის უნივერსიტეტის ლექტორებს, ავტორიტეტის გარეგნული ატრიბუტიკა უბრალოდ, არ სჭირდებოდათ.



მეცნიერის კოტეჯი

თბილისის შემდეგ ძალიან გამიჭირდა პატარა ქალაქის ფსიქოლოგის შეგუება, სამსახურის დერეფანში მთელი დღე რომ ზედავ ადამიანს, იგივეს ხედავ სასადილოში. საღამოს, როცა დღის შთაბეჭდილებებს გინდა გამოეთიშო, იგივე თანამშრომელია კინოში, სკვერში.

დუბნაში, იმ წლებში 15 ათასი მოსახლე იყო (2008 წელს 30 ათასი გახდა. მეორე, საქართველოს მთავრობის მინისტრი კი – 60 ათასი).¹

უფრო პატარა ქალაქია ფიზიკოსთა მეორე ცენტრი სერპუხოვის ახლოს – პროტვინი, რომელზეც ასეთი ანგადოტი მიამბეს: დუბნაში, შენობიდან გამოხვალ თუ არა, შენზე ჭორი მაშინვე ვრცელდება, პროტვინში კი – შენობიდან გამოსვლამდეო ...

დუბნაში განსაკუთრებული მომარაგება იყო, ცხოვრება კი ძალიან იაფი, ჩემი ორმაგი ხელფასი სად წამელო, არ ვიცოდი (ნაქირავები ბინა 25 მანე-თი ღირდა).



ახლებების ვიზუალური (მარჯვნიდან მესამე)

ახლა მნელი წარმოსადგენია მაგრამ, როდესაც 1956 წელს ქალაქის სახელზე კამათობდნენ, მეცნიერთა წინადადება „ლეპილოვი“ ან „მეშჩერიაც-ოვი“ იყო, თუმცა მოსკოვმა მდინარის სახელი – დუბნა დაამტკიცა (წინა წლებში კი დასახლებას დუბნო ერქვა). ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო, რადგან 2000 წელს, როცა დუბნის მშენებლის, ლეპილოვის ძეგლის დადგმა

1. ვოლგის მეორე ნაპირზე 1942 წლამდე ა.ტუპოლევის და ა.მიქოიანის მიერ შექმნილი №30 ავიაქარხანა მუშაობდა, სადაც ჰიდროთვითმფრინავებს ცდიდნენ, ომის შემდეგ კი ტევე გერმანელი ავიანჟინრები მუშაობდნენ. "მოსკოვის ზღვის" ადგილზე იყო ქალაქი კორჩევი და ასამდე სოფელი. ეს ტერიტორია ბერიას საყვარელი სანადირო ადგილი ყოფილა, ამიტომ ციკლოტრონი ააშენა აქ.

უნდოდათ, წამყვანი მეცნიერები წინაღმდეგი იყვნენ, რადგან ის, ფაქტობრივად, დამონებულ პატიმართა ბანაკის უფროსი გახლდათ.² ლეპილოვი ავტოავარიაში გარდაიცალა.

იმ წლებში გარდაიცვალა მსოფლიოში თავის დროზე უდიდისი სინქროზაზოტრონის შემქმნელი, აკადემიკოსი ვ.ვესტარი მეცნიერებათა აკადემიიდან მის გამოსვენებას. კუბო გამოიტანეს: აკადემიის პრეზიდენტმა მ.კელდიშმა³, აკადემიკოსმა მილიონშემიკოვმა და სხვებმა.



დავით კელდიში

მ.კელდიშის დედა – სკვორცოვა თბილისელი იყო. მამით კი ბოშურ-პოლონური წარმომაბა ჰქონდა (ამიტომაც იყო შავთვალწარბა). მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა მთვარეზე კოსმონავტები გაუშვეს და საბჭოური კოსმოსური პროგრამა სამარცხვინოდ ჩამორჩა, მ.კელდიშმა ჯერ განცხადება დაწერა წასვლაზე, შემდეგ კი დეპრესია დაეწყო და თავის აგარაკის გარაუში, მანქანის გამონაბოლქვით, თავი მოიკლა. მილიონშემიკოვმა კი (რომელიც მუდამ სახეაწ-ითლებული იყო ხოლმე), იმდენი გააკეთა, რომ ავტოავარიაში მოხვედრილი

2. პატიმრების გარდა დუბნას აშენებდნენ . . . ბალტიისპირეთის მეძავები, რომლებიც ომის დროს გერმენლებთან თანამშრომლობდნენ.

3. მსტისლავ კელდიში (დაბ. 1911წ., რიგა) - გამოჩენილი მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (35 წლის ასაკში), სამგზის სოც.შრომის გმირი. ამ წოდებით დაჯილდოებული იყო მხოლოდ 11 მეცნიერი: ტუბოლევი, სახაროვი, კურჩატოვი, ილიუშინი, ალექსანდროვი, შჩოლკინი, სლავსკი, ვანიკოვი, ზელდოვიჩი, ხარიტონი და დუხოვი. 1973 წელს ოპერაციის შემდეგ დაკარგა შრომის უნარი და 64 წლის ასაკში მოითხოვა (არ უშებდნენ), მეცნ.აკადემიის პრეზიდენტობის თანამდებობიდან გათავისუფლება.

აკადემიკოსი ლ.ლანდაუს საავადმყოფოდან შინ გადაყვანა შუა ზამთარში მოითხოვა. ლანდაუს ეზოში სეირნობისას ფეხის თითის მოყინვისგან ჯანმრთელობა შეერყა და მალე გარდაიცვალა.

ვ-ვექსლერი 14 წლის ასაკში გაექცა დედას, საეჭვო ყოფაქცევის ქალს და კომუნაში ცხოვრობდა (ვექსლერი მამინაცვლის გვარია). მეუღლე მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ჰყავდა. გასაიდუმლობის გამო, მისი აღმოჩენა ვერ წარადგინეს ნობელის პრემიაზე. 56 წლის ასაკში, მეორე ცოლთან შვილი შეეძინა. თვითონ კი 3 წლიწადში გარდაიცვალა. დაკრძალვისას, ახალგაზრდა, 25 წლის შავკაბიან გოგონას დანახვაზე საზოგადოება სამწუხაროდ, ოხუჯვიბდა: „60 წელს მიტანებული ქმარი უყვარს, თუ მისი დატოვებული ქონებაო?!”

ისევე, როგორც ევროპაში, დუბნაშიც სამსახურში ველოსიპედით სიარული მოდაში იყო. ერთხელ, საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ ტრიბუნაზე ავედი, ჩვენი დირექტორის მოადგილის, ნ. გოვორუნის⁴ სანახავად. მას შარვლის ტოტზე... სარეცხის ხის საჭერი ეკიდა – ველოსიპედის გაპოხილი ჯაჭვისგან დასაცავად...

იმ წლებში, ქალაქში ქურდობას ადგილი არ ჰქონდა. ერთხელ, სასტუმროს წინ ველოსიპედი მთელი ღამით დამრჩა. დილით, ბინდან რომ გავედი, მერე გამახსენდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ადგილზე დამხვდებოდა.

სუფთა, პატარა, მწვანე ქალაქს, კეთილმოწყობილი საერთაშორისო კლასის სასტუმროთ, ხშირად იყენებდნენ სპორტსტენების დასასვენებლად. აწორედ აქ გავიცანი იმ დროისთვის ცნობილი მოჭადრაკე ალა კუშნირი (ნონა გაფრინდაშვილის მოსკოველი მეტოქე), მოსკოველი შურნალისტი კლარა აბრამია და სხვები.

დუბნაში შევიძინე მეგობრები და ამხანაგები. ყველა მენდობოდა. ჩემთან მივლინებით ჩამოდიოდნენ მოსკოვიდან (მახსოვს , საავიაციო მოტორების ცენტრალური ინსტიტუტი , მოსკოვის უნივერსიტეტი), ტომსკის უნივერსიტეტიდან, ალმა-ათის ფიზიკის ინსტიტუტიდან, უკრაინაში (), თბილისიდან ("ვეკუას", ფიზიკის ინსტუტიტი) და სხვ. იმდენად გავთამამდი, რომ როცა ნობელის პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს პავლე ჩერენკოვს, თანამშრომლების მივლინებით გამოგზავნა უნდოდა, მე (ახალგაზრდული ფამილარობით), ცოტა მშრალი დეპეშა გავუგზავნე, რომელიც (როგორც ჩვენი დირექტორის მდივანმა მითხრა), მას არ მოეწონა. კარგ სამ-

⁴ ნიკოლოზ გოვორუნი (დაბ. 1930წ.) – მათემატიკოსი, სირკ მეცნაკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბაგრატიონისამამულო რმის დროს ოკუპირებულ ლუგანსკში (უკრაინა) გაატარა. დაიჭრა ფეხში, მკურნალობდა საქართველოში. დიდხანს მუშაობდა დუბნაში, გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ, სადაც მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ეგმ "ბესმ-6"-ის პროგრამული უზრუნველყოფა.



საქმიანი მიმოწერა ნ.ამაღლობელთან

უშაო ფორმაში ვიყავი, ამიტომ ჩემი გადაბირება ი.კარჟავინის გარდა სხვებ-მაც მოინდომეს.

თბილისიდან ჩამოვიდა ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, ცნობილი მეცნიერი, ნინო როინიშვილი, რომელმაც საუბარი ჩამომიღდო სამსახურის შეცვლის თაობაზე, მაგრამ ბოლოს, თვალებში შემომხედა და მითხრა – „თუმცა, ისიც ვიცი, რომ ამაღლობელის ერთგული ხართ და არაფერი გამოვა“...

ჩვენი გაცნობის ისტორია კი ასეთი იყო: მე ყირიმში, ალუშტის კონფერენციაზე ვიყავი. ჩვენს ავტობუსს გავყევი აეროპორტში, კონფერენციის მონაწილეების დასახვედრად. გზაში გავიცანი სიმპათიური, ახალგაზრდა თბილისელი ქალი, რომელმაც მითხრა, რომ კომპიუტერის დაპროგრამებაში მუშაობს. რამდენიმე დღე პლაზზე მის უკეთ გაცნობას ვცდილობდი, ვიდრე ჩვენმა თანამშრომელმა, ბიჭიკო ცინცაძემ არ მითხრა, რომ ეს ქალი ცნობილი მეცნიერი ნინო როინიშვილია, გათხოვილია და ქმარიც ფიზიკის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილეა. . .

თბილისიდან სისტემატურად მიგზავნიდნენ ხოლმე მათთვის დეფიციტურ რადიოდეტალების სიას. ჩვენი ლაბორატორიის დავალებების გარდა, მომარაგებას (ნ.ამაღლობელთან შეთანხმებით), სხვა ლაბორატორიებიც მთხოვდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, მურიკო ჩიხლაძის ლაბორატორია.

ერთ წვიმიან დღეს, დუბნის საცდელ წარმოებაში, ჩვენი შეკვეთის მომარაგებისთვის თბილისიდან გამოგზავნეს უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ინჟინერი— ჯუმბერ ლეჟავა. მავთულის მძიმე შეკვრა

ეჭირა. საამქრომდე მივაცილე. და იმ დღიდან დავმეგობრდით. ჯუმბერი მეცნიერების და ტექნოლოგიების სამინისტროშიც მუშაობდა. მუზელის გარდაცვალება ძალზედ განიცადა, ერთ-ერთ ოთახში მისი მუზეუმიც მოაწყო. მალე სტრე-



ჩვენ მიერ შექმნილი ელექტრონიკა (ინტერფეისი)
ბებ-4 კომპიუტერისთვის. 1967 წ.

სისგან თავის დასაღწევად სპორტზე გადაერთო, გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა და ცნობილი ველომოგზაური გახდა.

გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის დირექტორის, მ.მეშჩერიაკოვის მოადგილე გიორგი ზაბიაკინი იყო. ჩემს ხელმძღვანელს, კარუავინს მასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა (მიაჩნდა, რომ უნევაში ყოფნისას მისი თანამდებობა დაიკავა).

გ.ზაბიაკინმა, კარიერის ზენიტს რომ მიაღწია (მეცნიერებათა დოქტორი, კარგი მანქანა, კარგი ოჯახი, მოსკოვში სხვადასხვა საკავშირო კომიტეტის წევრი), თავისი მდივანი საყვარლად გაიხადა, საქმეები აერია, მოუწია მოსკოვში გადასვლა და ისე გალოოთდა, რომ გელენჯიკში, ავტომატიზაციის ტრადიციულ საკავშირო კონფერენციაზე, დავინახე, თუ როგორ შემოვიდა მთვრალი აუდიტორიაში და სიტყვა გააწყვეტინა მომხსენებელს. ბოლოს ის მოსკოვში კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში () მივლინებისას ვნახე. ინსტიტუ-

ტის დირექტორი ცნობილი აკადემიკოსი რ. საგდევი იყო (2000-იან წლებში ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად).

გ.ზაბიაკინი ერთ პატარა, მტკრიან, აპარატურით გაწყობილ ოთახში იჯდა. მოტეხილი ცხოვრებისაგან, ლოთობისაგან, აპათიური. ჩემთვის საშვის დაშვებას აჭიანურებდა – აღბათ, არ უნდოდა, რომ ამ მდგომარეობაში მენახა...

დაახლოებით ერთი წელი, მე, ინჟინერი სლავა სემიონოვი და ალმაათელი უნია ლობანოვი ახალი ავტომატიზებული სისტემის შექმნაზე ვმუშაობდით. რაციონალური წინადაღებების მოწმობებიც კი მივიღეთ. არავინ ერეოდა ჩვენს საქმეში (არაგეგმიური სამუშაო იყო). მოახლოებულ ადგილობრივ კონფერენციაზე (ნ. გოვორუნი ხელმძღვანელობდა) გადავწყვიტეთ ჩვენი ნაშრომის გატანა. ის ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი იყო და ბუნებრივია, ძალიან მონდომებული ვიყავი, მაგრამ ...

კონფერენციაზე გამოსვლას ესწრებოდა ჩვენი კოლეგა, ინჟინერი ვ.ერმოლაევი, რომელსაც თურმე, ეს მასალა თავისი დისერტაციისთვის უნდოდა, მაგრამ, ჩვენ-



ავტომატური მეცნიერებელი კოლეგა
სამუშაო აღმოჩენის დროის ფოტო
ავტომატური მეცნიერებელი ფოტო
მუზეუმი, 1989წ.

თან ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებდა (თუმცა, წვრილმან ინტრიგებს კი მიწყობდა). ისარგებლა ჩემი გამოუცდელობით (განყოფილების გამგე ი.კარუვინი თანაავტორად არ შევიყვანე), კონფერენციაზე განხილული მოხსენება ამოიღო

შრომების თეზისებიდან და თანამშრომლები ამიმხედრა. რამდენიმე წელიწადში, დაცვის შემდეგ, ერმოლაევი სამუშაოდ ქარხანაში გადავიდა. მაგრამ, მაშინ მე იმდენად ვიყავი გაოგნებული, რომ თავის დაცვაც კი არ მიცდია: ახალგაზრდა მეცნიერს პირველ შრომაში, პირიქით, ხელი უნდა გაუმართო. ყველაფერი დასრულდა ი.კარუავინის „ბრძნული“ გადაწყვეტილებით:

„ნ.ამაღლობელმაც ჩათვალა, რომ რუსებთან წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და ჩემი ნამუშევარი ასე მიეწერა სხვის დისერტაციას.

ი.კარუავინს რამდენიმე წელიწადში განყოფილება დაუხურეს და მოუწია მოსკოვში გადასვლა ი.კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტში, შემდეგ სხვა კვლევით ინსტიტუტში. ის 2003 წელს გარდაიცვალა.

ერთხელ თბილისიდან ლევან მარკოზაშვილი (ჩვენი კომპიუტერის „რაზდან-2“ ინჟინერი) ჩამოვიდა. ინჟინერ ვადიმ კოტოვთან ერთად ვორონეჟში 2-3 დღით მატარებლით უნდა წავსულიყავით, საბჭოთა კავშირში პირველი სამაგიდო, პერსონალური კომპიუტერის, „ელექტრონიკა-100“ შესაკვეთად. საკმარისი მასალა მქონდა დისერტაციისთვის და ეს თემატიკა მე არ მეხებოდა.

უნივერსიტეტი (რადგან თბილისში არ ვიყავი), მივლინებას ვერ მიფორმებდა. დუბნის კადრების განყოფილებამ კი (რადგან 0,5 განაკვეთზე ვიყავი), თავი შეიკავა. მომიწია მივლინების ხარჯების ჩემი ხელფასიდან გადახდა. საბოლოოდ, ნ.ამაღლობელმა ეს ახალი კომპიუტერი მიიღო, ალბათ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა⁵ (ცხადია, სამხედროების და კოსმოსური თემატიკის შემდეგ).

1969 წლის ზაფხულში, დუბნის ახლოს რკინიგზის სადგურთან (ბოლშაია ვოლგა) ნაქირავები ბინის დიასახლისმა ახალი წლისთვის ბინის დაცვა მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ყველაფერი აეწყო, აღარ შემეძლო ისევ ბინის ძებნა (თან რატომდაც მილიცია თბილისიდან ამოწერას მთხოვდა და წლობით თითქმის არალეგალურად ვცხოვრობდი). ამიტომ, გადავწყვიტე თბილისში დაბრუნება.

დეკემბრის თვეში, მოსკოვში სეირნობისას დავინახე, რომ კლიმენტ ვოროშილოვის პანაშვიდზე, სასტუმრო „მოსკოვი"-ს ახლოს, რიგში უამრავი

⁵ პირველი საბჭოთა მინი-ეგმ და საერთოდ, მიკროელექტრონიკის მიმართულების შექმნაში, დიდია ფილიპ სტაროის (1917- 1979წწ.) ღვაწლი. ეროვნებით ბერძენი, ის მუშაობდა აშშ-ში ატომურ პროექტზე (მისი ნამდვილი გვარია ალფრედ სარანტა). როგორც ბერიას აგენტი, ის 1950 წლიდან გამოიქცა ქ.პრაღაში, ხოლო 1956წელს მიიწვიეს სამუშაოდ ქლენინგრადში. მალე მარშალ დ.უსტინოვის ინიციატივით ის გახდა ზელინოგრადის (მოსკოვის ოლქი) კომპლექსის მეცნიერ- ხელმძღვანელი. ჩინოვნიკთა ინტრიგების გამო სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა ქვლადივოსტოკში.

ხალხი იდგა. სამხედროები მიყვარს, რიგში მეც ჩავდექი. პალტოს ზედა ჯიბეში იმ დღეს ნაყოდი სათვალე მეღო. მოულოდნელად, უკნიდან ხალხის ნაკადი მომაწვა. ჩემს წინ ძღვომ ჯარისკაცებს მოუწიათ ცოცხალი ჯაჭვით ხალხის მასის შეჩერება. მე საერთოდ ვერ ვინძრეოდი, ისე ვიყავი ჩახუტებული ჯარისკაცებთან და გადავწყვიტე ჰყლეტისგან თავის დაღწევა:

- , - ვყვიროდი მე.
- , 0 , . . . მპასუხობს ჯარისკაცი.

ძლივს გავაგებინე, რომ რიგიდან გამოსვლა მინდოდა. გამომათრია და ერთი პანლურიც მომაყოლა...

ასე დამამახსოვრა თავი კ. ვოროშილოვმა, რომელსაც შურდა მარშალ მ.ტუხაჩევსკის და მისი რეპრესიების მიზეზად თვლიან.

ომარ შუდრა
**ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორი, ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

„სახელი შვეიცარი რჩება“



**თამაზ კანდელაკი,
საქართველოს რესპუბლიკური
გაერთიანება სამტრესტის
მმართველი**

როდესაც გამოჩენილი, ვალმოხდილი ადამიანები მიდიან ამ ცოდვილი წუთისოფლიდან, აუტანელი სიცარიელის გრძნობა ისადგურებს ოჯახის, შვილების, შვილიშვილების, ახლობლების, მეგობრების, მეზობლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა გულებში. იშვიათად თუ ვინმე შესძლებს ამგვარი მწუხარე გრძნობის გაფერმკრთალებას. მხოლოდ ხშირად გვახსენებს თავს ფართოდ ცნობილი ლექსის პრკარები - „სახელი ქვეყანადა

რჩება“. ამგვარი ამაფორიაქებელი სიცარიელე ჩამოდგა თამაზ კანდელაკის უდროო წასვლის შემდეგ. მისი მაღალი სახელი კი დარჩა ამ ქვეყანაზე, ფიზიკური ცხოვრება სულიერმა ცხოვრებამ შეცვალა, რასაც მარადიული არსებობა ეწოდება.

თამაზ კანდელაკი იყო გამოჩენილი ქართველი ტექნოლოგი, საქართველოს პირველი მედვინე. ეს კი დიდ პოეტობაზე არანაკლებ რთულია და არანაკლებ საპატიო, რადგან მედვინეობა არის საქართველოს ტრადიციულად უპირველესი და უძველესი დარგი, მთელი ქვეყნის სავიზიტო ბარათი, ყოველი ქართველისათვის საამაყოსფერო.

თამაზ კანდელაკი იყო თავმდაბლობისა და წესიერების ნიმუში, თავის უამრავ რეგალიებს, წოდებების მინიჭების ღოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხსა თუ ოქროს მედლებს, არასოდეს აფიშირებას არ უწევდა. ცოტა ვინმებ თუ იცის, რომ გამოჩენილი ქართველი მედვინე-ტექნოლოგი იყო ფართოდ გახმაურებული ქართული სამარკო ღვინოების ავტორი, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის მედვინეთა ასოციაციის წევრი, მედვინეობის პრობლემებზე კონგრესების უცვლელი მონაწილე, საერთაშორისო კლასის მედვინე – დეგუსტატორი, მედვინეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, მედვინეობისა და ვაზის კულტურის დაწესი მრავალი სამაგიდო წიგნის, ჟურნალების

ავტორი და რედაქტორი, მელვინეობის დიდი ორგანიზაციონი და მელვინეთა თაობების საამაყო ხელმძღვანელი.

თამაზ კანდელაკი აღიზარდა ისეთ ოჯახში, სადაც ეს უმნიშვნელოვანესი სფერო სამშობლოსათვის ნამდვილი სამსახურის ასპარეზს წარმოადგენდა.

მამამისი, ასევე გამოჩენილი მელვინე ბატონი გური კანდელაკი, იყო წინანდლის ღვინის ქარხნის მთავარი მელვინე, თბილისის ცნობილი №1 ღვინის ქარხნის დირექტორი, საქართველოს სამტრესტის მთავარი მელვინე, მელვინე-ტექნოლოგების თაობათა აღმზრდელი. ბავშვობის წლებიდანვე ამგვარ ატმოსფეროში აღზრდილმა თამაზ კანდელაკმა მამის პროფესია აირჩია, ცხოვრების გზა კიდევ უფრო სახელოვნად განვლო და განავითარა, რაც ჩვენს არეულ-დარეულ დროში არცთუ ხშირად გვხვდება და სამაგალითოსთან ერთად მისასალმებელი ფაქტიცაა. თითქოს გაცხადდა ბრძნული სენტეცია: „ის ურჩევნია მაჟულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა“, რაც მუდმივი მოძრაობის, წინსვლისა და წარმატების ნათელი სინონიმია.

თამაზ კანდელაკი იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული ტექნოლოგი, პროფესორი, თაობების აღმზრდელი, აგრარულ უნივერსიტეტში სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, მომავალი თაობების მოამაგე და გზის დამლოცველი.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით მსოფლიოს ორმოცამდე ქვეყანაში მოეწყო ქართული ეროვნული მელვინეობის დარგის წარმატებული გამოფენე-

ბი, დაიბეჭდა მრავალი წიგნი, გამოიცა მაღალი დონის ილუსტრირებული ჟურნალები და ბუკლეტები, უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა ასეულობით საინფორმაციო-შემუცნებითი სტატია, რაც ძირითადად ქართული ეროვნული მელვინეობის დარგის პოპულარიზაციისა და წარმატებების სურვილებით იყო განპირობებული. ის იყო მთავარი რედაქტორი ჟურნალისა ვაზისა და ღვინის შესახებ, ამავე თემაზე წიგნების ავტორი, უამრავი სასიკეთო საქმის წამომწყები და ორგანიზატორი.

ჩემს პირად ბიბლიოთეკაში მოვიძე ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებზე უმაღლეს დონეზე გამოცემული ილუსტრირებული წიგნი-აღბომი „ვენახი, ღვინო და ქართველები“, რაც 2004 წელს თამაზ კანდელაკის დაუღალავი შრომის შედეგად გამოიცა. განსაკუთრებული თავდადებით მუშავეს ამ სქელტანიან, უდავოდ ეროვნულ წიგნზე თამაზმა და გამოჩენილმა ქართველმა გრაფიკოსმა გოგი წერითელმა.

მინშვნელოვან ნაშრომში ქართული საუკუნოვანი ტრადიციები, ქართული კაზისა და ღვინის წარსული და აწმყო, სიძველისა და თანამედროვეობის რეტროსპექტიული ჩვენება ძალზე შთამბეჭდავადაა გადაწყვეტილი, რაც არა მარტო ქართველ მკოთხველს, არამედ საზღვარგარეთის ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლებსაც დიდად დააინტერესებს.

წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ასეთ

მნიშვნელოვან ადგილას (გამოფენა მოწყობილობისათვის, საქართველოს, ინგლისისა და ირლანდიის მონაწილეობით – ნ.წ.) საქართველო აღიარეს ლენინის აკვნად, ქვეყნად, სადაც ადამიანმა პირველად მოაშინაურა გარეული ვაზი, დაწურა ყურძენი და დააყენა ლენინი“ ამგვარმა დიდმა მიღწევაშ წარმოშვა იდეა, რომ გამოცემულიყო უართო მასშტაბის წიგნი-ალბომი, რაც დიდი შრომის შედეგად განხორციელდა კიდეც.

საკმარისია გაეცნოთ ამ საეტაპო მნიშვნელობის წიგნ-ალბომის თავების ანუ განყოფილებების სარჩევს, რომ დაინახოთ რამსელა ისტორიული ექსკურსია გაგეოგრაფიული და რა საჭირო მასალაა შეგროვებული: „საქართველოზე; „ნეოლითური რევოლუცია“ და ვაზის ათვისების პირველი სტადია; მტკვარ-არაქსის კულტურა და ლვინის კულტი; თრიალეთის კულტურა და მეღვინეობა; მეღვინეობა მეორე ათასწლეულის ბოლოსა და პირველის დასწყისში, ვაზი და ირიგაცია; ლვინის კულტი რელიგიათა გზაჯვარედინზე; „მე ვარ ვენახი“...; „შენ ხარ ვენახი“...ჯიშმრავალი ვაზი; ვენახი, ყურძენი და ლვინო; მეღვინეობა შუა საუკუნეებში; გუშინ ... დღეს ... ეპილოგი; უმთავრესი მოვლენების ქრონოლოგია; საქართველოს ვაზის ჯიშები“.

ღრმა შინაარსისა და შესაბამისად მისადაგებული მიმზიდველი ილუსტრაციების გამო ქართულ-რუსულ-ინგლისურ-ფრანგულ ენებზე გამოცემულმა ამ ბრწყინვალე წიგნმა-ალბომმა ფარ-



**თამაზ კანდელაკი,
თბილისის კონიაკის ქარხნის
ახალგაზრდა ტექნოლოგი**

თო მასშტაბის მოწონება დაიმშახურა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. სამწუხაროა, რომ ამგვარ დიდმნიშვნელოვან წიგნს საქართველოს სახელმწიფო პრემიაც კი არ მიენიჭა, როცა სპეციალისტების აზრით რუსთაველის პრემიასაც უდაოდ იმსახურებდა.

თამაზ კანდელაკის სასახელო საქმეების შესახებ ჩემზე უკეთ იტყვიან მისი უახლოესი მეგობრები, თანამოსაქმენი, კოლეგები, მე კი ზოგიერთ ცხოვრებისეულ ფაქტსა და მოვლენას გავიხსენებ მისი კაცობისა და დიდი ადამიანობის სფეროდან.

თამაზ კანდელაკს ბაგშვილიდანვე ვიცნობდი, ერთ უბანში ვცხოვრობდით, ერთი და იგივე სკოლაში ვსწავლობდით. ეს იყო იმ პერიოდისათვის საკმაოდ ცნობილი თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო, ყოფილი 25-ე შრომითი, დღეს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 53-ე სკოლა.

ჩემი უფროსი ძმა ჯონდო წერ-
ეთლი თამაზ კანდელაკთან ერთ ჯგუფ-
ში სწავლობდა, მე მხოლოდ ერთი
კლასით ვიყავი უკან და წინაკლა-
სელებთანაც ვმეგობრობდი. იმ შორეულ,
დაუკიტყარ წლებში მაღალი, ბიჭურად
ლამაზი, ბუნებით წესიერი და კეთილ-
შობილი თამაზ კანდელაკი პოპულარუ-
ლი იყო ბიჭებშიც და გოგონებშიც.

შემდეგი წლების დროს, როცა
თამაზმა უმაღლესი დაამთავრა და
გულმოდგინე საქმიანობას შეუდგა, ერთი
დღითაც არ გაუწყვეტია ურთიერთო-
ბა სკოლის მეგობრებთან, ძალიან ხშირ-
ად ხვდებოდა მათ, ეს თბილი შეხვე-
დრები დიდ სულიერ სიამოვნებასაც
ანიჭებდა. ანცუთ ხანგრძლივი ცხოვრე-
ბის მანძილზე მისი ძალიან ახლო
მეგობრები იყვნენ შესანიშნავი ქართვე-
ლი ბიჭები, საუკეთესი ქართული
ოჯახების შვილები მურმან კიკალიშ-
ვილი, ოთარ ფრანგიშვილი, ბიძინა ბოკ-
ერია, ზაზა გაბაშვილი, ღვთის მადლით
ჯერაც კარგად მყოფები გივი ანჩაბაძე,
თემო შელევია, თამაზ პაიჭაძე, ჯუმბერ
ხანთაძე და სხვები. ასევე მისი უახ-
ლოესი მეგობრები იყვნენ ფართოდ ცნო-
ბილი ქართველი მეღვინეები: გამოჩენი-
ლი ქართველი კალათბურთელი ვაჟა
ქლენტი, ბონდო კალანდაძე, ზურაბ
სტურუა, კოტე ბაქრაძე, საბა ჭელიძე,
გივი გუჯეჯიანი, ელგუჯა ბაკურაძე
და სხვები. მაშინაც კი, როდესაც თამაზ
კანდელაკი საქართველოში ერთ-ერთ
უდიდეს და უმნიშვნელოვანეს გაერ-
თიანება „სამტრესტს“ ხელმძღვანელობ-
და და დილიდან შუაღამემდის სამ-
სახურსა თუ ქვეყნის ყველა რაიონში

უწევდა ყოფნა, მეგობრებთან სისტემა-
ტურ ურთიერთობას მაინც ახერხებდა,
მათთან ჭიქის აწევა ძალიან უყვარდა.

მახსოვს 1992-1994 წლები, საქართველოსთვის უმძიმესი ხანა, როცა
შინა აშლილობასა და შუღლს
უზარმაზარი რუსეთის მიერ ინსპირ-
ირებული არეულობაც დიდად ძაბავ-
და. ქვეყანაში გაჭირვება სუფევდა,
პურიც კი აღარ იშოვებოდა, გრძელზე
გრძელი რიგები იდგა მაღაზიებთან, რომ
დაბალი ხარისხის ფქვილისაგან გა-
მომცხვარი პური გვემოვნა და მერე
მისატანებელზე გვეზრუნა. ამ უმძ-
იმეს პერიოდში თამაზ კანდელაკი
ხშირად კაცურად შემოგვეშველებოდა
— ხოლმე, ცდილობდა შექმნილი მძიმე
მდგომარეობიდან დროებით მაინც ჩვენს
გამოყვანას.

61 წლის ასაკში უდროოდ დაღუ-
პული ჩემი უახლოესი მეგობრის, ვა-
ჟაკაცობითა და სიკეთით ცნობილი
პიროვნების, ტრესტ „კოლხიდმშენის“
მმართველის ბორია ინასარიძის ხს-
ოვნისადმი მიძღვნილი პატარა წიგნის
„სიკვდილამდე დარჩენილი ერთი
ნაბიჯის“ ფურცლებზე შემთვდა ადგ-
ილი, რამაც ცხადად გამახსენა თითქ-
მის 20 წლის წინანდელი თბილი შეხ-
ვედრები. აქაც მინდა მოვიტანო დამ-
ახასიათებელი ნაწყვეტი:


„ერთ დღეს თამაზ კანდელაკთან
ვიყავით წყნეთში. სუფრის გაშლამდე
ნარდს მივუჯექით. მერე წავიქეიფეთ
და გვიან დავეშვით თბილისისაგენ,
დიდხანს სიამოვნებით ვიარეთ ფეხით,
სანამ მანქანს გავაჩერებდით.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ავედოთ თამაზთან, შემოდგომის ყვითელი ფერებით იყო განათებული მიდამო, უსაზღვროდ გვსიამოვნებდა სიმშვიდე და სიგრილე... წესისამებრ დაუვიწყარი მეგობრული დრო გავატარეთ წყნეთში“.

თამაზს ძალიან უყვარდა ასვლა და ფუსფუსი თავის პატარა სახლში.

ყველაზე ხშირად თან ახლდა დაუვიწყარი პიროვნება, თანაკლასელი მეგობარი მურმან კიკალიშვილი, ისიც მაღალი, წარმოსადევი, კაცურად ლამაზი ქართველი ბიჭი, ან თუ მას არ ეცალა რომელიმე სხვა მეგობარი. იქვე ჩვენს თვალწინ მზადდებოდა კერძები, იწვებოდა მწვადი, მერე კი მივუსხდებოდით სუფრას, რამდენიმე საათის მანძილზე ვსვამდით მშვენიერ ქართულ ღვინოს, ვამბობდით საღლეგრძელოებს, ვიგონებდით ათას ამბავს წარსული დღეებიდან და გარშემო გამეფებულ გაჭირვებას ვეთიშებოდით, მიღებული სითბო და საუცხოო განწყობილება კი დიდხანს გაგვყვებოდა ხოლმე.

ყოველმხრივ სამაგალითო, ღირსებითა და შინაგანი კულტურით გამორჩეული კაცი იყო, სამაგალითო, გნებავთ სანიმუშო ადამიანი. უსაზღვროდ უყვარდა საკუთარი ოჯახი, ორი ქალიშვილი. შვილებს აღმერთებდა, მათ ბედნიერ მომავალზე განუწყვეტლივ ფიქრობდა, მათთვის საუკეთესო განათლების მიკემით იყო დაკავებული, კარგ მომავალზე ზრუნვას დიდ დროს უთმობდა. შემდგომში, როცა შვილებმა ცნობილ მეუღლეებთან ერთად თითით საჩვენებელი ოჯახები შექმნეს, სული-



**თამაზ კანდელაკი ღვინის
ღვეუსტაციის დროს**

ერად კმაყოფილი იყო. ხშირად უყვარდა ხოლმე თქმა: შინაგანად გული მწყდებოდა ღმერთმა ვაჟიშვილი რომ არ მარგუნა, თუმცა ისეთი სიძეები შემახვედრა, შვილებში არ ვარჩევო. სიძეებთან უაღრესად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა, თითქმის ყოველდღიური, მათი კარგი სახელი ახარებდა, მათთან ურთიერთობა სიამოვნებდა. — ღმერთმა თუ ვაჟიშვილი არ მომცა, სამაგიეროდ ოთხი შვილიშვილით დამაჯილდოვა, ოთხი ერთმანეთზე ულამაზესი ბიჭითო, — სიამაყოთ ამბობდა ხოლმე. ისიც უხაროდა, რომ ერთ-ერთს მისი სახელი თამაზი ერქვა. შვილიშვილებისადმი მხურვალე სიყვარული და მათზე განუწყვეტელი

ზრუნვა ყველაზე სასიამოვნო და აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა. შვილიშვილებსაც ძალიან უყვარდათ თავისი ბაბუა. თამაზის დაკრძალვის დღეს მსიც პირველი შვილიშვილი ნუგზარიკო უცხოეთის შორი ქვეყნიდან გადმოფრინდა და ცხარე ცრემლებით გააცილა უკანასკნელ გზაზე მიმავალი ბაბუა.

წესის აგების ცერემონიალის დროს ათ წელს მიახლოებული ნიკუშა წერეთელი ჩემს წინ იდგა, მართალია ბოლომდე ყველაფერს ვერ ხვდებოდა, მაგრამ ისე თრთოდა და ისეთი ცხარე ცრემლებით ტიროდა, რომ მისი შეშხედვარე ვერავინ ტირილს ვერ იკავებდა, ოთოს და თაზოსაც ღრმა მწუხარება ეწერათ სახეზე და ბაგშვის უმანკო ცრემლი ადგებოდათ.

ზედმიწევნით ტრადიციული, ღირსეული ქართველი კაცების მსგავსად წინაპრების, მშობლების ხსოვნას პატივისცემას არასოდეს აკლებდა. მოხუცებულ დედას ისეთი მოწიწებით, ისეთი სითბოთი ექცეოდა, შეიძლებოდა ადამიანს შეშურებოდა კიდეც. ნამდვილი ოჯახიშვილი იყო, უმაღლეს დონეზე აღზრდილი. მამამისი სახელგანთქმული მეღვინე გური კანდელაკი დიდი დამსახურების გამო საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. თამაზი გულიანად უვლიდა მამის საფლავს, შემდგომ მშობლების მუდმივ ადგილსამყოფელს. ხშირად მარტოც დადიოდა, სამარის ყველა დეტალი მისი მონაწილეობით გაკეთდა, დასრულებული სახე მიიღო, მერე თავადაც უდროოდ და მოულოდნელად საკუთარი დედ-მამის გვერდით

პპოვა საუკუნო ნავსაყუდელი სახელოვნად განვლილი ცხოვრებითა და საქართველოსთვის გაკეთებული საამაყო საქმებით ვალმოხდილმა.

სკეულით, მოვალეობის გრძნობით დამუხტებული ადამიანი იყო, ბუნებრივად, ძალდაუტანებელი ცხოვრობდა, რაც კი შეეძლო სურდა ყველას დახმარებოდა, ყურადღება, სითბო, ახლობლობა არავისთვის დაეკლო. ამ დიდ ადამიანურ თანადგომას ყოველდღიურად გრძნობდნენ დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილ-მამიდაშვილები, მისი დიდი გულის სითბო ყველას სწვდებოდა და ყველასთან იმედიანი განწყობით მისვლას ახერხებდა.

ადამიანური თანაგრძნობის უნარი სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჯდარი. 2006 წელს მამიდაჩემი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ წერეთელი მარტოობაში გარდაიცვალა. 97 წლისას მზრუნველი დისტული უვლიდა საგარეჯოს სააგარაკო სახლში. უთბილისოდ კი ვერ გაძლო, ჩემი მეგობრები მომქნატრა, აქ ვერავის ვერ ვხვდებიო, - განაცხადა და საკუთარ ერთოთახიან ბინას დაუბრუნდა ქალაქის ღრმა ცენტრში, ორბელიანის ქუჩაზე. ერთი წელი გაატარა მეგობრების შეხვედრა – ნატვრაში და მარტოდ – მარტო აღესრულა. თამაზი გვერდიდან არ მომცილებია, პანაშვიდებზე დაღვრემილ – დამწუხრებული იდგა, უკანასკნელ გზაზეც გააცილა და სხვა სამყაროში გადასული მამიდის შესანდობარიც წესისამებრ შესვა.

წიგნები ძალიან უყვარდა, უაღრესად განათლებული და წიგნიერი კაცი იყო. უკრნალ – გაზეთებსა და ახალ წიგნებს დიდი ინტერესით კითხულობდა. ჩემი ავტორობით დაბეჭდილი ყველა წიგნს ვჩუქნიდი, აუცილებლად კითხულობდა, მერე შეხვედრისას ან ტელეფონით თავის პირუთვნელ აზრს მიზიარებდა, რომანი „დაუსრულებელი ზამთარი“ ძალიან მოეწონა, სკოლისა და ახალ-გაზრდობის წლები გამახსენაო.

თავადაც გულმოდგინებ, დაუღალავად მუშაობდა უმნიშვნელოვანესი წიგნების გამოსაცემად, ძირითადად ქართული მეღვინეობის ისტორიასა, დღევანდელობასა და პერსპექტივებზე. ძალიან მოსწონდა სქელტანიან ილუსტრირებულ წიგნებზე მუშაობა გამოჩენილ მხატვარ-გრაფიკოს გოგი წერეთელთან ერთად. „ასეთი ნიჭიერი და პატიოსანი კაცი ჯერ არ შემხვედრია, მაგასთან მუშაობა ნამდვილი სიამოვნებააო“, - მითხრა.

მატყუარა, არაკეთილსინდისიერ ადამიანებს დასანახავად ვერ იტანდა, მათთან ურთიერთობას მომენტალურად წყვეტდა, თავად კეთილი, უბოროტო და მიმტევებელი სხვებშიც მსგავს მისასალმებელ თვისებებს ეძებდა. ჩვენს არეულ-დარეულ ცხოვრებაში უხვად არ სებული მანკიერებები აწუხებდა, აფიქრებდა, აფორიაქებდა. სუფრაზე შეხვედრისას იცოდა – ხოლმე ყველაფერი მიუღებლის კრიტიკა, სიმართლეს ვერ მაღავდა, სულ საქართველოს უკეთეს მომავალს ნატრობდა,

ცხოვრების საფუძვლად საუკეთესო ქართული ტრადიციები მიაჩნდა.

თანამედროვე საქართველოს პირველი ანუ გამოჩენილი მეღვინე-ტექნოლოგი, ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, კაცური კაცობის ძნელად მოსაპოვებელი სახელის ღირსეულად მატარებელი თამაზ კანდელაკი 79 წლისთავის დაბადების დღიდან, რაც ყოველთვის 28 ობერვალს აღინიშნებოდა, ზუსტად ერთი თვის თავზე, 28 მარტს აღესრულა. მას უკანასკნელ გზაზე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისკენ ზღვა ზალზი და ცრემლიანი თვალები მიაცილებდა.

წავიდა თამაზი, მისი მაღალი სახელი და სამარადისო ხსოვნა კი დარჩა, ის სულიერ ცხოვრებას აგრძელებს შვილებში, შვილიშვილებში, ახლობლებში, რომლებიც ყოველთვის მაღლიერების გრძნობით იხსენებენ და მომავალშიც სიამაყით გაიხსენებენ წმინდა ხსოვნის შეუბლალავად.

პირადად მე როგორც კი თბილის უნივერსიტეტის წინ გავივლი, რაც ყოველდღიურად ხდება, თვალები წამსვე მისი სახლისაკენ გამირბის და გაუწელებელი გულისტკივილით მახსენდება მაღალი, კაცურად ლამაზი, სიკეთით, სითბოთი და კეთილშობილებით სავსე თამაზ კანდელაკი, ვინც ღირსეულზე ღირსეულად განვლო ცხოვრების ურთულესი გზები და ისეთი სახელი დატოვა, დავიწყების ბურუსი ვერასოდეს რომ ვერ დაფარავს.

საქართველოს სახალხო არტისტი
ნინო ჩხეიძე

წლოვანებას თვითონ არ მაღავს, თორებ მანდილოსანს, თუნდაც ხანდაზმულს, წლოვანებას როგორ კითხავდი. ოთხმოცდაცამეტისა ყოფილა ქალბატონი ნინო ჩხეიძე (ნინიკო, როგორც მას თითქმის ყველა ეძახის) – საქართველოს სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, დიდი უშანგი ჩხეიძის უმცროსი და.

მას ვიცნობ 1952 წლიდან, როცა ჩვენს ეზოში ყოფილ კამოს ქუჩაზე, ოთხსართულიანი სახლი ააშენეს და ბატონ უშანგის პირველ სართულზე მშვენიერი ბინა მისცეს. აქ მასთან ერთად გადმოვიდნენ დედა უსათნოესი ქალბატონი ქრისტინე და მისი და ნინიკო, რომელიც ძალიან მალე გაეცნო მეზობლებს და კარგი ურთიერთობაც დამყარა. ახლა ამ ბინაში უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმია, რომელიც ქალბატონ ნინიკოს საოცარი მონდომებით შეიქმნა და ახლაც დიდი რუდუნებით უვლის ქალიშვილთან, ასევე მსახიობ მაია ტატიშვილთან ერთად.

ძალიან ვწუხვარ, რომ ლეგენდა უშანგი მხოლოდ ლოჯის ფანჯარასთან მოსული მინახავს, დღესაც, მეც უკვე ხანდაზმულს, არ მავიწყდება მისი ფიქრიანი თვალები, საოცარდ რომ ასხივებდნენ! იმასაც ვნანობ, რომ ნინიკოს მიპატიუების მიუხედავად ვერ გავძელე ბინაში შესვლა და დიდ მსახიობთან მისალმებაც კი. არც შემდეგ მისი გარდაცვალება და გრანდიოზული გასვენება მავიწყდება.



ყოველ ზაფხულში გამოამზეურებს ხოლმე ნინო უშანგის ტანსაცმელსა და თეატრალურ კოსტუმებს, რამდენჯერ შევჩერებულვარ ურიელ აკოსტას კოსტუმთან და მინატრია – ნეტავ სცენაზე მენახა-მეთქი!

შესაშურია ქალბატონ ნინოს გარჯა, რომ ბატონი უშანგი უკვდავ მამულიშვილთა გვერდით მთაწმინდაზე გადაესვენებინათ, დრომ ხომ დაადასტურა მისი უკგადავება და სამართლიანად მიუჩინა ადგილი ამ წმინდა მიწაზე. ანდა როგორი საქმეა გამოჩენილი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის ნაქანდაკევი ძეგლი ჩამოასხმევინო, რომელიც დაიდგა კიდეც მსახიობის საფლავზე.

... ამ რამდენიმე დღის წინ ქალბატონმა ნინიკომ დამირეკა და მთხოვა მასთან მივსულიყავი. სულ ორი-ოდე წუთი ვილაპარაკეთ. მერე კი

თავისი ხელით დაწერილი „წერილი-გახსენება“ და ნოველა „ფიქრები“ გადმომცა. ყველამ იცის როგორ კარგად წერს ქ. ნინო. მან ხომ მშვენიერი მოგონებები თავის უკვდავ მძახე წიგნად „უშანგი“ გამოსცა! მის კალამს ეკუთვნის მეორე წიგნი, „აბსურდისტანი“ და მესამე წიგნსაც გვპირდება ეს უბერებელი, მხნე, ომახიანი ქალბატონი ნინიკო! შვილიშვილსაც და შვილთაშვილსაც მოესწრო და იმედი გვაქვს უკვე სტუდენტი ნიკოლოზის შვილსაც ჩაიგორებს კალთაში.

მრავალუამიერ ჩვენო ნინიკო!

გთავაზობთ ქ-ნ ნინოს „წერილ-გახსენებასა და „ფიქრებს“

ნოდარ ზედელაშვილი
საქართველოს დამსახურებული
უურნალისტი

ბატონო ნოდარ

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე (ახლა 93 წლის ვარ) ბევრ მოვლენას მოვესწარი. მოვესწარი მუნჯ კინოს, მოვესწარი ადამიანის კოსმოსში გაფრენას, მოვესწარი მაგნიტოფონის გამოგონებას (1946 წელი) და მოვესწარი ამ მაგნიტოფონზე, უშანგი ჩხეიძის პოზიტის და პროზის შედევრების ჩაწერას.

მოვესწარი შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმას – ზემელზე, მოვესწარი ტელევიზიის გამოგონებას, მოვესწარი კოტე მარჯანიშვილს და მოვესწარი უშანგის ძეგლის გახსნას მთაწმინდაზე – უშანგის საფლავზე – მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის ესკიზის და მაკეტის მიხედვით, ბრინჯაოში გა-

ცოცხლებულ უშანგის. ბრინჯაოში უშანგის ჩამოსხმა ძალიან ძვირი დაჯდა. დამეხმარნენ ამ საქმეში ჩემი საგვარეულოს ჩხეიძეები, რომლებსაც დიდი თანამდებობები აქვთ დღეს.

დამეხმარა მსახიობი ბატონი ოთარ მელვინეთუხუცესი და თვითონ უშანგის სამეცნიერო შეილები. დამეხმარა ზესტაფონის მთავრობა. უშანგის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით, ელგუჯა ამაშუკელის ქვრივმა – პოეტმა ლია სტურუამ მოითხოვა საავტორო ჰონორარი 10 ათასი ლარი და მივეცით კიდეც და უშანგის ძეგლის გახსნაზე რა ამბავიც იყო თვითონ ნახეთ თქვენც და ჩვენმა მეზობლებმაც.

ახლა ვამზადებ ჩემს მე-3 წიგნს გამოსაცემად: ჩემი პირველი წიგნია „უშანგი“, ჩემი მეორე - „აბსურდისტანი“.

იგი გერმანელმა კინორეჟისორმა ფაიტ ჰელმერმა გადაიღო დაღესტანში-ლაპიჯში, რომელშიც მე ერთ-ერთ მთავარ როლს ვთამაშობ (ასიას). გადაღებები მქონდა კავკასიონის მთებსა და ტაფობებში.

ბატონო ნოდარ, ახლა თუ არ გძინავთ, გთხოვთ, მობრძანდეთ ჩემს ფანჯარასთან ქუჩის მხრიდან და იქ მოგაწვდით ჩემს დაწერილ „ფიქრებს“, ამ ნოველამ თავის დროზე დიდი პრემია მიიღო.

თქვენი კეთილისმსურველი
მსახიობი ნინო
(ნინიკო) ჩხეიძე
2013 წელი, 10 თებერვალი

ჩემი ნოველა „ფიქრები“ დაწერილია 1972 წელს და ეხება იმ პერიოდს, როდესაც ჩემი შვილი მსახიობი მაია ტატიშვილი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო.

ნინო ჩხეიძე „ფიქრები“ (თეატრალური ინსტიტუტის დაარსებიდან 30 წლისთვის იუბილე. ვუძღვნი მსახიობ დიმა ჯაიანს)

...შენ პეტ, ბიჭო, ეგრე გამეტებით, რომ მირტყამ მაგ ფეხებს, ვერა ხედავ, რომ სულ დამიგლიჯვე მკერდი? ცოტა ნელა იარე შე ოხერო, შენა...

...ეკ შვილოსან..., მე განა ასეთი ვიყავ წინათ... ჩემი აშოლტილი ტანი მშვენება იყო ერთი დაბურული თვალუწვდენელი ტყისა და ჩემი მძალვრი ტოტები ქარიშხალში რომ მიწამდე იზნიქებდნენ..., ელვის ხმალივით ფლეთ-და გრიგალის გულმუცელს, რომ სხვები დამეცვა.

ზამთრის ცივ დღეებში ვუჭვრეტდი ცის ტირილს, რომელსაც თავისი გამჭვირვალე კამკამა ცრემლები ალბათ დასახნევათ ენანებოდა... ღრუბლების კალთებს უხილავი ხელებით ეპოტინებოდა..., იკარწახებდა... შიგ ცრემლებს აგროვებდა, ... მაგრამ ვერ იჭერდა მსუბუქ კალთებს, ვერ იმაგრებდა და უსხლტებოდა..., ეხსნებოდა და ებნეოდა პატარა პეპლებივით მოფარფატე თოვლის ფიფქებად..., ჩემსკნ ცეკვა-ცეკვით და სიცილ-კისკისით რომ მოეშურე-

ბოდნენ... ერთ რამედ ღირდა მათი ყურება და მეც ღვთის მადლით არავინ მიშლიდა...

... ალბათ დრო მიდიოდა და გაზაფხული თავისი ნებითა და სურვილით კარზე მომდაგებოდა..., ქოჩირს ამიშლიდა..., ფოთლებს ამიშრიალებდა... და ალერსიანი ჩურჩულით თავისი ურუანტელის მომგვრელ თბილ სუნთქვას გულში ჩამიღვრიდა... თრთოლვა ამიტანდა..., მხრებს გავშლიდი და სადღაც გაფრენა მინდოდა ცის უსარულობაში..., მაგრამ სად წავიდოდი...

... ჰოდა ასე, ვიყავი ჩემთვის არხეინად, უდარდელად. არც არავის არაფერს ვუშავებდი... და არც არავინ არაფერს მიშავებდა... მაგრამ, ვაი რომ ასე არ გაგრძელდა ბოლომდე ჩემი ყოფა...

... ერთ დღესაც ... აგრემც დაიქცა ის დღე და საათი... ვიღაცები მოვიდნენ და აკი მომჭრეს..., მეც წამომაქციეს და სხვებიცა..., არ დავენანე მაინც იმ უღმერთოებს...

... ჩემი ტანი რომ შეუილითა და ტოტების ლაწა-ლუწით ძირს გართხმული ვნახე, გული ამომიჯდა და მწარედ ავტირდი... მაგრამ არავის ესმოდა ჩემი წუხილი...

... წამიღეს, სადღაც გამაქანეს და აი, პატარ-პატარა ფიცრებად დამჭრეს, ამ შენობაში მომიტანეს და იატაკად დამაგეს... დამაგეს იატაკად და აგერ რამდენი წელია აქა ვაარ.

... კიდევ კარგი ასეთ მხიარულ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებით სავსე შენობაში მოვხვდი და არა უღიმღამო ან პირქუში სასახლის კედლებს

შორის... რა ვუყოთ მერე თუ ხანდახან დასვრილი ფეხებითაც მქელავენ, და გულმკერდიც თუ მათგან დაღარული მაქს და ამოძნებილი... ახალგაზრდები არიან, გიყმაჟებით...

... დაუდევარნი... მოდიან და მიდიან... მოდიან და მიდიან დაუსრულებლად... განუწყვეტლივ... ალბათ დროც მიდის, მე ვერ ვამჩნევ თუ არა... ამასწინათაც იმოდენა რია-რია იყო, მეგონა რაც დუნიაზე ხალხია, ყველა ჩემს ჯიბრზე აქ შემოვიდა... რათა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ ჩემი უძლეველი მკერდი გაუძლებდა თუ არა...

... გავუძელი და კარგადაც ვარ. ცოტა დავიღალე და თვალი მივლულე... ღამის ბურუსის იღუმალებით მოცული ჩემთვის ვთმლემდი... და... აკი ის ცელქი და მოუსვენარი მთვარის შუქის ნამცეცა წვრილი სხივი გულზე დამეცა... საიდან შემოძრა არ ვიცი... სხვა დროს არ მინახავს და... იმან ხომ ყველაფერი იცის, დადის თავის სამფლობელოში და დასრიალებს... ისეთი ცნობისმოყვარეა ყველაგან იჭყიტება... პოდა მეც მესტუმრა, და იცით რა მითხრა იმ მადლიანმა... რამდენი იქაქანა, და რამდენი იტიტინა...

... შენაო... მე მითხრა... პარკეტი ხარო, მუხის პარკეტიო... ესაო ინ-სტიტუტიაო... ესაო უბრალო რამე კი არ გეგონოსო... აქაო სცენააო, აქაო ხელოვნებააო... არტისტობაო... დიდე-

ბაო... ტაშებიო, აღტაცებაო, ერის სულიო, კულტურაო... და რა ვიცი კიდევ რა თქვა იმ დაღოცვილმა... შე მართლა ხე და ნაფოტოო, მე მომაძახა... შე უკრძაბელოო... აქამდე როგორ ვერ გაიგე სადა ხარო... და ვისთანა ხარო... ამდენი წლებიო... გაბრაზდა, აპილპილდა და გაიჭაჭა... ის პაწაწინა სხივი მთავრისა, შარიშურით თავისი სხივების კაბა გადაჭრა სიჩქარითა და გაუჩინარდა...

ბიჭოს... მე პარკეტი ვყოფილვარ თურმე... ინსტიტუტის მუხის პარკეტი... თურმე ჩემს მკერდს მომავალი მსახიობები დალაჯებენ... იზრდებიან... და მიდიან ცხოვრების დიდ და ლამაზ გზაზე...

... ასში ერთი ხომ მაინც დადგება დიდი ოსტატი... ხომ აენთება ჩირალდანივით აელვარებული სცენის ვარსკვლავად... ჰოდა მეც მეტი არაფერი მინდა...

... მოდი ბიჭო შენი ჭირიმე... დამკარი შენი მძლავრი ფეხი გულმკერდზე... დამფლითე... დაწყვიტე... ჩემი გულის ძარღვები, ალალია შენ გენაცვალე, შენა... იქნებ სწორედ შენ ხარის ჭაბუკი ხელოვნების სიყვერულით რომ აელვარდები... ჩაუქრობელ კელაპტარივით, რომ აენთები... და შენს გულს დასწვავ და დაფერფლავ მის სიყვარულში...



ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი გივი მერაბიშვილი, წლების მანძილზე მოღვაწეობს „საზოგადოება ცოდნაში“, მუშაობს მომსახური თაობის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემატურ საკითხზე. ამავე დროს პროფესორი გ. მერაბიშვილი ეწეოდა და ეწევა საკუთარ შემოქმედებას. გთავაზობთ მის ორ საინტერესო ნაწარმოებს.

ხალხი და ხელისუფალი

ნიკო და სიკო მეგობრობაში შეაძერდნენ ერთმანეთს. რა აღარ უნახავთ ცხოვრებაში, ბევრი რამ კი საკუთარ ტყავზეც გამოიყდიათ. ამიტომ თითქოს გაკვირვების გრძნობაც დაკარგეს, მაგრამ მაინც გაჰკრავთ ეჭვის ჭია, იქნებ და რაღაც სხვანაირად არის.

ახლაც მისხდომიან ახალი წლიდან შემორჩენილ მცირე სუფრას, პატარა ჭიქებით წრუბავნ ღვინოს და წარსულს იგონებენ. ცალი თვალი და ყური ტელევიზორისკენ გაურბით, იქნებ საინტერესო რაიმე ითქვასო.

- შეხედე, კაცო, ეს ბიჭები როგორ მსჯელობენ, - აღნიშნა სიკომ და ნიკოს ყურადღება მიაპყრო ტელევადაცემას, სადაც დიქტორი უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლებს აპაექრებდა.

- თქვენ ხალხი მოატყუეთ ცრუდაპირებებით და ახლა გაურბისართ მათ შესრულებას, - საყვედურობს ოპოზიციონერი. - ჩვენ რასაც ვპირდებოდით

ხალხს, ეს რეალურ გათვლებზე იყო გაანგარიშებული.

- თქვენ ამდენი წელი ატყუებდით ხალხს. ვინ გიშლიდათ კეთილი საქმის შესრულებას. ხალხი ბრძენია და იცის, რომ დღეს თუ არა ზვალ ყველა სურვილი შეუსრულდება. – ბრძანებს უმრავლესობის წარმომადგენელი.

- ხალხი მართლაც ბრძენია და მალე მიხვდება, რომ ჩვენთვის უნდა დაეჭირა მხარი. ჩვენ კარგად ვიცით მათი სატკივარი და ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში გაცილებით მეტს გავუკეთობთ, ვიდრე გუშინ ვპირდებოდით. – არ ცხრება ოპოზიციონერი.

ხალხის მოთხოვნა და სურვილი ჩვენთვის გადამწყვეტია და კიდევ ისაა მთავარი, რომ მხარი ავუბათ მათ გამოწვევებს.

- ამათი შემხედვარე, ხალხი ჩოგბურთის ბურთი გეგონება – გადაუგდე-გადმოგიგდებს. – შენიშნა სიკომ.

- შენ ცოტა აურიე, აა! ვირის აბანო ხომ არ მოგენატრა? – გაცხარდა ნიკო.

- რას მანიშნებ, ხომ გაგიგია ხალხი ციხეშიაო.

- ჰოდა, რომ ჩაგსვამენ, მერე დაადგინე გარეთა ხალხი ჯობია, თუ შიგნითა.

- ისე, მეც რა ამ ბიჭების მსჯელობა გამიკვირდა, ყოველთვის არ ხდებოდა აპელირება ხალხზე! ხალხის ხელისუფლებაო, ხალხის სამსახურში ყოფნაო... – მოლბა სიკო.

- გახსოვს კომუნისტების ლოზუნები: „დეპუტატი ხალხის მსახურია“. - გაიხსენა ნიკომ.

- ვა, კაცო, მაინც როგორ ხდება, რომ ამ ბრძენი ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები ათასგავარ სანქციებს იგონებენ მათსავე წინააღმდეგ. სანქციები ეხება გადასახადების გადაუხდელობას, უბილეთო მგზავრობას, ქუჩაში გადასვლას, სიგარეტის მოწევას და ათას მსხვილმანს თუ წვრილმანს.

- ეგ ლავუაზიეს კანონია, ჩემო სიკო.

- კომუნისტებიც, ფაშისტებიც ხალხის წამყვან როლზე ლაპარაკობდნენ და ამიტომაც აწყობდნენ ხალხმრავალზეიმებს მასების როლის საჩვენებლად.

- მაინც როგორ ხდება ხალხის აზრის გათვალისწინება, როცა ხელისუფალი ტრიბუნიდან მოძღვრავს აუდიტორიას და მეორე მხრიდან მხოლოდ ტაშით პასუხობენ? – ისევ აამდგრია წყალი სიკომ.

- სწორედ ეს ტაშია ხალხის აზრი, სურვილი და გამოწვევა, – პასუხობს ნიკო და იხსენებს ილიას გამონათქვამს: „ქვექნაზედ ზოგი იმისთანა საგანია, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგიც იმისთანაა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“.

- გამოდის, რომ ტაში ხელისუფალს ზოგ რამეში დაარწმუნებს, ზოგს დაანახვებს და ისიც შესატყვისად იმოქმედებს.

ეს შესატყვისი ქმედება ხშირად ძალიან ეშმაკურია. აქ ნიკომ გაიხსენა ამბავი, თუ როგორ დაარქვეს უპატრონო ბავშვთა სახლს მაქსიმ გორგის სახელი. ბავშვებს მოუყვნენ ორი ცნობილი ადამიანის – პუშკინის და გორგის ცხოვრებისეული პერიპეტიების შესახებ. პუშკინზე საუბრისას ხაზი გაუსვეს, რომ ის ოზრდებოდა შეძლებულ ოჯახში, სწავლობდა გამორჩეულ ლიცეუმში და ასე შემდეგ. გორგის ბიოგრაფიიდან გაიხსენეს მომენტები, როცა მას ლუქ-მა-პურის საშოვნელად უხდებოდა ხეტიალი სხვადასხვა კუთხეში, მძიმე შრომა და მათხოვრობაც კი. ამის შემდეგ ბავშვებს შესთავაზეს არჩევანის გაეთება პუშკინსა და გორგის შორის, თუ ვისი სახელობის იქნებოდა ბავშვთა სახლი. ბავშვებმა კარგად დაინახეს მსგავსება გორგის ბიოგრაფიასა და საკუთარ ცხოვრებას შორის და ერთხმად აირჩიეს ეს უკანასკნელი.

- როცა ხალხი მონაწილეობს პროცესში, მაშინ უჩნდება მნიშვნელობის განცდა, – თქვა სიკომ.

- ეს ძალიან ჰგავს „შოთრისა“ და „ხაზენის“ ძველ ამბავს. – გაიხსენა ნიკომ: „მაშინა“ ჩემია, ოღონდ „ხაზენისაა“. „რულს“ საითაც მინდა იქით მივატრიალებ, ოღონდ „ხაზეინი“ მეუბნება აქეთ მოატრიალე, იქით მიატრიალე.

- ჩვენ გვინდა თუ არა, მაინც ვაქცევთ სხვების აზრს ფურადღებას.

- რა თქმა უნდა. მაგრამ განსკუთრებული მნიშვნელობნისაა ფრაზა: რას იტყვის ხალხი! მართლაც, ადამიანებს პანიკურად ეშინიათ, თუ რას იტყვის მეზობელი, თანამშრომელი, ქუჩაში გამ-ვლელ-გამომვლელი.

- ეშინიათ იმიტომ, რომ დაგიყრიან ჭორს და მერე ამტკიცე ასე არააო.

ნიკომ და სიკომ კიდევ ბევრი იფ-ილოსოფოსეს, საუბარში დროც მოკულეს და თითქოს დასმულ კითხვებსაც პასუხი გასცეს. სიკომ მაინც არ მოისვე-ნა და ხელახლა იკითხა: მაინც როგორ ითვალისწინებს ხელისუფლება ხალხ-ის აზრს, მარტო ტაშის დაკვრაზე დაკვირვებით?

- ამისთვის არსებობს სო-ციოლოგიური გამოკითხვები, განცხა-დებების ანალიზი და სხვა. – განმარტა ნიკომ.

- მერე, რომ ამბობენ, ამდენი განცხ-ადება დავწერე და პასუხი არ მიმიღი-აო, ანდა სოციოლოგიური გამოკვლევები მიკერძოებულიაო.

- ჩემო სიკო, მორწმუნეს და ურწ-მუნოს რა გამოლევს, მაგრამ მთავარია საქმე ისე წარმოადგინო რომ ეჭვი არ ჩნდებოდეს.

- მერედა როგორ უნდა მოახერხო ეს?

- სწორედ ამის დიდოსტატი იყო დეიდა მარო. ის არასოდეს არ იტყოდა მე ასე მსურსო, ასე გააკეთეთო. ყოველთვის ამბობდა, ეს საქმე ასე უკეთე-სად გამოვა; ოთახი დაგალაგოთ, საჭმე-ლი გავაკეთოთ, გაკვეთილები ვისწავ-ლოთ, ბაზარში წავიდეთ. ყველამ იცო-

და, თუ რომელი საქმე ვის ეხებოდა და ისიც იწყებდა შესრულებას. მას არ ჰყავდა მომდურავი არც მეზობლობაში, არც ახლობლობაში. მას ერთნაირად აფასებდნენ როგორც საკუთარი, ისე ქმრის ნათესავები.

დეიდა მარომ ჩათვალა, რომ პავ-ლეს მიერ მუუღლედ არჩევის შემდეგ მან მიიღო ეს უფლება-მოვალეობები, რასაც რასაც პავლე პირნათლად ას-რულებდა.

მას არ უჭირდა გადაწყვეტილების მიღება, რაშიც ბუნებრივი ნიჭი და ცხოვრებისული გამოცდილება ეხმარებოდა, მაგრამ ზოგჯერ დგებოდა კრი-ტიკული სიტუაცია, როცა არ ჰქონდა მზა პასუხი. სწორედ ამ დროს გაისმოდა უმნიშვნელოვანესი ფრაზა: პავლეს უნდა ვკითხო.

გარკვეული დროის შემდეგ მოპა-სუხე იღებდა ამომწურავ პასუხს: პავ-ლე თანახმაა ან პავლე წინააღმდეგია.

- იქნებ მართლა ეკითხებოდა დეი-და მარო პავლეს? – ჩაიქირქილა სიკომ.

- შენ ჭკვიანი კაცი ხარ და ამ მაგალითზე არ გაგიჭირდება მიხვედრა. კეთილშობილი ძია პავლე გარდაიცვა-ლა და დეიდა მარო რამდენიმე წელი აგრძელებდა ჩეულ საქმიანობას. ერთ დღესაც ისევ დადგა მომენტი, როცა არ ჰქონდა მზა პასუხი. კვლავ გაისმა მისი უდრტვინველი კილო: პავლეს უნდა ვკითხო.

ახლობლები ჯერ შეშფოთდნენ, მა-გრამ შემდეგ მიხვდნენ რაშიც იყო საქმე. უცხოებმა იფიქრეს, ალბათ წარმოდ-გენით უკავშირდება მუუღლესო. მარ-

ტოდ დარჩენილ დეიდა მაროს კი ჩაეცნა: ჩვეულება რჯულზე უმტკცესია.

ნიკოს და სიკოს ყურადღება ისევ მიიპყრო ტელევიზიით გამომსვლელმა. იგი ჩვეული რიხით მოგვმართავდა: - ჩვენი ყოველი მოქმედება ხალხის მოთხოვნითაა ნაკარნახევი. ჩვენ ყურს ვუგდებთ მათ მაჯისცემას და ვახდენთ შესატყვის რეაგირებას. ვინმეს სამართალში მიცემა თუ თანამდებობაზე დაწიშვნა ხალხის ნება-სურვილით ხდება...

- მაგარია, ჰა! – წამოსცდა სიკოს.

- ე.ო. უკვე ჰქითხეს პავლეს და მიღეს მისგან პასუხი. – დაასკვნა ნიკომ.

- სწორად ყოფილა ექლესიასტეში: დროება მოდის, დროება მიდის, ყველაფერი იგივე რჩება.

- ძირითადად ასეა, თუმცა რაღაც იცვლება, რაც ასე შეიძლება გამოიხატოს:

პავლე ისევ პავლედ რჩება,
მარო დაროთი იცვლება.

05.01.2013

0თალიური ეზო

- ე, სხვა ეშხი იყო, იუზგარ, სხვა ეშხი. ტკბილად ვცხოვრობდით ყველა. ცოტა გვქონდა თუ ბევრი, ერთმანეთს ლუკმას არ ვამადლიდით. ქართველი იყო, სომეხი, რუსი, ებრაელი თუ ბერძენი, ერთმანეთში არ ვარჩევდით. ერთმანეთის ენას ვსწავლობდით, რით არის ცუდი, რამდენი ენაც იცი, იძდენი კაცი ხარ. მერე რა მეზობლობა გვქონდა. დავსხდებოდით ეზოში. ზოგი რას

მოიტანდა, ზოგი – რას. ვსვამდით თითო ჭიქას და ვესიყვარულებოდით ერთმანეთსა. აბა ახლაა კარგი! შეიკეტები შენთვის მერვე თუ მეთოთხმეტე სართულზე, უფრეს ტელევიზორს, არც მეზობელს იცნობ, არც ნათესავსა.

- ჰო, მეზობლობას რა სჯობს. გახსოვს, ანურიკა რო საერთო სამზარეულოში საჭმელში მარილს ჩაგიყრიდა, მერე შენც გინებით და ფურთხებით იკლებდი ეზოს. ანდა სეროვას ბიჭი გახსოვს, ისე არ დაარტყამდა ბურთს, რო შენი ფანჯრისთვის ლაწალუწი არ აეტეხა. ისა, ნატაშაშ რომ შენი „კერასინკა“ აბოლა და შენ ცოლს ინფარქტმა კინაღამ დაარტყა. ე, რომელი გავიხსენო.

- შე კაი კაცო, რა ცუდს იხსენებ, კარგიც ხო ბევრი იყო. მივდი-მოვდიოდით ერთმანეთთან. ხან ქუჩაში ვხვდებოდით ერთმანეთს, ხან აბანოში.

- მიხვიდ-მოხვივდოდი, აბა რას იზამდი, ტელეფონი არ იყო, რომ დაკავშირებოდი. სახლში აბაზანა არ გვქონდა და აბანოში იმიტომაც დავდიოდით. აბა!

- ე, შენ კაცი ვერ მოგთავებს, სულ ცუდი როგორ გახსოვს. მაინც კარგი იყო იტალიური ეზო.

- იტალიური არა, ესანური. ჩვეულებრივი თბილისური ეზო იყო, რა!

მართლაც საინტერესო იყო ეს ჩვენი არცთუ შორეული წარსული და, ალბათ, ბევრს აქვს მისი ნოსტალგია. ამან თუ ამიყოლია ამას წინათ მეც. მივდივარ რუსთაველზე. თითქოს ბევრი ხალხია, მაგრამ ჩემი ნაცნობი არავინაა. სად არიან ჩემი მეგობრები, „თანა-

ბირჟავიკები“?! თავისუფლების მოედნიდან ჩავყივი პუშკინის ქუჩას, შევუხვი ვერცხლის ქუჩაზე და შევყევი მის ერთ განტოლებას. ამ პატარა, ვიწრო გასასვლელს ჯერ მიღიცის, შემდეგ კი ნაკაშიძის სახელი დაარქვეს. ამ ქუჩის ოცდახუთ ნომერში პატარა ორსართულინი შენობა იდგა, რომელიც სამოციან წლებში ავარიული გახდა. ამიტომ მისი მცხოვრებლები გამოასახლეს და სხვადასხვა უბანში განასახლეს. მაშინ ამბობდნენ, რომ სახლს გაამაგრებდნენ და ისევ საცხოვრებლად ვარგისი იქნებოდა. ახლა რომ ჩავუარე იმ ადგილს, შენობა სადღა იყო, სიცარიელე დამხვდა. გულდაწყვეტილი ვიდეექი და ვიხსენებდი იქ მიღებულ შთაბეჭდილებს.

ამ სახლში ბავშვობიდან დავდიოდი. იქ დეიდაჩემი ცხოვობდა თავისი ოჯახით – კეთილი მეუღლით და მოწესრიგებული ქალ-ვაჟით. აქვე დავუმეგობრდი ჩემ თანატოლ მურთაზს, რომელთანაც ყოველთვის მიმიწევდა გული. ჩვენ უამრავ გასართობს ვიგონებდით, რომლებიც ზოგჯერ სარისკოც კი იყო. რაიმე ხიფათის თავიდან ასაცილებლად დეიდაჩემისაგან თავისი ვაჟი გვყავდა მოჩენილი. როგორც კი ეზოდან დავაპირებდით გასვლას, მაშინვე გაიგებდით მის შევონებას:

- გურამ, შვილო, წაჟუევი ამ გიჟებს, რაიმე ხიფათში არ გაებან.

გურამიც სერიოზული სახით გამოგვივებოდა და თვალს არ გავცილებდა. ჩვენც ჯერ წესირი ბავშვებივით მშვიდად მივდიოდით რუსთაველზე, ჩავუხვევდით „ალექსან-

დრეს“ ბაღში და იქიდან გავდიოდით კოლმეურნეთა მოედანზე. ამ დროს მურთაზი მანიშნებდა მიმავალ ტრამვაიზე და ორთავე ვახტებოდით მას. შემდეგ ვხტებოდით პირდაპირ და უკუღმა („ზადნით“) და რაც უფრო ღელავდა ამის შემხედვარე ხალხი, ჩვენ მით უფრო ვაჟკაცებად ვგრძნობდით თავს. ხანდახან გურამიც იძულებული იყო აგვილოდა, რომ დეიდას დანაბარები შეესრულებინა. ერთხელ ისე დაეზღერთა ჩამოხტომის დროს, ფეხიც იტკინა და შარვალიც გაიხია.

- გურამი შვილო დაანებე თავი ამ დამთხვეულებს. თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი, - ვეღარ ფარავდა აღშფოთებას დეიდა.

ამის შემდეგ ცოტა ხანს მეკრძალებოდა დეიდის გარეშე იქ მისვლა. ასევე გამკაცრდებოდა ხოლმე მურთაზის დედაც. გადიოდა დრო, ჩვენ „ვსწორდებოდით“ და მერე ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

ერთ დღეს ბურთის ყიდვა გადავწყვიტე. გავუარე მურთაზს და გავედით ბერიას მოედანზე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი), სადაც იყო სპორტული მაღაზია „დინამო“. ავარჩიეთ ფეხბურთის ბურთი, იქვე გავბერეთ და მოუთმენლობისგან რამდენჯერმე ავკენწლე კიდეც.

- ბიჭებო სად აპირებთ თამაშს. ახლა სტადიონზე წახვალთ თუ ეზოში გაქვთ დიდი მოედანი? – ეშმაკურად გვეკითხება გამყიდველი.

- აგერ არაა მოედანი! – აპყვა ემოციებს მურთაზი.

- ძაშინ გადი მოედანზე და გად-
მოგიგდებ ბურთის, - განვაცხადე მე.

ცოტა ხანში კარგი ბურთაობა
გავმართეთ ბერის მოედანზე. ვხედავთ,
გამორბის მილიციელი, ჩვენ კი არ
გვინდა შერცხვენილები გავიქცეთ.
მცირე ხანს ვაპამპულავეთ იგი და როცა
მის დასახმარებლად მეორე მილიციე-
ლი გამოემართა სტვენით, მაშინ კი
მოვკურცხლეთ შინისაკენ.

გასართობი არც ეზოში გვაკლ-
და. ყოველ დღე რაღაც ხდებოდა. მე
და მურთაზი ზოოპარკში გადაღებულ
სურათებს ვათვალიერებთ.

- ეს სურათები „ლუბიტელის“
გადაღებულსა ჰგავს, აი! – გვესმის თავს
წამომდგარი ძალა არშაკას ხმა.

- ჰო, ეს ჩვენმა მეგობარმა გადა-
გვიღო თავისი ფოტოაპარატით. –
მიუგო მურთაზმა.

- მურთაზ-ჯან, არ შეიძლება რო
ეგ თქვენი მეგობარი აქ მაიყვანოთ
თავისი აპარატით?

- რატომაც არა.

- ჰოდა, მაიყვანე, რო გადამიღოს
ტვალეტში როგორ ვზივარ „ზონტი-
კით“ და მეორე სართულიდან წყალი
როგორ მესხმება. ვინ არ შეგაწუხე,
არავინ ყურადღება არ მამაქცია. ახლა
მინდა გაზეთში გავაგზავნო.

- კი, ძალა არშაკ. ხვალვე მოვიყ-
ვან.

მეორე დღეს მოდის ნოდარი თავი-
სი „ზენიტით“ და მთელი ეზოს თან-
დასწრებით ემზადება სურათის გადა-
საღებად. არშაკა შევიდა ტუალეტში,
ჩაცუცქდა და ქოლგა გაშალა.

- ძალა არშაკ, შარვალი უნდა ჩაიხ-
ადო, თორებ ისე რას მიხვდებიან სადა
ხარ. – სერიოზული სახით ამბობს ერთი
მოესეირე.

- უფრო ნატურალური რო იყოს?

- ცდილობს თავის გამართლებას არ-
შაკა.

- ჰო, აბა რა. თანაც სახე ისეთი
უნდა მიიღო, თითქოს რაღაცასაც შვრე-
ბი. – აგულიანებს მეორე მეზობელი.

ორი დღის შემდეგ ნოდარმა
მოიტანა ფოტო, რომელზეც არშაკას
სახე დაძაბული და თვალები დაჭყ-
ეტილი ჰქონდა. საერთო სიცილ-ხარხ-
არს შემოესწრო არშაკას უფროსი ვაჟი
სეროჟა, რომელმაც ჯერ იცინა, შემდეგ
კი აღშფოთება ვერ დამალა.

- შენ გამოშტერდი, აი. ამისთანა
სურათი რომ გამოქვეწდეს, ტუალეტს
კი არ შეგვიკეთებენ, შენ საგიშეთში
გაგამწესებენ.

ამ ეზოს უმთავრესი კოლორიტი
მაინც ნინა „ტოტა“ იყო. მას არაფერი
გამოეპარებოდა და არც არავის ქმედე-
ბას დატოვებდა უკომენტაროდ.

- ერთი შეხედვით, სარგადაყ-
ლაპულივით არ გაჯგიმულა ეს ოხ-
ერი. მამაჩემ ტიგრანასა აქ ცხონება,
მას თუ თავში ჭკუა ჰქონდეს.

- მაშოს დამიხედეთ, როგორ გა-
მოპრაქტულა, ნამდვილი „კუნის“ დედ-
ოფალია.

- იმ დღეს კლავა მეუბნება, ამ
სახლში ყველაზე ძვირფას სადილებს
მე ვაკეთებო. კარგს ჭამ, კარგს სვამ,
შენს ტუალეტს ახარებ, მე რა ნიშნს
მიგებ.

ნინა „ტოტამ“ გვთხოვა, ბინაში ავეჯის გადაადგილებაში მიგხმარებოდით. ეს პროცესი დავამთავრეთ და ჩემი ყურადღება მიიქცია კედლის სისქემ და ფანჯრის რაფების უჩვეულო სიდიდემ.

- ე, ამ „პადაკონიკებს“ ვენაცვალე.
— თქვა აღელვებულმა ნინა „ტოტამ“ და ორივე რაფას აკოცა. — ამან გადაგვარჩინა მე და ჩემი მიშა. ჩვენს ქვემოთ რო „შინსახკომელი“ კაკო ცხოვრობდა, თქვენ გაგიგონიათ? სიფხიზლეში ისეთი მორიდებული იყო, მთელ ქუჩას თავჩალუნული გამოივლიდა, შეიკეტებოდა სახლში და ეზოშიც იშვიათად გამოჩნდებოდა. მაგრამ ხშირად სვამდა და მერე იწყებოდა უბედურება. თურმე კაცი ვერ იტანდა იქაური წამების ყურებას და ეს რომ დაევიწყებინა, ამიტომაც სვამდა. მოვიდოდა მთვრალი, გადარეული, ჯერ ცოლ-შვილს ააწიოკებდა და მერე სროლას იწყებდა. ჩვენ ყურდაც-ქვეტილები ვისხედით და ველოდით მის მოსვლას. როგორც კი ქვემოლან ყვირილის ხმას გავიგებდით, მე და მიშა შევხტებოდით „პადაკონიკზე“ და გავისუსებოდით. მერე ლოგინებიც აქვე დავაგე და ვიძინებდით კიდევაც.

- თქვენსელა შვილიშვილები უნდა მყავდეს და ამიტომ გეტყვით, - განაგრძო დამორცხვებული ღიმილით ნინა „ტოტამ“, - კაკოს ცოლმა გვითხრა, რო რამდენიმე დღე შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, ის მივლინებაშიაო. ერთ ღამესაც ვწევართ მე და მიშა და ვნებივრობთ რაღა. ისე გავერთეთ, რო კაკოს მოსვლა არც გაგვიგია. თურმე

ადრე დაბრუნებულა გაგიჟებული მთვრალი. რო დაიწყო სროლა, მე და მიშა ერთმანეთს ვასწრებდით „პადაკონიკებისაკენ“. ვიღას ახსოვდა ნიფხავი და პერანგი! მთელი ღამე ასე შიშის კანკალით გავატარეთ ტიტლიკანებმა.

მეორე სართულზე ერთ პატარა ოთახში ძია ჟორა ცხოვრობდა. ეს იყო ახალგაზრდობაგადავლილი, მაგრამ მხნე და გამართული, სიმპათიური კაცი. თავისი ულვაშებით და ეშმაკური გამომეტყველებით ძალიან წააგავდა რაჯ კაპურს, რომლის ფილმები „ავარა“ და „ბატონი 420“ იმდროს საკმაოდ პოპულარული იყო. იგი ქალების მუსუსი იყო. თუმცა მეზობელს არც სხვანაირად შეხედავდა და არც გადაკრულ სიტყვას აკადრებდა. იგი არსად არ მუშაობდა და ვერ გაიგებდი რას საქმიანობდა. არადა თითქმის ყოველ დღე საქმიანი კაცივით გარეთ გადიოდა კარგად გამოპარნჭული და დავარცხნილ-გაპარსული. ყველასთან საერთო ენას გამონახავდა – ქურდებთან, ძველ ბიჭებთან, ყომარბაზებთან. ზოგჯერ ბუნავსაც აწყობდა მოთამაშებისთვის და მოგებულისაგან პატარა წილსაც იღებდა. მაგრამ მისი ძირითადი შემოსავლის წყარო მაინც ქალები იყო. ზოგი რამდენიმე დღით თუ თვით მოჰყავდა, ზოგი კი წლობით რჩებოდა მასთან. ვის არნახავდით საერთო სამზარეულოში მის ნავთქურასთან მოტრიალეს – კლავას, გალიას, ლუბას, აშხენას, ქსენიას თუ ლენას. საინტერესო კი ის იყო, რომ ყველა მათგანი „ოფიციანტკად“ ან „ბუფეტჩიკად“ მუშაობდა,

სწორედ მათ ხარჯზე ცხოვრობდა ალფონსი ქორა.

ის კი არა, ზოგჯერ ჩვენც გვისარგებლია ამ ვითარებით. მე და მურთაზი ორ მეგობართან ერთად ჩავედით სარდაფში საქეიფოდ. იქ კი თურმე ქორას კლავა მუშაობდა, რომელიც იმ მომენტში უთანხმოების გამო მისგან წასული იყო. კლავამ დიდი პატივი გვცა და არაფრით ფულიც არ გამოგვართვა.

- კლავა კაი ქალია და ქორასთან უნდა შევარიგოთ. – მეუბნება გულაჩუუებული მურთაზი.

- აბა რა, ბიჭო, რა პატივი გვცა. ჩვენც ხო რამით უნდა გადავუხადოთ.

- არ ჩამოვრჩი მეც.

ცხელ გულზე ძირას იმდენი ველაპარაკეთ, რომ რამდენიმე თვით დავაბრუნეთ კლავა. ის კი გახარებული თავის ღუქანში გვეპატიფებოდა, მაგრამ ჩვენ ვნამუსობდით და ხშირად არ ვაწუხებდით, მხოლოდ დიდი უფულობისას მივდიოდით.

ერთ დღეს დეიდას ქმარმა თავისი ინსტიტუტის თანამშრომლები დაპატიჟა ოჯახში და მეზობლებიც მიიწვია. მათი სადღეგრძელოს დროს თამადამ რატომდაც ყველაზე მეტი ყურადღება ქორაზე გაამახვილა.

- თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო ქორა. ნამდვილი კულტურული, განათლებული და მეოჯახე ჩანხართ. თქვენნაირი ხალხი უნდა ჭარბობდეს ჩვენს ქალაქში, რომ იყოს ოჯახის სიმყარე და მაღალი ზნეობა.

- ეს კაცი მე მაშაყირებს თუ რა უნდა ვერ გავიგე, – გადმომიჩურჩულა

ძირაშ. – ხო არ უნდა ოფოფები დაგუფრთხო, აქედან რომ გავალოთ, რა თქმა უნდა, თორემ ამ ოჯახს ვერ ვაკადრებ ცუდად მოქცევას.

- ეგ თქვენ არ გიცნობთ და ამიტომ ნუ მიაქცევთ ნასვამის ნათქვამს დიდ ყურადღებას, – შევეცადე დამემშვიდებინა.

როცა წამოვიზარდეთ ბიჭები, ძირა ქალებზე ჩამოგვიგდებდა ხოლმე საუბარს.

- ჰა, როგორაა, ბიჭებო, საქმე, ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდებათ, ევ მაინც მეხერხება - „გაგაგულავებთ“.

- მადლობთ, ძირა, ჩვენითაც ვახერხებთ ცოტა-ცოტას. – პასუხობდა მურთაზი.

- ჰო, ვხედავ არ იბნევით. მიდით, მიაწევით ცხოვრებას, მეტი რა შეგრჩებათ.

ქორას გვერდით ცხოვრობდა მისგან დიდად განსხვავებული არტემ ნერსესოვი. იგი მართლაც განათლებული, საქმაოდ ცნობილი მეცნიერი იყო. სთავაზობდნენ უფრო კეთილმოწყობილ ბინას, მაგრამ ვერაფრით ელეოდა პატარა ჩაბნელებულ ოთახსა და შუშაბანდს. იგი შეახანს გადაცილებული უცოლშვილო კაცი იყო თავის მყარნაჭუჭმი ჩაკეტილი.

ნეტა რას ჩაბლაუჭებია ამ ბინასა და ეზოს. მეზობლებთან მაინც ჰქონდეს რამე ურთიერთობა. მეტი სწავლისგანაა დაცენტრილი, – იტყოდა ხოლმე ნინა „ტოტა“.

არტემ ნერსეროვი მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდა. მასთან მიმართვის დროს აუცილებლად არტიომ

ლუკიანოვიჩი უნდა გეწოდებიანთ, წინააღმნდევ შემთხვევაში საურთოდ არ გაგცემდათ ხმას ისედაც სიტყვაძუნწი.

პირველ სართულზე დედა-შვილი სათენიკა და ვართუშა ცხოვრობდნენ, რომლებიც სხვადასხვა საკითხზე ცდილობდნენ არტემის შეწუხებას. როგორც წესი, იგი ცდილობდა უპასუხოდ და-ეტოვებინა დედა-შვილის შემოძახება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი სომხურად ეტყოდნენ რაიმეს და სახელსაც უწოდებდნენ.

- , - ჩაიბურ-ტყუნებდა თავისთვის არტემი და ოთახში შეიკეტებოდა.

არტიომ ლუკიანოვიჩს თითქოს არც სპორტი უყვარდა და არც ის აინტერესებდა, ფეხბურთში „დინამო“ მოიგებდა თუ „არარატი“. მაგრამ, თურმე...

ერთ ავადმოსაგონარ დღეს, როცა „არარატი“ „დინამოს“ მოუგო, გახარებული სომხები ერთმანეთს ულოცავდნენ და მხოლოდ დაბოლმილი ქართველების შიშით ვერ ბედავდნენ ემოციების ხმამაღლა გამოხატვას.

სწორედ ამ დღეს, ჩვეულებრივ შემოსძახა ვართუშამ მწივანა ხმით — არტუშ!

- ჰამე. — დამტკბარი ხმით გაუკასუხა არტემი.

- ჰო მე მაგის... — არ არის ყვავით ჩამოსაგდები! — აბობოქრდა სოსო. — აკი არ მაინტერესებს ფეხბურთიო. ნახეთ რა ლიმილი დასთამაშებს სიფათზე.

ქეთო ბებოს უამრავი ჭირ-ვარამი პერნდა გამოვლილი, მაგრამ მაინც მხნედ იყო. ქმარი 1937 წელს გადაუსახლეს, გაჭირვებით დაზარდა და დაოჯახა შვიდი შვილი.

- თუ რამე მომკლავს, ეს რძალი.
— იტყვიდა ხილმე გულდაწყვეტილი.
— ვინ აღარ შემომიყვანეს ოჯახში ჩემმა ბიჭებმა: მეგრელიო, პოლონელიო, ახ-ალხციხელიო, კახელიო, მაგრამ ეს ერთი ფეხებმოცვეთილი ქართლელი მაინც სულ სხვა გამოდგა.

ქეთო ბებოს რძალი რომ დასჩხავლებდა, მაგის ხმის გამგონე ყვავი ვერ გადაიფრენდა და თაგვებიც უფრო ღრმად მიძვრებოდნენ სოროში.

იმ დღესაც ქოთქოთით ჩადიოდა სარდაფუში, როცა ბებომ თავისთვის ჩაილაპარაკა: - შენ შეგრისხოს ღმერთმა.

ცოტა ხანში მისი რძალი კივილით ამორბის სარდაფიდან: - ეშ-მაკები მომდევნენ, მიშველეთ!

- იქსოვ და მარიამ, ასე უცებ! — აღმოხდა ბებოს, — ვითომ ასე უცებ მისმინა და შერისხა ჩემი რძალიც.

თურმე ამ დროს ბავშვები დამალობანას თამაშობდნენ. მერის თავზე რაღაცა წაეკრა და ყუთების უკან მიმალულიყო. როცა მან გარემოს შესამოწმებლად თავი ამოჰყო, ქეთო ბებოს რძალს ის ეშმაკად მოეჩვენა და შემზარავად აწივლდა.

ბიჭები ხშირად ჩემს ეზოშიც ვიკრიბებოდით. აქ ყველას ყურადღებას იქცევდა თბილისში ცნობილი კაცი — მომღერალი, მსახიობი, მოქეიფე — ძიაკოწო.

- ბიჭებო, ოღონდ გინება და ბილ-წილტყვაობა არ გამაგონოთ და თქვენ შემოგევლოთ კოწოს სიცოცხლე. – ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა, - შემოსძა-სებდა მთა კოწო და მერე რაღაც სასაცილო ამბავსაც გაიხსენებდა.

- იცით, ვანიჩკა ერისთავეს როგორ ჩავუშალეთ ნიშნობა? – ეგ ფურუმსა-ლი ნათესავებთან ერთად წავიდა ქა-ლის ოჯახში, მმაკაცები კი არ დაგვ-პატიჟა, რამეს მიხიმანკლებენო. ჩვენ „გემოში“ ვუბერავდით, როცა ჩიტმა ამბავი მოგვიტანა. ავიზვეტეთ ეს თხ-უთმეტი ყაზირალი და მივადექით ვან-იჩკას სასიმამროს ოჯახს. ვხედავთ შეკრებილა „სვეტსკოე ობშესტვო“ - ბაგრატიონები, ამილაზვრები, ერისთავები, ყაფლანიშვილები და ა.შ.

ჩვენს დანახვაზე ვანიჩკამ და დედამისმა ფერი დაკარებს. მასპინძელმა შეგვიპატიჟა, მაგიდაც მიუმატეს სუ-ფრას და დაგვსხეს. ცოტა ხანში ერთ-მა ჩვენგანმა ვანიჩკას ყანწი გადაუგ-დო, დამილიერ. რაფინირებულ თავადებს ეს უესტი არ მოეწონათ, მაგრამ ჯერ სად იყვნენ! როგორც კი ვანიჩკამ ყან-წი დალია და მაგიდაზე დადო, რეზომ ტორტის ნაჭერი ესროლა, დააყოლეო. ამას ვაშლი, ყურძნი თუ მსხალი მო-ჰყენა. სუფრა აირია და როცა გარეთ გამოვცვიდით, იქ ვანიჩკა დაგვხვდა ჯოხით და დაგვერია. ამის შემდეგ მას იმ ქუჩისაკენ აღარ გაუხედია.

მია კოწო ღრეობის მოწყობის მართლაც დიდოსტატი იყო. მისი ბინიდან გამოსულ ხმაურზე შევდივარ მათთან და ვხედავ ბაზუსმოკიდებულ რეზო ლალიძეს, ტუხა კერესელიძეს,

თენგიზ ზეინკლიშვილს და სხვა ცნო-ბილ სახეებს. კოწო დგას უშველებე-ლი ოთახის კედელთან და ისვრის კვერცხს შორეულ მაღალ კუთხეში. შემდეგ ამას ყველა იმეორებს – აბა, ვინ უფრო ზუსტი ვართო!

გვიან ღამით ქუჩიდან ხმაური შემომესმა, ფანჯრიდან გავიხედე და ვხედავ, კოწო მანქანიდან გადმოჰყავს ცნობილ ხელოვანს, რომლის სექსუ-ალურ ორიენტაციაზეც ხშირად ჭორაობდნენ. კაცი ცდილობს ნასვამი კოწოს გაცილებას, ის კი არ ემორ-ჩილება. ჩემს დანახვაზე კოწომ გაიხ-არა.

- ვა, შენ შემოგევლოს შენი კოწო. ბიჭო, უთხარი ამას თავი დამანებოს, რა მჭირს „პიდარასტების“ გასაცილე-ბელი.

კოწო მიას ალკოჰოლური სლო-კინი დაემართა და დასახმარებლად მიხმო.

- ხო ვერ წარმოიდგენ, რა ცუდ-ად ვარ. ამდენი სლოკინისგან მთელი ტანი მტკიგა.

- ახლავე მოგიტანთ რაიმე დასა-ლევს და ეგ სლოკინიც გაივლის. რა გირჩევნიათ, ღვინო თუ არაყი?

- არცერთზე არ ვიტყოდი უარს, მაგრამ ექიმმა მითხვა, თუ დალევ მოკვდებიო.

- ექიმს ვინ ჰკითხავ, ძია კოწო. ამას რამე სპირტიანი ესაჭიროება.

- მაშინ იქნებ „ნალივკისნაირი“ მიშოვო.

მართლაც, მოვუტანე ალუბლის ნაყენი და ცოტა ხანში შუუჩერდა

კიდეც სლოკინი. შემდეგ დღეებში ცდილობდა თავი შეექავებინა სძისგან.

- მოდი, შეიღო, ჩა დავლით, სულ უსმელობაც არ იქნება, — ხუმრობდა კოწია ძია.

ვზივართ, ტელევიზორს ვუყურებთ და ჩაის მივირთევთ ნამცხვრით. უცებ, ძველი ჩვევის მიხედვით, კოწო იღებს ჭიქა, მიჭახუნებს, გაგვიმარჯოსო აყოლებს და სასწრაფოდ სვამს. სანამ მე რეაქციას გავაკეთებდი, მესმის პირდაფუფული კოწოს კივილი.

- ნელა, ბიჭო, რა ბავშვით იქცევთ.

- ტუქსავს კოწოს დედა.

- მე შენი ბავშვი ვარ? — ეღიმება კოწოს, რომელსაც ეტყობა, რომ რაღაც ჩაიფიქრა.

- აბა, ერთი, ჰეთხე რამდენი წლისა ხარო? — გადმომიჩურჩულა კოწომ.

- თამარ ბებო, უკაცრავად, მარა რამდენი წლის ბრძანდებით? — ვე კითხები მე.

- სამოცის ვარ, შვილო.

- ვა, დედი-ჯან, შენ უკვე ჩემზე პატარა ხარ, აი! — ხითხითებს კოწო. თანაც მეუბნები ბავშვი ხარო. — ახლა მე სამოცი წლის ვარ.

ხუფაძები გახსოვს? თემურის თითქოს არა უშავდა და ოთარს მამამისივით ლოქოს სიფათი ჰქონდა.

- მთელი ოჯახი „სტრანი“ ხალხი იყო, სექტანტებივით იყვნენ შეკეტილი.

- თქვენთან რომ ვთამაშობდით, დედაშენი გამოგვილაგებდა ტკბილეულს და ეს ბიჭები მაშინვე გაქცევაზე იყვნენ, რამე რომ ავილოთ დედა გაგვიბრაზდებაო.

- აბა თუ გახსოვს რა ტკბილეული იყო?

- რა ვიცი, არ მახსოვს.

- ხუფაძების დედამ რომ დაგვპატიჟა, ის თუ გახსოვს?

- მაგას რა დამავიწყებს. ამდენი წლის განმავლობაში ერთადერთი შემთხვევა იყო და ყველა გაკვირვებული ვიყავით, გამოგვიტანა მზესუმზირა და თან დაგვარიგა, სად უნდა დაგვეყარა ჩენჩო.

- მახსოვს, მერეც მქონდა მოლოდინი, იქნებ კიდევ გაგვიმასპინძლდესო მზესუმზირით. მაგრამ ნურას უკაცრავად, როგორც კი სადილის დრო მოვიდოდა, გამოგვისტუმრებდა ბინიდან, ბავშვებს უნდა ვაჭამოო.

- ლაურას ცოცხი გახსოვს?

- მაგას რა დამავიწყებს. მაშინ რვა წლის ვიყავი. მაგის ანუელა ჩემი ტოლი იყო. ერთხელ მოვეფერე და დამასმინა. ავდივარ მეორე სართულზე და მხვდება ცოცხი კისერში?! მერე ცოტა ხანს პარტიზანივით ვიპარებოდი სახლში.

- ასეა. ტყუილად კი არაა ნათქვამი, მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებო.

- ეჰ, ეს ანუელაც კაი ვინმე იყო, ასე შეიძლებოდა მეზობლის „კაცის“ გაწირვა!

თბილისში მასივების განაშენიანობის კვალობაზე ამ ხალხის უმეტესობა მაღლივ კორპუსებში გადავიდა, მეტნაკლებად გამოიკეტა იზოლირებულ ბინებში და მეზობლებლთან კონტაქტებიც შემცირდა. ძველი მეზობლები შეხვედრისას იხსენებდნენ წარსულს.

- ეხ, რა დრო იყო, რა დრო!
 - ჰო, მაგარი იყო. ერთი ოთახში
 შვიდი-რვა კაცი ვცხოვრობდით. საერ-
 თო სამზარეულო და ტუალეტში რიგი
 კოშმარი იყო.

ქიბროწაშვილსაც მოსწონდა წარ-
 სული დრო.

- რა ცხოვრება იყო, შვილოსა!
 მიხვიდოდი ამილახვრებთან და სახლ-
 კარი გინდა, ეზო-მამული, ჩასაცმელ-
 დასახური თუ სასმელ-საჭმელი. გადა-
 ხვიდოდი ფალავანდიშვილებთან და
 ხარ-ძროხას იტყვი, ერბო-ყველსა, ხილსა
 თუ სხვასა სიკეთესა. დუღდა ცხოვრე-
 ბა და გადმოდუღდა.

- თქვენ, თქვენ როგორ ცხოვრობ-
 დით?

- ჩვენა, ჩვენ რა გაღლეტილებიც
 ახლა ვართ, ის ვიყავით მაშინაცა.

- ეჭ, ზოგისას მართლა ვერ გაიგებ,
 რა მოსწონს და რა არა. გახსოვს, ვაუ-
 ფშაველაზე ჩვენი მეზობელი რო იყო
 მაკრინე თუ პელო?

- სულ რუსულად რომ ცდილობ-
 და ელაპარაკა?

- ჰო, ისა. თან მეზობლებთან თავის
 გამოჩენა უნდოდა, რომ კარგად ცხ-
 ოვრობდა, თანაც მათთან თავის გაყა-
 დრებასაც გაურბოდა.

- როცა პკითხავდი როგორ ხარ
 ოჯახშიო, გიპასუხებდა-ვსეგო პარია-
 დოჩნა.

- რატომ გადავიდა ჩვენი სახლ-
 იდან იცი?

- არ მახსოვს.

- არ მომწონს აქანე ობჩესტვოო.

- ახლა თუ მოსწონს „აქაური
 „ობჩესტვო?“

- ღმერთმა იცის, მაგრამ იმ „ობ-
 ჩესტვოს“ რომ არ მოუწონება, ეს ად-
 ვილად საგარაუდოა.

- ბიჭო, მგონი მაგის ნათესავი
 იყო, მეორე სართულზე რომ კატო
 ცხოვრობდა.

- მგონი ეგრე იყო. ისე, ეგეც მა-
 გარი აშარი ვინმე იყო, სულ დაბლვერ-
 ილი დადიოდა.

- ჰო, სულ ჩხუბზე იყო. მაგის
 ბიჭი რომ გამოვიდოდა ეზოში, მაშინვე
 უკან უხმობდა.

- მახსოვს, თუ არ ავიდოდა, მერე
 ჩვენ გვეჩხუბებოდა, ბიჭს მიფუჭებთო.

- ავი რომ იყო, იმიტომ გაექცა
 ყველა სახლიდან. გოგო სამედიცინო-
 ზე სწავლობდა და ერთ მოძველბიჭო
 ტიპთან გაიპარა. მერე ბიჭი გადასახ-
 ლდა მოსკოვში და იქ რუსი გოგო
 შეირთო. ბოლოს ქმარმაც ველარ გაუძ-
 ლო და სხვა ქალთან გადავიდა საცხ-
 ოვრებლად.

- აი, ძველებურ ეზოში რომ ეცხ-
 ოვრა, იქნებ მეზობლებს უკეთესი გავ-
 ლენა ჰქონოდათ მასზე.


- ან ჰო და ან არა, შეიძლება
 მისი გავლენით ყველა მეზობელი გაქ-
 ცეულიყო.

- მოდი, ძმაო, ამ ტყუილ ქაქანს
 თავი დაგანებოთ, ძველ დუქანში ჩავი-
 დეთ და მამა-პაპურად შევუბეროთ,
 თანაც მოგონებებისა დავლიოთ.

- ძველი და ახალი მეზობლებიც
 ვადლეგრძელოთ, არა!

- ვადლეგრძელოთ „იაზვობის“
 გარეშე.

გივი მერაბიშვილი



ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, გამოფენის გახსნას დაემთხვა მისი რომანის „არმაგედონის მათრახის“ პრეზენტაციაც.

2013 წლი კარგად, ხელხვავიანად დაიწყო მრავალმხრივი შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნების ნუგზარ ერგემლიძისათვის, მისი მრავალ უანრში განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

ჩვენს უურნალში ვაქეფნებთ ნაწილს ნუგზარ ერგემლიძის ახალი რომანიდან და ვუსურვებთ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს.

არმაგედონის მათრახი

ახალი, 2011 წლი მოვიდა, ფეხით მივუყვებოდი საახალწლოდ მორთულ რუსთაველის პროსპექტს, იმიტომ კი არა, რომ ფეხით სიარული სასარგებლოა, არა, უბრალოდ, მანქანა არ მყავდა და არც ის ვიცოდი, მეყოლებოდა თუ არა ოდესმე – თუნდაც სუსველაზე პატარა. ალბათ, არც იციან თუ რა ბედნიერია ის ხალხი, ვინც მანქანის თბილი სალონიდან გვათვალიერებს გათოშილ ფეხით მოსიარულეთ.

იმ დღეს რეპტიცია მქონდა, უფრო ზუსტად კი, სულ რაღაც ნახევარ

საქართველოს პარლამენტის წინა მოწვევის დეპუტატი ნუგზარ ერგემლიძე განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა თანამედროვე საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. იგი წერს ლირიზმითა და ქართული იუმორით განათებულ მშვენიერ პროზას, წერს შესანიშნავ ლექსებს, შემდეგ ქმნის ხალხში ფართოდ გასულ სიმღერებს, თავად ნიჭიერად ასრულებს საკუთარ მუსიკას. ნუგზარ ერგემლიძე საუკეთესო ფერმწერიცაა, მისი ნახატების საინტერესო გამოფენა გაიმართა მიმდინარე წლის 27 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნული

რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა,

გამოფენის გახსნას დაემთხვა მისი რომანის „არმაგედონის მათრახის“

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

შემოქმედისა და შესანიშნავი პიროვნებისათვის, მისი მრავალ უანრში

განსხველებული ნიჭის ფართო შესაძლებლობებს უკვე კინომსახიობობაც შეემატა.

ლამაზი და არაჩვეულებრივი ფერის
თვალების მქონე ხათუნა!

დიდი ხნის ნაცნობივით
გადამეხვია, მე ლოყაზე ნაზად ვაკოცე.
„ცხვირი წითელი მექნება!“ -
გავიფიქრე და ხელები დავიორთქლე.
* * *

სახლში ყველამ დაიძინა. „ფეის
ბუკში“ შევედი. ვიღაც უცნობი
მეგობრობას მთავაზობს. ხელი
მექანიკურად მივაჭირე „თანხმობას“.
მერედა დავინტერესდი: ვინ არიან ჩვენი
საერთო მეგობრები? სამნი არიან: ერთი
თემოა და ერთიც...ხათუნა! მესამეს არ
ვიცნობდი - ს ხვა საერთო
მეგობრებიდან დამიმეგობრდა! საოცარი
ქსელია! შენი მეგობრის მეგობრები,
იმათი მეგობრის მეგობრები, იმათი...
იმათი... მოკლედ, თითქმის მთელი
ციფილიზებული სამყაროა აქ ჩართული.
ყოველ შემთხვევაში - ის ნაწილი,
რომელსაც კომპიუტერი აქვს! ხათუნას
გვრდზე გადავედი! ჩვენი სიმღერა
დაუდია! მობილურით გადაუდია და
დაუდია. წესიერად არ ისმის.
კომენტარი დავუწერ, „გახმოვანება არ
ვარგა! ასე, რომ თუ შეიძლება, მოხსენით
თქვენი გვერდიდან“. ს ხვა მეგობრის
გვერდზე გადავედი. ამას „ობლადი-
ობლადა“ დაუდია! მაკა ბოცაძე წერს:
„ჩემს ბავშვობას მაგონებს!“ მე რომელი
სიმღერა მაგონებს ჩემს ბავშვობას?
„ესთუდეო!“ პო, „ესთუდეის“ ვმღეროდ
რვა წლის ასაქში! კიდევ ამას:

თოვლი ნება-ნება
თმებზე მეფერება...
მივიწყებულ ზღაპარს ჰყვება,
შენ სადა ხარ, ხეჭავ?

ტელევიზიითაც გამოვსულვარ...
მართლაც, რა კარგი იქნებოდა ეს
მოგონებები, თუ რომ არ ახლდეს ნავთის
სუნი, ლამპის ჭვარტლი, სიბნელე, სიცივე,
ქუჩაში სროლები, მკვლელობები, ომი
და ჯანდაბა და კიდევ ვინ მოთვლის
რამდენი ბოროტება? ეს სიმღერაც
ნამდვილად გაპიტდებოდა, ხალხს
ტელევიზორის ფურების საშუალება რომ
ჰქონდა. ვძრაზობ ხანდახან - ახლა
არც მეცხრე ბლოკი ფეთქდება და არც
მეათე! მოკლედ, წაგვართვეს: მე -
ბავშვობა და ჩემს მშობლებს -
აზალგაზრდობა! ამიტომ ყველა
პოლიტიკოსი, რომელიც ძალიან
„უბერავს“, იმ მყირალა, წვერიან ტიპებს
მაგონებს, რომელთა ფორიაქს ცეცხლი
და დოზანა მოჰყება! რატომ აყვავდა
ჩინეთი? იმიტომ, რომ ყველა
ჭიანჭველებივით შრომობს და ასეთი
ანდაზა აქვთ: „ყველაზე სახელოვან ომს
უსახელო მშვიდობა სჯობსო!“ რა
მოუტონეს სახელოვანმა მეომრებმა -
მაკედონელმა, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა,
სტალინმა მსოფლიოს? - ნგრევა და
ხალხის ვაება - მეტი არაფერი! რა
მოუტონა მსოფლიოს ხელოვანმა და
მეცნიერმა ხალხმა? სულიერი და
მატერიალური კეთილდღეობა!
საუბედუროდ, იმათ უფრო აღმერთებენ!
საფრანგეთში ნაპოლეონს დღესაც
აფასებენ! ჩავიდა ეგვიპტეში და
მამლუქებს ეომა: „მამლუქი“ გამახსენდა
- ქართული ფილმი. ერთი მამლუქი
ამბობს: „რა უნდა ტანმომცრო ფაშათ-
ფაშას ჩვენგან? სად ჩვენ და სად
საფრანგეთი?“

მეორე პასუხობს:

„რა უნდა უნდოდეს, ბიჭი ვარ
და მოვდივარო, გვეუბნება, ბიჭები ხართ
და დამხვდითო!“ აი, მთელი
ფილო სოფია! მთელი ლუკრი
ნაპოლეონის ნაძარცვი შედევრებით
არის თურმე გამოჭედილი! მაგრამ რას
იზამ, სე ლა ვი! ხათუნამ მომწერა:
„ყველას მოსწონს, მაგრამ შენ თუ
ძალიან გინდა, წავშლი!“

რა მექნა, არ ვიცოდი, ბოლოს
გადავწყვიტე: „წაშალე“ მივწერე. ახლა
თემო შემოვიდა: „დათოს შეხვდრიხარ,
ბიძაჩემს“. „ჰო, კიდე დამპატიუა, მაგრა
კაცია“. „მიამბო ყველაფერი. სადაც
იყავი, ისიც გავიგე. იცი, რა მითხრა?
ეგვიპტეში გვეპატიუება!“

საოცარია! ახლა არ ვფიქრობდი
ეგვიპტეზე?

ეგვიპტე... პირამიდები...
წამოვწექი და ფიქრებში ჩავიძირე...
გამახსენდა, რომ ნაპოლეონთან ვიღაც
თბილისელი მსახურობდა... როგორ
მოხვდა მასთან?

„სად წაიყვან სადაურსა!<“
ჩამეძინა...

* * *

...ნაპოლეონი ეგვიპტელი
მეომრების ცხედრებს ათვალიერებს,
წესად აქვს თუ ვინმე ცოცხალია,
ლაზარეთში გადაყვანის ბრძანებას
გასცემს. ხმლით ამოწმებს, ვინ
წამოიკვნესებს და ვინ – ვეღარასოდეს.
ერთ შავგრემან, არა არაბული სახის
მამლუქს დაადგა თავს... უცნაური
კვნესა შემოესმა – სიმღერის მსგავსი!
ნაპოლეონმა პკითხა: „ჩემი გესმის?“
მამლუქი ყურადღებით დააკვირდა
სამკუთხედჭუდიანს, როცა მიხვდა, ვინც

იყო, უფრო ხმამაღლა დაიწყო სიმღერა,
რამდენადაც შეეძლო, ისე. ნაპოლეონი
შეცდუნდა. მღელვარება დაეტყო.
დაიხარა, ყურს ხელის მტევანი
მიაშველა ნიუკასავთ, რათა უკეთ
გაევო, რა ენაზე მღეროდა ეს მამლუქი.
„რა ხდება გენერალო?“ პკითხეს აქეთ-
იქიდან „კორსიკულ სიმღერას პგავს“
უპასუხა 27 წლის მომავალმა
იმპერატორმა.

„შეუძლებელია“ მოუგეს მას.

„თუ შეიძლება მითხარით, სადაურ
სიმღერას მღერით? ძალიან პგავს ჩემს
მშობლიიურ, კორსიკულ სიმღერას“.

მამლუქმა სიმღერა უფრო
მონდომებით გააგრძელა და, როცა
დაასრულა თქვა: „ეს ქართული
სიმღერაა. მე თბილისელი ვარ, როსტომ
რაზმაძე“. „საოცარია“ - ჩაილაპარაკა
გენერალმა. „ეს საქართველო სად
არის?“ „კავკასიაში, რუსეთის გენერლის,
ბაგრატიონის სამშობლოა“, -
განუმარტეს ფრანგებმა.

„ჰო? ბაგრატიონი ვიცი...
გამიგია. სუვოროვთან ერთად ალპებზე
გადავიდა... ისეთ სახიფათო ბეწვის
ხიდზე გაატარა მთელი ჯარი, რომ
ნამდვილად დაუჯარებელი რამ იყო.
აქ როგორ მოხვდი?“

„ბავშვობაში მომიტაცეს,
სტამბოლის ბაზარზე გამყიდეს,
მამლუქად აღმზარდეს... ჩვენს ჯარში
ბევრი ქართველი მეომარია... ძალიან
ბევრი სარდალია, მთლად უფროსი
ფაშაც ქართველია!“

„ესე იგი, ქართველებს ვეომე?
კარგი ბრძოლა კი გცოდნიათ!
სიმღერაც...“

როსტომ რაზმაძეს გაეღიმა. „ვკვდები“ - თქვა მშვიდად.

„ახლა ლაზარეთში გადაგიყვანენ. საუკეთესო ფრანგი ექიმები თან მახლავს, ნუ გეშინა, მოგარჩენენ. ლაზარეთში გინახულებ“. ნაპოლეონი გაუცალა როსტომს და სხვა მეომრების დათვალიერება განაგრძო. „ეს სიმღერა კორსიკულია“, ჩაულაპარაკა ნეის, მასზე ერთი თავით მაღალ გენერალს.

„არ ვიცი, კორსიკაზე ნამყოფი არა ვარ“. „აქ რაღაც საიდუმლოა და მე ის უნდა ამოვხსნა!“

„რას გულისხმობ, ბონაპარტ?“ ჩაეძია მეგობარი. „კულტურის მოძრაობის თეორიას“. „ეგ რას ნიშნავს?“

„აი, ჩვენ რომ ძველი ბერძნული ქანდაკებები პარიზში ჩავზიდეთ, დაახლოებით, იმას...“

„ვერ გავიგე კარგად... თუ შეგიძლია, უფრო დაწვრილებით ამიხსენი“, სთხოვა ნეიმ.

„ორი ჭიპის ჯარი არსებობს: ერთი — კეისრის, მეორე — ატილა-ჩინგის ხანური. პირველში, ძველრომაულში, თავისუფალი, კულტურული მოქალაქები ქმნიან ჯარს, ხოლო მეორეში მომთაბარე, განუვითარებელი მონები. მონები დიდი აგრესიულობით გამოირჩევიან. იმის გამო, რომ თავად ჩაგრულები არიან, მხოლოდ სხვისი დაჩაგვრა ანიჭებთ სიამოვნებას. ხოლო თავისუფალ მეომრებს კულტურა „გადაგვაქვს“ ერთი ქვეყნიდან მეორეში. იმიტომ

წამოვიყვანე მთელი გემი გეოგრაფები, ისტორიკოსები, მხატვრები, რათა უძველესი კულტურა შეისწავლონ“.

„ესე იცი, შენ ამბობ, რომ ჩვენ კიოსრის ტიპის არმია ვართ?“

„რა თქმა უნდა! მეტიც! მე დაჭრილ მტერს ვძკურნალობ! ასე რომ არ მექნა, ამ ქართველს ხომ ვერ გადაგაწყდებოდი, ხომ ვერ გავიგებდი, რომ მათი სიმღერა ჩვენსას — კორსიკულს ჰგავს?“

„ჰუმანურია“, თქვა ჩაფიქრებულმა ნეიმ.

„მე ყველას ბალისტიკის და ზარბაზნის სპეციალისტად მივაჩინვარ, არადა, მაგით კი არა ვარ დიდი, არამედ ჩემი კულტურული მისით, რომელიც განგებამ დამაკისრა. შენ იცი, რომ მოთხოვბებს ვწერ? წიგნიც მაქვს: „ვახშმი ბოკერში“. როცა სამხედრო სასაწავლებელი დავამთავრე, ძალიან მიჭირდა და ბევრს ვწერდი. „ტრაქტატი ბალისტიკის შესახებ“ მაშინ დავწერე, მერე, ხომ იცი, რაც მოხდა: კონვენტს ჩემი ზარბაზნები დასჭირდა...“

„ჰო, ვიცი, უნდოდათ, რომ პარიზში ერთი ფანჯარაც არ ჩამსხვრეულიყო, ისე დაგეშალა მეამბოხენი!“

„ამიტომაც მკითხეს, შემეძლო თუ არა ეს? მეც შევპირდი და გავაკეთე კიდეც! ჩემი ყუმბარები სახლებს გადაუფრენდნენ და ზუსტად იმ მოედანზე ხვდებოდნენ, სადაც აჯანყებულები იდგნენ — არცერთი ფანჯარა არ ჩამსხვრეულა. ესეც ცოცხალია — ლაზარეთში გადაიყვანეთ! მოკლედ, ასეა, „კულტურის მოძრაობის

თეორიასაც“ მალე დავწერ. ერთი ეს ქართველი გამოჯანმრთელდეს...“

გამომეღვიძა. „ეს რა სიზმარი ვნახე?“ გამახსენდა, მამაჩემმა მთხოვა კორსიკული სიმღერა მომიძებნე ინტერნეტში, რატომდაც დაათნტერესა ამ თემამ. ავრიფე „კორსიკიან სონგს“. თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა ძალიან ჰგავს მათი სიმღერა ქართულ ხალხურ სიმღერებს! „რატომ ვნახე ეს სიზმარი?“ დავიწყე ამაზე ფიქრი. იქნებ, ლონდონში წასვლა ჩემი კულტურული მისიაა? რა უნდა წავიღო იქ? საინტერესოა! მაგრამ ლონდონამდე ეგვიპტეში მივდივარ, იქნებ, იქ არის წარმატების გასაღები?!“

* * *

- დედა, ეგვიპტეში, მივდივარ, - საუზმის დროს ვუთხარი დედაჩემს
- მარტო მიდიხარ? - გაიკვირვა მან.

- არა, მთელი ჯგუფი და თემოს ბიბა.

- ეგ ძალიან კარგად მოგიფიქრებიათ. სადღაც უნდა წახვიდე, რაღაც უნდა ნახო, უკვე დროა.

- ჰო, თან ზაფხული ყოფილა, ახლა იქ. ამ სიცივეს მოვმორდები ცოტა ხნით.

- რამდენი დღით მიდიხართ?

- თორმეტი დღით. იცი, რა მაგარი ტურია? საჭმელ-სასმელი – უაფასო, ყველაფერი საგზურის ფასში შედის! მოკლედ, ვინც ნამყოფია, ყველა ამბობს სამოთხეში გვეგონა თავიო!

- ჰო, მეც გამიგია. მანანა დეიდა მიამბობდა, შარმ ელ შეიხში ისვენებდა. მამაშენს ეუბნებოდა –გატენილია

იქაურობა საშენო ასაკის რუსი ქალებითო!

- მერე, ვერ წავიდა?

- ფული ვერ იშოვა. საგზური კი ღირს იაფი, მაგრამ ჩვენც ხომ გვჭირდება ფული, რამდენი გადასახადი გვაქვს ზამთარში! სად გვცალია დასვენებისთვის!

- ეგეც მართალია. – საუზმეს მოვრჩი, წამოვდექი.

- როდის მიდიხართ? – მკითხა დედამ.

- იანვრის შუა რიცხვებში.

მამაჩემი შემოვიდა სამზარეულოში.

- ეგვიპტეში მიდიხარ? თქვენს ლაპარაკს მოვკარი ყური. მეც ნამყოფი ვარ, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი ეგვიპტის პირამიდებია, ხომ იცი?

- ვიცი. ეგ ყველამ იცის!

- აბა, შენ თუ იცი, სფინქსს რატომ აქვს ცხვირი ჩამომტვრეული? – გამომცდელად მკითხა მამა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ნაპოლეონმა მიაყენა ზარბაზანი და ესროლი! უნდოდა, თავისი კვალი დაემჩნია მისთვის, უფრო სწორად – მარადისობისათვის!

- შენ თუ იცი, - ახლა მე დავაპირე, ჩამეჭრა. – რატომ აიყვანა ნაპოლეონმა რუსტამ რაზა სამსახურში?

- არ ვიცი...

- იმიტომ, რომ დაჭრილი ეგდო ბრძოლის ველზე და ქართულად მღეროდა. ნაპოლეონმა გაიგონა მისი სიმღერა და კორსიკულს მიამსგავსა...

- არადა, მართლა ძლიერ ჰგავს ჩვენი სიმღერები ერთმანეთს. ძაან მეგობრობდნენ მათი მომღერლები ჩვენს ბიჭებთან, „ქართულ ხმებთან“ გოგი დოლიძე რომ გარდაცვალა, საფლავთან დიდხანს იდგა მისი კორსიკელი მეგობარი, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა დასაფლავებაზე! ისე, შენ რა იცი, რატომ დაიყენა გვერდით ნაპოლეონმა რუსტამ რაზა?

- სიზმარში ვნახე, - ვუთხარი ალალად.

- რა საოცარი სიზმარი გინახავს. არ არის გამორიცხული, რომ ეგ სიმართლე იყოს! აბა, რაღა რაზმაშე აიყვანა მსახურად? სხვა არავინ იყო? ისე ენდობოდა, კართან ეწვა, რათა მძინარეს ვინე არ დასხმოდა თავს. ესე იგი, სიმღერა, არა?

- ჰო, სიმღერამ დაახლოვა ერთმანეთთან. სიმღერას დიდი ძალა აქვს! თანაც როგორ ქართულად უღერს ზოგიერთი კორსიკული სიმღერა! აი, მაგალითად, „ქართული ხმები“ რომ მღერიან! რესტორანში მოვისმინე პირველად. ტექსტი მეუცნაურა, თორემ დარწმუნებული ვიყვავი, კახურ სიმღერას ვუსმენდი! - ემოციები ვერ დავმალე მე.

- შენ კიდე, „თურაშაულის პატრონი ტექში ეძებდა პანტასაო“, ისე მოგდის! ხომ ხედავ არავის უნდა ეგ შენი როკი?

- ეგ ჩემი მისია! კულტურის მოძრაობის გამოსახულებაა. ქოთი მელუა, რა, ქართველი არ არის?

- ეგ კარგი არგუმენტი გაქვს! არა, მე კი არ გიშლი, შვილო. ღმერთმა

ქნას და გაგიმართლოს... მაგას რა სჯობს? სხვათა შორის, რას ამბობდა თურმე ნაპოლეონი როსტომ რაზმაძეზე, იცი?

- რაო, რას ამბობდა?

- გაზეთში წავიკითხე მე ამ ათიოდე წლის წინათ, ქართველი ისტორიკის წერდა. გვარი არ მახსოვს, მაგრამ, თუ დამჭირდა, გავიგებ. ნაპოლეონი ამბობდა, ამათ (ფრანგებს) ფულისა და დიდებისთვის ვჭირდები, ხოლო ამ კაცს შორეული საქართველოდან, ალალი სიყვარულით ვუყვარვარო! აი, ასე ასახელა კაი ბიჭობით რუსტამ რაზამ თავისი თბილისი!

- ამიტომ უნდა წახვიდე კაცი სადმე. - დავასკვენი მე. - თუ შესაძლებლობა გაქვს, რა თქმა უნდა!

- ვინ გიშვებს მერე? იმდენი ფული უნდა ამ ყველაფერს, რომ... ეჭ, კომუნისტები იყვნენ და არსად გვიშვებდნენ, თუ სადმე წახვიდოდი, იმდენ კაგებეშინის აგადევნებდნენ, ისევ ტყვეობაში იყავი. ახლა ვითომ გახსნილია გზები და ვითომ ყველა პატივს გცემს, მაგრამ არავის აძლევენ ვიზას... ან თითქმის არავის!

- ქურდობენ საზღვარგარეთ და, ალბათ, იმიტომ: ის ლექსი ხომ გახსოვს, მგონი, „ქართველები ევროპაში“ ერქვა: როს დავტოვეთ, ძებო ვენა, დამშვიდდა და დაისვენა!

- კარგია... მაგრამ წესიერ ხალხს არ აძლევენ ვიზას და ამ ბაცაცებს რატომ აძლევენ, ნეტავ?

- ამბობენ, ხელოვანი ხალხისთვის გასვლა გამარტივდებაო...

- იმედია! ყოველ შემთხვევაში, მომწონს შემართული რომ ზარ ასაფრენად. აბა შენ იცი!

კომპიუტერს მივუჯექი. მართლაც არაჩვეულებრივი სასტუმროს ფოტოები ვნახე შარმ ელ შეიხში! ოცნებებში წავედი... იქ დავუკრავთ. ცეკვები, გოგონები... შეიძლება ვინმე პროდიუსერიც დაგვესწროს და კიდევ, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს! ეგვიპტეში დაკვრას და დარჩენას მანც არ ვაპირებ... ისევ ის გამახსენდა – რუსტამ რაზმა! ავდექი და მისი სახელი და გვარი ავკრიფე... „რუსტამ რაზა (რაზმაძე). დაიბადა თბილისში 17... წარმოშობით სომეხიო. რაო? აკი ქართველიაო?! ან რაზმაძე რატომდა იყო? მამას დავუძახა.

- მოდი, რა გაჩვენო!

შემოვიდა და წაიკითხა, რაც ეწერა.

- მდაა, მე რეზო თაბუკაშვილის ფილმიც მაქვს ნანასი, სადაც ნათლად არის ნათქვამი, რომ ქართველი იყო...

- მოიცა, მოიცა. აბა ერთი, ქართული შრიფტით დაწერე: „რუსტამ რაზა“. – აგრიფე. გიორგი მახარაძის სტატიაა მოცემული. მამამ სათვალე გაიკეთა და სწრაფად გადაიკითხა მთელი სტატია, აღმოჩნდა, რომ სომეხი მეცნიერები მის სომხობას ამტკიცებუნ, ხოლო ფრანგი ისტორიკოსი დერიბერე წერს: „ნაპოლეონმა ეგვიპტიდან წამოიყვანა ქართველი ჭაბუკი რუსტამი და საფრანგეთში შექმნა მამლუქთა კორპუსი“.

- ასეც ვიცოდი! აი, ნახე, აქ რა წერია: „ალიაში“ გამოქვეყნდა ბ.

გეგეშიძის წერილი „ნაპოლეონის მეგობარი ქართველი“, რომელშიც კიდევ ერთი წყაროა მოხსენებული. – ნაპოლეონის 25 ტომად გამოცემული მემუარები! „მე გამორშემორტყმული ვარ ფრანგებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო გვეხმარებიან. ეს კაცი კი, ქართველი, შორეული საქართველოდან, გულწრფელად არის ჩემზე მონდობილი და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს!“ აი, ეს ბოლო სიტყვებია მთავარი! მაშინდელი ქართველობა სამარცხვინოდ მიიჩნევდა მაშინდელ აღებ-მიცემობას, ვაჭრობას! რაიმე გამორჩენისთვის არ კადრულობდნენ არც ოშს, არც გარჯას! წარმოშობით სომეხიც რომ ყოფილიყო, მენტალურად თბილისელი ბიჭი იყო, ქართულად აზროვნებდა, რა თქმა უნდა, და...

- ქართულადაც მღეროდა! – დავასრულე მე მამაჩემის დაწყებული აზრი.

- ჰო! აი შენ, მაგალითად, ქართველი ზარ, მაგრამ მენტალურად ლონდონური აზროვნება გაქვს. სულიერად „იქ“ ზარ, იმათი ზარ! ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ გადამწყვეტი არა! თუმცა შეიძლება კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს შენში – მამა ოთახიდან გავიდა. „აი, სად „მომიბრუნდა“ ეს თემა!“ გავიფიქრე. „მე მართლაც ლონდონში ვცხოვროს: იქაური მესიკალური სტილი მაქვს, ინგლისურს ისე ვფლობ, ყველას იქ ჩაწერილი დისკი ჰავნია, ანუ შესაძლებელია, სისხლით სხვა იყო და მენტალურად სხვა... აბა, სისხლის ყივილი რაღაა?“...

გზები ფყვდიაფში (რომანი)

III თავი

თბილისში უჩვეულოდ ცუდი ამინდი იდგა. რუხი ნისლი იწვა ქალაქის მთებზე, ნისლი მეწყერივით დაბლადაბლა მოცურავდა, საშლელივით შლიდა ზამთრისეულ ხედებს, მოწყენილ ქალაქს დილიდანვე გულის გამაწვრილებელი სიბნელით ავსებდა. ხალხი თითქოს განწირული სულისკვეთებით ცხოვრობდა, ბევრჯერ განცდილ გაჭირვებას კვლავ ეჩვეოდა, ძალიან მძიმე ახალ ცხოვრებისეულ პირობებს ეგუებოდა, მაღაზიებსა და გასტრონომებში არაფერი აღარ იშოვებოდა, ცარიელი ვიტრინები საცოდავი სახით გამოიყურებოდნენ, პურის მაღაზიებთან გრძელზე-გრძელი რიგები იდგა, ყველსა და ძეხვს სანთლით ძებნითაც ვერსად იშოვიდით, არსებობის ძირითად წყაროდ პური ქცეულიყო. უტრანსპორტობის გამო გრძელი გზის ფეხით გავლის შემდეგ პირველყოფილ დონეზე დარჩენილ ბაზრის ჭუჭყში პურის მისაყოლებელი რაიმე უნდა გეძებნათ. უკიდურესი გაჭირვების გამო საზღვარი გაიხსნა თურქეთან და საქართველოსკენ დაძრა ჩამორჩენილი ქვეწებისათვის განკუთვნილი უმდაბლესი ხარისხის პროდუქცია. დარწმუნებით ლაპარაკობნენ, ამტკიცებდნენ, რომ პურის გამოსაცხობად იხმარებოდა უკეთ უვარგისი, ბაღლინჯოთი დაავადებული ფქვილი და მისით კვებავდნენ საწყალ ხალხს, ამ კუთხით

სასწრაფო წესით შექმნილი ათობით საეჭვო ორგანიზაცია საქმიანობდა, ხალხის გაჭირვების ხარჯზე მრავალი ცდილობდა გამდიდრებას.

— რატომ ხდება ასე, რას აკეთებენ, რა ჯანდაბა უნდათ, — ხელების გაშლით კითხულობდა გიგა მაჩაბლის სადარბაზოში მცხოვრები ყოფილი დიდი თანამდებობის პირი აპოლონ უბირია.

— ამას რა მიხვედრა უნდა, — პასუხობდა შედარებით ახალგაზრდა, უკეთ თანამდებობაზე მომუშავე მეზობელი, — აქ უზარმაზარი ფული კეთდება, შეიძლება ითქვას, მილიონები, წლის მანძილზე, ალბათ, მილიარდზე მეტი, რადგან პური პირველი კი არა უპირველესი მოთხოვნილების საგნად იქცა.

— როგორ, რა გზებით, საიდან ამდენი ფული, — შეკითხვებს აგრძელებდა ბატონი აპოლონი. ამ დროს ისეთი გაოცებული სახე ჰქონდა, თითქოს თავის დროზე თავად ძალიან დიდ ფულს არ აკეთებდა.

— როგორ და დროთა განმავლობაში ფქვილი ბუნებრივად ფუჭდება, მწარდება, ობი და ბაღლინჯო უჩნდება, ამ დროს საერთოდ უნდა გადაიყაროს, ან მცირედ მაინც ვარგისი ნაწილი ჩამოფასდეს, ჩამოიწეროს, რაც მიღიონობით ტონას შეადგენს. წინასწარ შესწავლით საწარმოებში ტურებივით ჩნდებიან ჩვენი ფართო მასშტაბის ქორვაჭრები, ანუ შემსყიდველები, მანე-

თად ღირებულ ფქვილს ყიდულობენ ათ კაპიტად, დარჩენილი ოთხმოცდაათი კაპიკიდან წილს აძლევენ გამყიდველს, ვინც ძალიან კმაყოფილი რჩება გადასაყრელი ნაგვის გასაღებით, უზარმაზარი მარცხენა თანხები და დაბინძურებული ფქვილი კი მოაქვთ საქართველოში, ახლა ისეთი არეული დროა შესამოწმებლად არავის სცალია.

— მერე ამ საშინელებას ჩვენ ვჭამთ,
— ცხარობდა ყოფილი დიდი თანამდებობის პირი აპოლონ უბირია. — მაინც ამაინც სიმწარე რომ არ ეტყობა პურს?

— სხვა რა გზა გვაქვს, იძულებულები ვართ ვჭამოთ, — პასუხობდა მოპასუხის როლში შეჭრილი ახალგაზრდა თანამდებობის პირი, — რაც შეეხება სიმწარეს თუ შმორის სუნს, ეს უკვე ტექნიკის საქმეა, — დაუმატებენ შაქარს, საფუარს, დამარბილებელს, შემკვრელს და მიღებული ანუ გამომცხვარი პურის გაყიდვა კი არა, ნამდვილი ტაციობა დაიწყება. რას იზამთ, სხვა არაფერი იშოვება, ყველაზე ცუდი ისაა, რომ ასეთი მავნე პურით ვკვებავთ ბავშვებს, რაც მომავალში ათას დაავადებას გამოიწვევს. სხვა გზა ჯერჯერობით არ ჩანს, აბა ამ საშინელ დროში უმაღლესი ხარისხის ფქვილს ვინ მოგვცემს, ხომ გახსოვთ უამრავ მბიმე დროზე ნათქვამი „როცა გშია ზაქარია, ცივი ჭადიც შაქარია“.

— დიდი სამამულო ომის შემდეგ მსგავსი დრო თუ დადგებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი.

— რატომ, თქვენს დროს, მთელი წლის თუ მეტის მანძილზე პური არსად იშოვებოდა, თეთრი ფერის საერ-

თოდ გაქრა, საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა ხალხი.

— ეს როგორც გამიგია მხოლოდ ერთხელ მოხდა, მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი, ისე მერე ხომ გამოასწორეს საქმე, იმდენი პური იყო, გლეხები საქონელსაც კვებავდნენ.

— არც ეგ იყო ნორმალური, პურით საქონლის გამოკვება შეუძლებელია.

— თქვენ რაღაც ყველაფერს არა-ნორმალურს უწოდებთ, ყველაფერი სწორად განსაზღვრას საჭიროებს.

— თქვენ რომ ყველაფერს ნორმალურად მიიჩნევდით და ათასი მანკიერების კრიტიკაც არ გინდოდათ, იმიტომაც წავიდა კარგად ჩვენი საქმე, ლამის არის უსინათლობით, უშაქრობით თუ უჰაერობით ხალხი დაიხოცოს, საიმედო კი არაფერი ჩანს, ყოველი დღე ერთმანეთზე უარესია.

— თქვენ ამ მდგომარეობასაც ჩვენ გვაბრალებთ, მიზეზს მხოლოდ ჩვენში ეძებთ.

— აბა, ვის დავაბრალოთ, თქვენი უთაობით გაფუჭებულ საქმეს ჩვენ ხომ ვერ დავიბრალებთ.

— კარგით, გეყოფათ, — ჩაერეოდნენ სხვა მოსაუბრები, ასე თუ შემეგით მიზეზების ძებნას, ჩხუბი და აყალმაყალი არ აგვცდება.

— რა ჩხუბი და აყალმაყალი უნდა მაგას, წინა თაობის შეცდომები და დანაშაული თუ სათანადოდ არ გაიშიფრა და არ აღმოიფხვრა, დამნაშავეები თუ არ დაისაჯნენ, არაფერი არ გვეშველება.

— აი, ეს უნდობლობა და მუდმივად ცუდის მიება ღუპავს ქვეყანას.

— თუ სიმართლე არ გაირკვა, თუ დანაშაული არ აღიკვეთა, მაშინ მართლა დავიღუბებით, ოღონდ ის არის ძალიან ცუდი, დადანაშაულებაც კი შერჩევით ხდება, პოლიტიკაში ჩართულობის დონე განსაზღვრავს, ვინ დაიჭირონ, ვის კი არც შეეხონ.

კამათისა და გულში ჩაბუდებული უხილავი დვარამლის ნაწილობრივი ამოფრქვევის შემდეგ მოსაუბრე-მოკამათები იშლებოდნენ და საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად მიდიოდნენ.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს აპოლონ უბირიას მწითურ, მაღლამოქიდით გადატკეცილ სახეზე ზედვე ეწერა, რომ უსაზღვროდ თავხედი და ცხოვრებაში ბევრჯერ გამარჯვებისაგან თავში დარწმუნებული ყეყერი იყო, მაღლი, მსუქანი, ტანის მომრგვალებული ნაწილებით გამორჩეული ტიპს „გაფუჭების“ ანუ მაგარი ჩამოქვეითების მიუხედავად მედიდური, ცინიკურად გამომზირალი თვალები და სახე ჰქონდა, ბევრი ამბობდა, რომ რაღაცნაირად პირუტყვს წააგავდა. მაღლი სართულებით შემოზღუდულ გრძელ ეზოში იგი არავის არ უყვარდა, ერთ-ერთ სახლში გაერთიანებული ოთხი და სამოთახიანი ბინების შედეგად წარმოქმნილ რვა ოთახიან დარკინულ ბინაში იყო გაბატონებული.

ქვეყნა და ერთი თბილისური ეზო ყოველდღიური მძიმედ აფორიაქებული ცხოვრებით ცხოვრობდა, სასიკეთო არაფერი ჩანდა, მხოლოდ ცუდი ამბები ისმოდა, საერთოდ ადამიანებს კარგის გამომზეურება ნაკლებად უყ-

ვარდათ, უფრო ცუდი ამბების განხილვითა და ერთმანეთისათვის მყისიერი შეტყობინებით იყვნენ გართულები.

გიგა მაჩაბლის ბინის გვერდითა საპარადოში, ანუ შუა საპარადოში, რადგან სახლს სამი შესასვლელი ჰქონდა და პირველ-მესამეს შორის შუა ანუ მეორე საპარადო ნამდვილად არ-სებობდა, ცხოვრობდა მოინტელიგენტო ოჯახი: ცოლ-ქმარი და ერთი შვილი. ოჯახის უფროსი ნიკო ნაკაიძე მხატვარი იყო. პირველ სართულზე მდებარე სამოთახიან ბინაში ჯერ კიდევ უცნობ მხატვარს ერთი ოთახი ჰქონდა დათმობილი. იქ იჯდა პატარა ტანის საკმაოდ სიმბათიური, ჯერ კიდევ საზოგადოებრიობისთვის უცნობი მხატვარი და დილიდან შუალამედის ხატავდა ხან ძალიან მცირე, ხან საშუალო, ხან მოზრდილ ტილოს. ბევრი ხატვის მიუხედავად ოჯახი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა, ოღონდ როცა შემოდგომა დგებოდა, სოფლიდან ჩამოჰქონდათ ხილი, ხორცი, ყველი, ღვინო, არაყი და იწყებოდა ნაცნობ-ამხანაგების დაუსრულებელი შეკრება. ლაპარაკისა და სმის დიდად მოყვარული მეზობლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ყოველდღიურ უმიზნო შეხვდრებში. სანამ ჰქონდათ სასმელი და მისაყოლებელი, ყოველ საღამოს ქეიფობდნენ, ღვინის მარაგის დამთავრების შემდეგ სოფელში ნაირგვარი ხილისაგან გამოხდილი არყითა და ჭაჭის არაყით აგრძელებდნენ ღრეობას, შუალამედის გამოდიოდა სიმღერისა და ცეკვის ხმა ნაკაიძეების ბინიდან და ამას ყველა მიჩვეული იყო.

იოლად და მარტივად ცხოვრობდა ნაკაიძების ოჯახი. როცა ლგინო და არაყიც შემოელეოდათ, ნაცნობ-მეგობრებს რაღაც-რაღაცები მოჰქონდათ, ვისაც რისი შოვნა შეეძლო დიდი გაჭირვების დროს, მერე შეკრებდნენ ამ მოტანილს და ქეიფს აჩაღებდნენ, გვიან ღამემდე, უფრო ზუსტად შეუადამებდის ისხდნენ, ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ, სვამდნენ, მღეროდნენ, თითქოს უკადურესად გაჭირვებულ და უთავბოლოდ არეულ-დარეულ ქვეყანაში კი არა, მშვიდსა და გამართულში ცხოვრობდნენ. კამათის დროს პოლიტიკურ თემებს ნაკლებად ან სულ არ ეხებოდნენ, თითქოს მათი ტვინი მხოლოდ ერთ მხარეს იყო მიმართული, ყოველგვარ პოლიტიკას სმა-ჭამა ერჩივნათ.

ყველა ამ სახის შეკრებას ესწრებოდა ნაკაიძების თერთმეტ-თორმეტი წლის შვილი, დაბალი, სიმსუქნისაკენ გადახრილი, უშნო შესახედაობის ლუკა. უკვე ოთხი წელიწადი სრულდებოდა, რაც ნაკაიძები ამ სახლში ცხოვრობდნენ, პატარა, მოძრავ, გადმოქაჩულთვალებიან ლუკას მთელი უბანი იცნობდა, ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო, ჯერ ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ უკვე ჩანდა, რომ არავითარი წესირის, სასარგებლოს გაკეთებისაკენ არ იყო მიმართული მისი გონება. მამამისის გაყიდულ ნახატში აღებული ფულით ნაყიდი კისტის თოფით ხან იშვიათად შემოფრენილ ჩიტებს დასდევდა, ხან კი საგრძნობლად მომრავლებულ კატებს. მის დანახვაზე ეზოს შავ-ჭრელი კატები უკვე აქეთ-

იქით გარბოდნენ, რომელიმეს თუ მაინც გაარტყამდა კისტის ტყვიას, მერე დიდი სიამოვნებით ტრაბაზობდა ბიჭებში როგორ ღრმად შეასო კატას ხორცში ტყვია, კატა ჭყვილით გარბოდა, სისხლი კი მოწვეთავდა. შინ ყოფნისას და ლუკას მშობლების დანახვის დროს გიგა ყოველთვის ფიქრობდა როგორ მიშვებულად და უყურადღებოდ ზრდიდნენ ქალბატონი მაგდა და ბატონი ნიკო ერთადერთ ვაჟს, რომელიც შინ მხოლოდ საჭმელად თუ შეირბენდა, დანარჩენ დროს სულ ეზოსა და ქუჩაში ატარებდა.

შემოდგომის ერთ საკმაოდ გრილ და მოღუშულ დღეს გიგა მაჩაბელი შინ საღამოს უქვს საათზე დაბრუნდა, ისადილა, ორი ჭიქა კახური ღვინოც მიაყოლა და მერე გარკვეული დროით ფეხზე დგომის მიზნით ქუჩის მხარეს გადამდგარ აივაზზე გავიდა. ამ მხარეს რვასართულიანი სახლის აივნების წინ შედარებით დაბალი, რტოებგადაშლილი ხეების ზოლი გასდევდა, სახლის კუთხიდან იწყებოდა და ბოლო კუთხესთან მთავრდებოდა. პატარა ბიჭები ფუს-ფუსებდნენ ვიწრო ბაღში, ამ მხარეს გამომავალი ნაკაიძეების ბინის ორი ფანჯრის წინ. ბიჭებს მოეზიდათ საკმაოდ დიდი რაოდენობით სხვადასხვაზომის ფიკრები, ბოძები, თოკები, მუჟაოს სქელი კოლოფები და გაცხარებით მსჯელობდნენ. უთავბოლო ლაპარაკში ხშირად ახსენებდნენ შტაბის აშენებას. რაღაც თავშესაფრის მსგავსს იშენებენ, — ფიქრობდა გიგა, — რა ქნან, გართობა უნდათ, ასე ყველა თაობა იშენებდა შტაბსა თუ ბუნკერს, ამათაც მოუვი-

დათ დრო და იგივეს აკეთებენ. ბიჭების დიდ გუნდს, ოცი-ოცდაზუთი ბიჭი მაინც იქნებოდა შეკრებილი, დაბალი ტანის ლუკა ნაკაიძე ხელმძღვანელობდა, უკვე გარკვევით ჩანდა, რომ მეზობლის ბიჭებს ის უფროსობდა, პატარები მისი ბრძანება-განაწილების შემდეგ შედიოდნენ რვასართულიანი სახლის სარდაფებში, უკვე გადებულ სარდაფებს ჩხრეკდნენ, ჩაკეტილი კარის გაღება-ჩამტვრევას ცდილობდნენ და მოჰქონდათ უამრავი მასალა მათთვის საჭირო შტაბის ასაშენებლად. როცა ფიცრებისა და მუყაოს მოზრდილი გორა დადგა, ლუკამ ბრძანება გასცა დაეწყოთ მშენებლობა. ცოტა ხნის შემდეგ გიგა შინ შებრუნდა დასასვენებლად, ტელევიზორის ცქერისას ჩაეძინა კიდეც. მერე წამოდგა, ისევ გარეთ გაიხედა, რაღაც საოცრება მომხდარიყო, ბიჭებს ჩაესოთ ბოძები, ბოძებზე თოკები გაეჭიმათ, მავთულიც მიეხმარებინათ, მათში ფიცრები ჩაემაგრებინათ, გადაეხურათ კიდეც და შეკრებილებს გარედან შემოსული ლამპიონის შუქზე გაცხოვებული ბჭობა პქონდათ გამართული.

გიგამ კმაყოფილებით გაიფიქრა, რომ უბინის პატარა ბიჭებმა რაღაც გასართობის მოწყობა მაინც შეძლეს. ოთახში შევიდა, მერე კაბინეტში დაჯდა მაგიდასთან და მუშაობაში ჩაერთო. ჯერ ახალი გაზეთები წაიკითხა, საინფორმაციო გადაცემას უცქირა, მერე წერას შეუდგა, თავაუღებლად მუშაობდა, როცა წერისგან ბეჭები ასტკივდა, გამოფხიზლდა და საათს დახედა, ღამის 12 საათი შესრულებულიყო, პირვე-

ლი იწყებოდა, — უკვე ძილის დროა, უნდა მოვემზადოო, — თქვა და სააბაზანო ოთახში შევიდა. ძილის წინ კვლავ აივანზე გასვლა და გადახედვა მოუნდა. 12-14 მეტრიანი ოთახის ოდენა შტაბის შეკოწიწებული შენობა უკვე დაცლილიყო, ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. ამ დროს შენიშნა ტანმორჩილი ლუკა ფრთხილად მოდიოდა ხეებს შორის, მათი ბინის დახურული ფანჯრებიდან კი სიმღერის სმები ისმოდა, სტუმრებით გართულ მშობლებს ჯერ არ ეძინათ და თორმეტი წლის ბიჭიც არ იძინებდა. დააინტერესა რა უნდოდა გვიან ღამით ბავშვს და დაკვირვებით დააცქერდა. ლუკას ხელთ ბოთლი ეჭირა. ერთი წუთიც არ იყო გასული და ცეცხლმაც იფეთქა, ეტყობოდა ბიჭმა ნავთი შეასხა და ასანთიც გაკრა, აივნიდან ეს აღარ ჩანდა, შტაბის ხის კედელი ფარავდა. გიგამ დაყვირება მოასწრო — რას შვები, რას შვები და ლუკაც სწრაფად გაქრა ხეებს შორის. ღამები აიგნიდან მხოლოდ ცეცხლის ნათება ჩანდა, ცოტა ხანში კი გაძლიერდა და ცეცხლის ენებმა სახურავზე მიჯრით დალაგებულ ბრტყელ ფიცრებს უწია, ჯერ ოქროსფრად მოლოკა გარშემო, ყველა კუთხიდან შემოუარა, მერე კი გაძლიერდა, აენთო, აბრდღვიალდა და ავარდნილმა ალმა მთელი მიდამო გაანათა. გიგა ჯერ დაბნეული იდგა, ფიქრობდა რა ექნა, თვითონ ჩასულიყო დაბლა ჩასაქრობად თუ მეზობლებისთვის დაეძახა. ამ დროს იგრძნო გვერდით აივანზე ვაზის მსხვილი ღერების საშუალებით ვიღაც ამოცოცდა, მოაჯირზე ფრთხილად გად-

მოძვრა, ასევე უხმაუროდ გადმოვიდა აიგნზე, გთვალ შეხედა, ძალიან გაუკვირდა, მის გვერდით ლუკა იდგა, ხელში წითელი ფერის აგური ეჭირა, ლუკამ აგური ორივე ხელით მაღლა ასწია, გიგამ ერთხელ კიდევ მოასწრო შეყვირება: რას შვები, რას შვები და აგურიც მთელი ძალით მოხვდა თავში, ეტკინა, უცებ იფიქრა ამ პატარა ნაბიჭვარ ლუკას მოვკლავო და ამ დროს თავზე მეორე ფიცარიც მოხვდა, აქეთიქით უაზრო ტრიალში აივანზე კარადას მიყუდებული ბრტყელი ფიცრები გადმოშლილიყო და ორი მათგანი თავზე დაეცა. ფიცრების სწორების დრო აღარც იყო, ალი უკვე ხის ტოტებში შეძვრა, აიგნებს კი კვამლისა და დამწევარი ხის მასალის ფერფლიანი სუნი მოუფინა. ოჯახის წევრებს ღრმა ძილით ეძინათ, უცებ პიჯაკი ჩაიცვა, ფეხები მაღალფელიან ბათინკებში ჩაჰყო, თასმები არც კი შეუკრავს, ისე ჩაირბინა კიბეები, სახლს მოუარა და ბაღის წინ გავიდა. მეზობლების კარგა დიდი მასა შეკრებილიყო, აქეთიქით უაზროდ დადიოდნენ, წიოკობდნენ, ერთმანეთს აფრთხილებდნენ: ფრთხილად, ქარმა თუ ცეცხლის ნაპერწკლები აიგნებზე გადაიტანა, შეიძლება დიდი ხანძარი მოხდესო. ქარი სუსტი იყო, ჯერ ცეცხლის ენებს ათვენს ვერ უწვდოდა, თუმცა საფრთხე ყოველი წუთობით ძლიერდებოდა.

— სად არიან აქამდე, სად ჯანდაბაში არიან, თითქმის ნახევარი საათი გავიდა, რაც დავრეკეთ, ჯერ კიდევ არ ჩანან, მაგათ იმედზე იყოს ჩემი მტერი, ყვიროდნენ მეზობლები. — ხედავ, რა

დრო გასულა ამ ჩემს მოჩვენებებშიო, — ფიქრობდა გიგა. ამ დროს შენიშნა ხალხში ნიკო და მაგდა ნაკაძეებიც იყვნენ, გვერდით ლუკაც მოჩანდა, გადაკრულ-გამსიარულებული სტუმრებიც გამოსულიყვნენ, უაზროდ ხმაურობდნენ და ხელებს იქნევდნენ. ცეცხლმა უკვე აივნებს უწია, შეშფოთებამ და ღრიანცელმა იმატა, ზოგიერთი მეზობელი სახლში ავიდა და ვედროებით წყლის გადმოსხმა დაიწყო, თუმცა ეს საქმეს ვერ შეველიდა, წყალი ჰაერში იშლებოდა, იფანტებოდა და მიზანს მცირე რაოდნენობა აღწევდა. ამ დროს გაისმა ნაცნობი საყვირის ხმები და ქუჩაში ერთმანეთის მიყოლებით სამი სახანძრო მანქანა შემოგრიალდა, უკან მილიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანებიც მოპყვებოდნენ, შეშინებულ მეზობლებს ყველგან დაერეკათ. მეხანძრეებმა სასწრაფოდ მოიმარჯვეს შლანგები და წყლის ჭავლები მიმართეს კოცონისაკვნ. ათ-თხუთმეტ წუთში ცეცხლი ჩაქრა. სახანძრო მანქანები კვლავ კივილითა და გრიალით წავიდნენ, სასწრაფო დახმარებაც უკან გაჰყვა, მილიციის მანქანა კი დარჩა. თანამშრომლებმა ხალხს დაუწყეს გამოკითხვა როგორ გაჩნდა ხანძარი, ეჭვი ხომ არ ქონდათ ვინმეზე. არავინ არაფერი არ იცოდა, მართლა არ იცოდნენ და პასუხობდნენ ბავშვებმა თავისთვის რაღაც შტაბი მოახლაფორთეს, ალბათ, ვინმე ასანთი გაკრა, ან ვიღაც გამვლელმა უფროსმა სიგარეტის ნამწვი მოისროლა, ახლა ამის დადგენა ალბათ შეუძლებელია. გიგა ლაპარაკში არ ჩარეულა, მან კი იცო-

და როგორც მოხდა ხანძარი, მაგრამ მეზობლის თორმეტი წლის ბიჭის დაბეზღება ვერ წარმოედგინა. ასეთი ქცევა მისი კაცური თვისებების მიღმა იდგა, არადა გრძნობდა მოუღებელი ამბების დაფარვა უდაოდ შეუწყობდა ხელს უკვე უსაქმური ლუკას კიდევ უფრო გზიდან აცდენასა და მავნებელ ტიპად ჩამოყალიბებას.

გიგა გამობრუნდა და შინისკენ წავიდა. ამ დროს წამოეწია მას ნაკაიძების მცირერიცხოვანი ოჯახი. — რა საშინელებაა, — წიკვინებდა მაგდა ნაკაიძე, — სახანძროს რომ დაეგვიანა, ვინ იცის რა მოხდებოდა, არა, უფრო დაკვირვებით, მეტი მონდომებით უნდა გამოეძიებინათ ვინ გააჩარა ხანძარი, ასე ხომ შეიძლება გადავიწვათ და გადავიბუგოთ.

— საშინელებაა, — კვერს უქრავდა მეუღლეს ნიკო ნაკაიძე, — იქნებ ჩვენ მაინც მოვახერხოთ შინაურული გზებით გაგება, რა მოხდა, თუ მივაფურჩეთ, ასეთი რამ შეიძლება კიდევ განმეორდეს და დავიღუპოთ.

გიგამ ვეღარ გაუძლო ლაპარაკს, მერე თითქოს რაღაცამ ამოხეთქა, მოლაპარაკე ცოლ-ქმარს მიუბრუნდა:

— იძულებული ვარ გითხრათ, იქ ხომ არ ვიტყოდი და ბავშვს ხომ არ დავლუპავდი, ჩემი საკუთარი თვალებით დავინახე და ზუსტ სიმართლეს გეუბნებით, ვინ გააჩინა ხანძარი და თქვენმა შვილმა გააჩინა, ამასაც იმიტომ ვამხობ, რომ გაფრთხილდეთ, ბავშვს მეტი ფურადლება მიაქციოთ, თორმე შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მიიღოთ.

ცოლ-ქმარს ენა ჩაუვარდა, ვერაფ-

რის თქმა ვეღარ მოახერხეს, ნიკომ უცებ საყელოში ჩაავლო შვილს ხელი, გაოგნებული მაგდაც უკან მიჰყვა, ათამდის უსაქმური თანამეინახეც ბრუნდებოდა სუფრაზე, თუმცა ჩანდა ახლა ქიფისა და სიმღერების დრო აღარ იყო.

ამ ამბის მერე ლუკა ორი-სამი დღე ეზოში აღარ გამოჩენილა, თუმცა მას მშობლები უკვე ვეღარ აჩერებდნენ, უსუსური ჭკუის დარიგებაც გათაღლითებულ თორმეტი წლის მოზარდზე დიდად აღარ მოქმედებდა, კვლავაც მუდმივად კარში იყო, უზარმაზარი ეზო, რაც ყველა კუთხით მრავალსართულიანი სახლების აშენების შედეგად წარმოიშვა, თითქოს ეპატარავებოდა და მგელივით სულ ქუჩისკენ იცქირებოდა. წლები მის ცუდ თვისებებს კიდევ უფრო ამყარებდა და აძლიერებდა. თოთხმეტი წლისამ სიგარეტის წევაც დაიწყო, თან ისე მედიდურად აბოლებდა, აშკარად ჩანდა ამით თავი მოსწონდა.

ერთ დღეს მეგობარს წვრილკალიბრიანი ე.წ. გეკოს თოფი გამოართვა და ვერეს ხეობაში წავიდა სანადიროდ თოფის პატრონთან ერთად. მთელი დღე იარეს ცხოველის ან ფრინველის მოკვლის იმედით, ბოლოს გაუმართლათ, სადღაც წყნეთის ქვემო მიდამოებში ძერების გუნდს გადააწყდნენ, მტაცებელი ფრინველები ფიჭვის ხეზე დამსხდარიყვნენ. კატასავით ახლოს მიპარულმა ლუკამ ესროლა და კიდეც გაუმართლა. ფრინველს ტყვია პირდაპირ თავში მოხვდა, ქვასავით ჩამოვარდა, სხვები კი ჩხავილითა და ყრანტალით ბეთანიის მხარეს გაფრინდნენ.

ლუკამ და მისმა თანამზრახველებმა გელა ლვინიაშვილმა, ეზოში უფრო მეტად ღოროს ზედმეტი სახელით ცნობილმა, საღამოხანს სასაცილო სიამაყით მოათრიეს მოკლული ძერა ეზოში და თვალსაჩინო ადგილას ერთ-ერთი ავტოფარეხის ხარიხებზე ჩამოჰკიდეს. ეზოს ბავშვები, დიდიან-პატარიანად იმ ადგილს მიაწყდა, ყველა ცდილობდა ახლოდან ენახა და ხელიც მოეკიდა საშიში ფრინველისათვის.

სამსახურიდან დაბრუნებული გიგა მაჩაბელიც დაინტერესდა რატომ იყო ამდენი ახალგაზრდა შეკრებილი. რეინის ცხაურზე ჩამოკიდებული მოზრდილი ძერისა და იქვე ჩამომჯდარი ლუკას დანახვაზე, მიხვდა რაშიც იყო საქმე და შემაშფოთებელი სინაზულით გაიფიქრა: „აქამდე ტყელრეში გაფანტული მტაცებელი ფრინველები უკვე დასახლებულ ადგილებს შესევიან, აფხაზეთში არეულ-დარეული სიტუაციის მერე აქაც გამოჩენილან, რაც ცუდის ნიშანია და უსიამოვნო სიახლეებს მოასწავებს“. მერე უნდოდ მომზირალ ლუკას შეხედა და უხერხული სიტუაციის გაფანტვის მიზნით ჰკითხა — შენ მოკალი?

— მე მოკალი, აბა ესენი რისი მომკვლელები არიან, — ხელით ანიშნა ლუკამ მმაკაცებზე, — წყნეთის იქით ტყეში, ვიპოვე ამათი გუნდი, მივეპარე, ვრეპე და ერთი მოზრდილი ძერა ჩამოვაგდე, საფანტიანი თოფი რომ მქონოდა ბევრს დავბრიდავდი, ან ორლულიანი „ცენტრალკა“ მაინც რომ მქონოდა, რამდენიმეს უეჭველად ჩამოვთხლიშავდი.

— მსგავს საქმეებში მაგარი ხარ, — ირონიულად შეაქო გიგამ, თან გაიფიქრა: „ამ ეზოს ქურდ-ბაცაცისგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს კაციო“ და შინისკენ წავიდა.

მთელი ეზო მიდიოდა მოკლული ფრინველის სანახავად, ბავშვებიც და დიდებიც, ლუკა ყველას ეტრაბახებოდა როგორ მიეპარა ხეს, დაუმიზნა და მაღალი ხიდან მტაცებელი ფრინველი მსხალივით ჩამოაგდო. მეორე და მესამე დღესაც, როცა უბნის ცხრა მაღალსართულიან სახლში მცხოვრები ბავშვების ნაკადი არ წყდებოდა, ლუკამ თავისთვის ახალი სახეირო საქმე მოიგონა, მეზობლის გამოგდებულ ძველ აკვარიუმში მოათავსა შავ-ჭრელი ფერის ძერა, აკვარიუმს სანაგვიდან აღებული ასევე ძველი პლედი დაახურა და მოკლული ფრინველის დათვალიერების ფასი ორმოცდაათი კაპიკი დააწესა. უფროსებმა ეს რომ გაიგეს თავის გადაქნევით თქვეს მართლა რა ნაძირალა ვინმე იზრდებაო, ბავშვებმა კი არაფრად ჩააგდეს ლუკასთვის განკუთვნილი ეპითეტი, კვლავ თხოვდნენ მშობლებს ორმოცდაათ კაპიკს, თანხის გადახდის მერე კი რამდენიმე წუთის განმავლობაში ინტერესით ათვალიერებდნენ ძერას, ხელსაც ჰკიდებდნენ. შეგროვილი ფულით ლუკა, ღორო და ეზოს მეგობრები ანუ უსაქმურამრევების მთელი წრე: კობა შარვაძე, ზაზა ლვალაძე, კოკა ისიანი, დათო ფენდერავა და შაკო ქურდაძე ლუდს ყიდულობდნენ, სვამდნენ და უმიზეზოდ დაბორიალობდნენ ეზოში. მერე როცა ფრინველმა ცოტა არ იყოს სუნი აუშ-

ვა, მომსვლელთა ნაკადმაც უფულობის გამო მკვეთრად იქლო, ლუკამ და ბიჭებმა ვიღაცების რჩევით მოძებნეს ტაქსოდერმული ანუ ფრინველთა ფიტულების დამამზადებელი ლაბორატორია და საფიტულე მასალა ექვს მანეთად გაყიდეს, აღებული ფულით კი კვლავ ლუდის სმა გააჩაღეს.

უსაქმურად ყიალში სრულწლოვანებამიღწეულ ბიჭებს უკვე გაუჩნდათ და თანდათან გაუძლიერდათ ფულის შონის მოთხოვნილება. დიდი გაჭირვების გამო მშობლებს არავითარი საშუალება არ ქონდათ შეილების ზედმეტი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ, ფულის თხოვნაზე უარი ხშირად ყვირილითა და ჩხებით მთავრდებოდა, თხოვნა კი შეუსრულებელი რჩებოდა, ამიტომ ბიჭებმა გზების ძებნა დაიწყეს როგორ ეშოვნათ ფული. ეპიდემიასავით დაიწყო წვრილმანი ქურდობების სერია. რვასართულიან სახლს, სადაც ლუკა ცხოვრობდა, აგრეთვე მოზრდილ უბანში მდებარე სხვა მრავასართულიან სახლებს, ბუნებრივია, სარდაფებიც გააჩნდათ, რაც ფართო ასპარეზს უხსნიდა უსაქმურ ბიჭებუჭებს. სწორედ ამ სარდაფებს შეესიალუკა და მისი რაზმი, როგორც კალია ესევა სიმწიფეში შესულ ყანას. მეზობლები და უბნის მცხოვრებლები სარდაფებში იშვიათად ჩადიოდნენ, გამეფებული სიბნელის, გასასვლელებში უხვად დაყრილი ნაგვისა და შიშის გამო. ამით ისარგებლა ახალგაზრდების გუნდმა. ისინი შეაღამისას ხელის ფანრებით შეიარაღებულები აღებდნენ ან რკინის ლომებით ტეხდნენ მე-

ზობლების სარდაფის კარებს, შემდეგ ყველაფერი, თუნდაც მცირედ ღირებული, გაჰქონდათ, ერთ-ერთი თანამზრახხელის – შაკო ქურდამის ოჯახის დიდ ავტოფარებში ინაგავდნენ, მერე ყიდდნენ. ამ ბნელი შემოსავლების გამო ახალგაზრდობაში ღვინო-არაყის სმამ მკვეთრად მოიმატა. ქურდობის ამგვარ ფაქტებს ყველა იგებდა, თუმცა არეულ, უპატრონო ქვეყანაში მათვის არც ხელისუფლებას ეცალა, არც წესრიგის დამცველებს, ამიტომაც არავინ არ ჩიოდა, მხოლოდ ლაპარაკითა და „გაიგე, გაიგეს“ დამანჩტერესებელი შეძახილებით იყვნენ დაკავებულები.

ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ წვრილმანმა ქურდებმა ანუ მათი საერთო ეზოს სარდაფების გამსუფთავებლებმა ძალიან დიდი ხეირიც ნახეს, მეზობლები ჩუმად ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს და საიდუმლოებით სავსე ხმით ამტკიცებდნენ, რომ ამ ბიჭებმა, ან იქნებ ვიღაცის შეტყობინებით მოგზავნილმა ქურდებმა სპეციალური ხელსაწყოებით გატეხეს ყოფილი დიდი თანამდებობის პირის აპოლონ უბირიას სარდაფის რკინის კარი, გაჩერიკეს სარდაფი და რაც კი იპოვეს მთლიანად წაიღეს.

აპოლონ უბირია, როგორც ამბობდნენ, ბევრ უხვად „საქაფავ“ ადგილზე მუშაობდა. ასეთ თანამდებობებზე შეიძლება იმუშაო და პატიოსან ადამიან-ადაც დარჩე, მნიშვნელოვანი თანამდებობის პირის მიმართ თვალყურის დევნება გაასმაგებულია, ხელისგულზე დადებული ნივთივით უცქერენ მთელ საქმიანობას. თუმცა ადამიანური სისუსტე

ისაა, რომ დიდი ადგილი დიდ ცდუნებასაც იწვევს. დიდკაცებმა კარგად იციან, რომ ძალიან ძნელია მათი დაჭრა, ისინი პირიქით სხვებს იჭერენ ან ათვალისწუნებით სისიან და ცხოვრების გზებს შეუბრალებლად ურევენ, სხვების ბედი და ცხოვრება ფეხებზე ჰკიდიათ, შხოლოდ საკუთარს უფრთხილდებიან.

აპოლონ უბირია მოსყიდული ადამიანების ლაპარაკით პატიოსანი კაცი ჩანდა, ოღონდ ძალზე შორიდან, სინამდვილეში კი ქონების დიდად მოყვარული და მაგარი ამღები იყო. ორი განუყორელი მეგობარი ჰყავდა ანუ ორი ერთგული მონა. ისინი ყველგან თან დაჰყავდა, სადაც მუშაობდა — რაიკომის ძდივანი იყო, მინისტრი, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე თუ უმაღლესი ორგანოს განყოფილების უფროსი. საქო და სიქო, ზურგსუკან როგორც უწოდებდნენ მის დამქაშებს, დღედაღამ საკუთარი მფარველის ახლოს ტრიალებდნენ, საკუთარი გამორჩის მიზნით დიდი მონდომებით ასრულებდნენ შუამავლის როლს. მათთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ის ხუთი წელი, როცა აპოლონ შალგას-ძე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. ნოდარ ჯაჯანიძე და შოთა ხიდაშელი მაშინ ყველაზე საჭირო პირებად ითვლებოდნენ. მათი საშუალებით ხდებოდა თანამდებობაზე დანიშვნა, დაწინაურება, ბინის მიღება, მშენებლობის ნებართვის გაცემა თუ საჭირო ნაკვეთის გამოყოფა. მწითური, მსუქანი აპოლონის აღუვსებელი ჭულაბაც ივსებოდა და ივსებოდა, არასდროს

არ აკლდებოდა, მარიფათიანი პატრონი ფართო მომხვეჭველობით ფლანგავდა სახელმწიფო ქონებას.

უბირიას აღმასკომის თავმჯდომარების პერიოდი იმითაც კარგად დაამახსოვრდა ხალხს, რომ ორმოც წელს მიღწეულმა აპოლონმა გაუგონარი ან ძნელად გასაგები საქციელი ჩაიდინა, დასცილდა ცოლს, მიატოვა სამი შვილი და ახალი სიყვარულით ატაცებულმა ცოლად შეირთო ცნობილი ბოზი ანუ როგორც ქალაქში ამბობდნენ გავარდნილი ბოზი ან კიდევ უფრო მეტი შაყირით „რამკიანი“ ბოზი. ვინც ისიც კი არ იცოდა კარგად რომელი ქმრის-გან რომელი შვილი ჰყავდა ისე იყო გართული კაცებში. ასევე ხუმრობით აღნიშნავდნენ, რომ ტანკენარ ლიზის დღე და ღამე მოსვენება არ ჰქონდა, ნაცნობებით თუ უცნობები მწარედ ხუმრობდნენ — ცხრა მთავრობის გოთვერანმა ცხრა ქმრის ნაბოზარი შეირთო. ასე რამ გადარია აპოლონი ლიზი კოშაძეზე, არავინ იცოდა. ოცდაათ წელს მიღწეული კოხტაპრუწა ლიზი დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა, ისე კი მაღალ ქალს ვნებიანი ტანი და მოძელის დაყენებული სიარული ჰქონდა, კაცებს თვალს უყენებდა, ბევრი ცდილობდა მასთან ურთიერთობის დამყარებას, რასაც ფულითა და პატივისცემით აღწევდნენ კიდეც. ამიტომ უკვირდა ბევრს, ასეთ ურთიერთობას ხომ აპოლონიც თავისუფლად მიაღწევდა, ამ ათასჯერ ფეხებაწეული ქალის მოყვანა რად უნდოდაო. ლაპარაკის დროს თავადვე პასუხობდნენ: ეტყობა ძალიან ვნებიანია, კარგი ქერაობა ემარჯვება,

ამოკვრების ოსტატია და აპოლონიც სექსუალური მოთხოვნების მაღალი დონით დაკმაყოფილების კუთხით გამოიჭირაო.

აპოლონის ცხოვრებაზე ზშირად ჭორაობდნენ, ეს უჩვეულო ცნობისმოყვარეობაც ბუნებრივად მიაჩნდათ, ამხელა დონის საჯარო პიროვნების ცხოვრება ბევრისთვის იყო საინტერესო.

მთელ ეზოსა და უბანს ძალიან გაუკვირდა, როცა ამგვარი ცნობილი დიდი კაცისა და იატაკებებშა მიღიონერის სარდაფი გატეხეს, პირწმინდად გაასუფთავეს. უამრავი სარდაფი გატყდა მათ უბანში, თუმცა სარდაფი სარდაფს გააჩნდა. მეზობლებს კარგად ახსოვდათ, როცა მკვიდრად ნაგები შენობა დასრულდა, სადაც ერთი საპარადო მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირების მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად იყო გამიზნული, ბატონი აპოლონი მანქანების კორტეჟითა და თავისი გუნდის თანხლებით მობრძანდა, პირდაპირ სასარდაფო ნაწილში ჩაბრძანდა და საკუთარი მარჯვენის შემოტარებით შესასვლელ კართან ახლოს, სხვა მცხოვრებთა პატარ-პატარა სარდაფებზე თითქმის ათჯერ მეტი ადგილი შემოაფარგვლინა. ყველა სარდაფი თხელი კედლებით იყო აშენებული, უბირიას სარდაფის კედლები კი ტუფის ორმაგი ბლოკით ამოაშენეს. სარდაფის კარი ნამდვილი საოცრება იყო: ფოლადისფერი სქელი რკინის კარი რაღაც საოცარი გასაღებებით იკეტებოდა, ორმაგი-სამმაგი დაკეტვის შემდეგ მეოთხე გასაღების გადატრიალებით ხუთი რკინის მსხვილი ურდეული გამო-

დიოდა და შიგნიდან ისე ამაგრებდა კარის, ტანკიც ვერ შეანგრევდა. მეზობლები თავისთვის ქირქილებდნენ – „ეს შობელძალლი უბირია ნაღდად ბუნებრს იმზადებს, რომ გაქცევის შემთხვევაში დაიმალოს, აბა რისთვის უნდა ამ სისქე კარი და კედლები, ჩამოვა, თავის ბოზანდარა ლიზისაც ჩამოიყვანს და ხელს ვეღარავინ შეუშლის. ახლა თუ ლიზიკო ჯერ კიდევ ახერხებს გვერდზე წაქრავებას, მერე მორჩა, ცხრაკლიტულში ეყოლება ჩაკეტილი და მის გამობზეკილ ტრაკს ვეღარავინ შეეხება“.

ხალხი ხუმრობდა, სასაცილოს ეძებდა სქელ კედლებში, თავად აპოლონი კი, როგორც ჩანს, სულ სხვანაირად ფიქრობდა, უკუღმართი გზებით ნაშოვნი დიდაღი ქონების ნაწილის სწორედ ამ ბუნერში გადამალვას აპირებდა. და მოხდა მოულოდნელი საოცრება, ციხის საკანივით დაცული მყარი სარდაფი გატყდა, პოლიცია კი არსად ჩანდა. ფაქტი ერთი იყო აპოლონი ჩივილს ვერც გაბედავდა, ვერ იტყოდა რა იმალებოდა თუ ინახებოდა სარდაფში, ამიტომაც მხოლოდ უბნის ინსპექტორი გამოჩნდა, სარდაფი გარედან დაათვალიერა, – „მე რა უნდა ვქნა, არავინ არ ჩივის განცხადება არ შემოსულა, ეტყობა არაფერი წაუღიათ, თორებ ასეთ დროს საჩივრებით გაიგსებოდა ჩვენი სამმართველოც და სამინისტროც“. თუმცა საიდუმლო ბოლომდის და მუდმივად არსად იმალება. ამბობდნენ ლიზი კოშაძეს თავის უახლოეს და უარეს ბოზანდარა მეგობარ ლიკა ბზიავასთან წაუჭორავებია, ოღონდ

ერთი პირობით — არავისთვის არაფერი ეთქვა. რა საიდუმლოს შემნახავი იყო ბოზი ლიკა, მან თავის მხრივ მსუბუქი ყოფაქცევის დაქალებს ჩაუჩურჩულა და ნელნელა ქალაქში ხმაც დაირხა ათ მილიონზე მეტი, აგრეთვე კილოობით ოქროული წაუღიათ, აპოლონი კი ვერც ჩივის, შეკითხვების ეშნია საიდან ამხელა თანხებით, ისევე სხვადასხვა ადგილებში, სოფლად თუ წყნეთის აგარაქზე ჩაფლულ-გადამალულ ქონებას უფრთხილდება და მართლაც სჯობია გაუფრთხილდესო.

მეზობლების გუნდი, სადაც შედიოდა ცნობილი ჟურნალისტიც, მწერალიც, პროკურორიც, ბიზნესმენიც და მოსამართლეც შაბათ-კვირის შეხვედრებისას ამ საკითხზე მსჯელობას დაუღალავად აგრძელებდა.

„ — არა, ერთი რამე ფაქტია, ჩვენი უბნის წვრილმანი ქურდაცაცები ასეთი დაჯავშნული სარდაფის გატეხვას ვერ შეძლებდნენ, აქ სხვა ძალები არიან ჩართულები, თუ ფოლადის სეიფების გაღების ოსტატი არ ყავდათ, ასეთ საქმეზე წასვლას ვერ გაბედავდნენ, უბრალოდ ვერ შეძლებდნენ, ხომ არ აფეთქებდნენ, ან გვირაბს ხომ არ გაიყვანდნენ“.

ასეთი მსჯელობებისა და ვარაუდების კორიანტელს ცოტა ხნის მერე სხვა თემაც შეერია, ესეც მართალი იყო თუ არა, არავინ იცოდა, ყველა წარმოჭრილ აზრს კი არსებობის რაღაც უფლება მაინც ჰქონდა. ბატონი აპოლონის ბინიდან ორმოცდაათი მეტრის დაცილებით მდებარე ათსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ცნობილი

ინტელიგენტური ოჯახი ცხოვრობდა, მეულლები მეცნიერებათა დოქტორები, ქმარი გოგი შერვაშიძე ბავშვების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცოლი ნანა წულუკიძე უცხო ენების პედაგოგი, ორი მოსწავლე შვილი ჰყავდათ, ვაჟი და გოგონა. პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტის შენობა ქალაქის ცენტრში იდგა, ეს იყო ბრწყინვალე ნაგები შენობა, უკვე ისტორიის საკუთრებად ქცეული ძველი ნაგებობა, ფართო აივნებით, ფართო ფანჯრებით, წიფლებითა და ჭადრებით სავსე მოზრდილი ეზოთი. ინსტიტუტში საკმაოდ ბევრი ხალხი მუშაობდა, თანამშრომლებს უყვარდათ მთელ საქართველოში ცნობილი საკუთარი დაწესებულება, სადაც მომავალი თაობის ფსიქოლოგის, ქცევების აქტუალურ პრობლემებსაც იკვლევდნენ და მსოფლიოს ბევრ ქვეყნასთან ინფორმაციებსაც ცვლიდნენ. ეს ორიგინალური შენობა ძალიან მოეწონა ქალაქის საქვევო წარმომავლობის დედოფლის დის ქმარს ბიზნესმენ შალიკო ბუილლიშვილს. გამოცდილმა ლიზიმ პროფესიონალური მიცემების დროს ქმარს გადაჭრით თხოვა საქმის მოგავრება. მერე საქმოსანმა შალიკომ ქვისლს ხეირისა და მოგების ისეთი წარმტაცი სურათი დაუხატა, იმდენ სიკეთეს შეპირდა, რომ ქონების დაუსრულებლად შეძნის მოყვარული თავმჯდომარის ზედმიწევნით დაინტრესება გამოიწვია, თანაც სამსართულიანი სახლის ერთი წენარი ფლიგელი აპოლონის საკუთრებაში დარჩებოდა, რაც მომავალში ახ-

ალი სარფიანი საქმეების წამოსაწყებად იქნებოდა საჭირო. ვიწრო წრეში მოთათბირების შემდეგ გადაწყდა ხელში ჩასაგდებად გამიზნული შენობისათვის „საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების ცენტრი“ ეწოდებინათ, სჯეროდათ ასეთი აქტუალური სახელი ყველას გააჩიმებდა, ჩაფიქრებულის სისწორეში დაარწმუნებდა. შემდეგ თავისი მოსაზრებები აპოლონმა რამდენიმე მინისტრსა და საქმისანსაც გააცნო, რომელთაც ურთიერთობების განმტკიცებაში მონაწილეობა და ყოველნარი დახმარებაც აღუთქვეს.

მალე დადგა ფართო შეტევის დაწყების დრო. საკუთარ ძლიერებაში ღრმად დარწმუნებული პატივმოყვარე თავმჯდომარე ერთდროულად გამოვიდა ტელევიზით, რადიომაუწყებლობის რამდენიმე არხით და ჩვეულებრივ ზეწეულ ტონში გამოკვეთილი პათოსით განაცხადა: „ცხოვრება წინ მიდის და ჩვენს წინაშე ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებს. დღევანდელ ეტაპზე ჩვენი პრიორიტეტია, ხაზს ვუსვამ პრიორიტეტია, უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცება, რისთვისაც იქნება „საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების ცენტრი“. ამ ყველასათვის უდავოდ ახალი დიდმიშვნელოვანი დაწესებულებისთვის უკვე შენობაც გამოვქვებნეთ. ეს გახლავთ პედაგოგიურ-ფიქოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტის შენობა.

— კი მაგრამ ეს ცნობილი ონსტიტუტი სად მიდის? — გაოცებული წმით

წამოსცდა დირექტორს.

— ონსტიტუტს ახალ შენობას შეურჩევთ, რა საჭიროა პედაგოგიურ-ფიქოლოგიური კვლევები მაინც და მაინც ქალაქის ცენტრში ტარდებოდეს, თქვენი აზრით სხვა ადგილას ვერ ჩატარდება?

— ეს ხომ უძველესი და ძალზე მნიშვნელოვანი დაწესებულებაა, აქ ხშირად ბავშვებიც დაჰყავთ, ცდებიც ტარდება, სწავლებაც მიმდინარეობს, როგორც ვიცით ბევრი სასარგებლო საქმე კეთდება, — კვლავ შეეპასუხა წამყვანი.

— თქვენ როგორ გვინიათ, ბავშვების სადგურის ან მეტროს გვერდით მდებარე შენობაში მისვლა თუ მიყვანა ნაკლებ კომფორტული იქნება მათვის.

— არა, ალბათ არა, თუ სრულფასოვანი შენობა მიეცემათ.

— ამაზე უკვე გმუშაობთ, ისე მსმენელები და მაყურებლები მინდა დავარწმუნო, რომ ახალი უწყება გაცილებით დიდმიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ვიდრე ნებისმიერი პედაგოგიური კვლევა და ბავშვების მოძველებული, გნებავთ უსარგებლო სტერეოტიპი პიებით აღზრდა“.

ამით დამთავრდა ძლიერი მოსილი აპოლონის გამოსვლა, ვინც მენტორული ტონით უხვად დააფრქვია საეჭვო აზრები, თან ისეთი სერიოზული იყო, ერთხელ ოდნავი ღიმილიც არ დამჩნევია.

ლიზი კმაყოფილი სახით აღტაცებული შესვდა ქმარს, დიდხანს კოცნიდა და უაღერსებოდა.

— რა ბრწყინვალედ ილაპარაკე, რა

ლოგიკურად დაასაბუთე ყველაფერი, მორჩა, დამთავრდა, ეს დიდი საქმეც გაკეთდა, მართლა გენიოსი ხარ, შენ ათი თავით ყველაზე მაღლა დგახარ.

ამ ქებისა და თავბრუდამსვევი კოცნების დროს, ოჯახის პირობებში ნახევრად შიშველი ვნებიანი მეუღლე ისეთი გრძნობით უთათუნებდა ხელს აპოლონს მარვლის უბეში, ისეთი სითბოთი უსრუსდა ერთ ადგილს, რომ ზეაწეულ გუნებაზე მყოფმა სქელტრაკა თავმჯდომარემ იქვე მდგარ ტყავის ფართო სავარძელზე გადააწვინა ლიზი და გრძელი ფეხები ჭერისკენ აწევინა, რაზეც კარგად გამოცდილი მოძრაობებით სავსე ახალგაზრდა ქალი უარს არასდროს ამბობდა, პირიქით ასეთ ურთიერთობებს სექსის მოყვარულის წნოსვით დაეძებდა კიდეც.

მალე შალიკო ბუილლიშვილი და მისი ცოლი, უმცროს დაზე გაცილებით გამოცდილი ბოზი, წლების მანძილზე სასტუმროების ნომრებში ნათრევი, ორალური სექსის ოსტატი მალვინა კოშაძეც მოცვივდნენ, პირდაპირ ზეცაში აიყვანეს აპოლონი, აქეს, ადიდეს, მიელაქუცნენ და გამარჯვების აღსანიშნავად უძვირფასესი ფრანგული კონიაკების სმა გააჩადეს.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლა ყუმბარასავით გავარდა ქალაქმი, მაგრამ ბატონი აპოლონისა და მისი ტურფა მეორე ნახევრის ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა, ქვეყნის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური პგლევითი ინსტიტუტის დიდი კოლექტივი ერთი კაცივით დადგა ფეხზე, მათ მხარი დაუჭირეს, სხვა ინსტიტუტების წარ-

მომადგენლებმაც, მშობლებმაც, ბავშვებმაც, უერნალისტებმაც, თოთქმის ყველაში. რამდენიმე დღეში უფალი თავმჯდომარე უამრავ მხლებელთან ერთად გამარჯვებულის მედიცინ-ქედაბლური გამომეტყველებით მივიდა ხალხთან სალაპარაკოდ, რომ საბოლოოდ ეთქვა მიღებული გადაწყვეტილებისა და ახალ შენობაში გადასვლის ვითომდა უკვე მოგვარებული საკითხის შესახებ. სანამ თავმჯდომარე ინსტიტუტის დირექტორს ელაპარაკებოდა და მის გადაბირებას ლამობდა, თანამშრომლებმა სასწავლოდ გადარეკეს ათობით მისამართზე, ნახევარი საათიც არ იყო გასული უამრავი ხალხი შეიკრიბა, ტელევიზიაც ოპერატიულად მოვიდა. მალე ინსტიტუტის ორასორომოცდაათადგილიანი სააქტო დარბაზი ისე გაიჭედა ნემსიც ვერ ჩავარდებოდა. ბატონი აპოლონის გამოსვლამ და მტკიცებამ, ახალი ორგანიზაცია საქართველოს წინსვლას სჭირდებაო, ვერავითარი ზემოქმედება ვერ მოახდინა, შეკრებილ საზოგადოებაში მალე იფეთქა პროტესტის გრძნობამ, უკნასკნელი სიტყვებით ლანბლეს და აგინეს საქალაქო მასშტაბის ქედმაღალი ხელმძღვანელი, ზემო ინსტანციებში ჩივილს შეპირდნენ, ასობით კაცის მიერ ხელმოწერილი განცხადების ტექსტიც წაიკითხეს. უმძიმესი სიტუაცია საბოლოოდ გატეხა ყველასათვის ცნობილი ადამიანის, ოთხომოცი წლის პროფესორის ანეტა კვირიკაძის გამოსვლამ, მან პირდაპირ მიმართა ნირწამხდარ და წითელ ლოფებზე სითეთრეშეპარულ აპოლონს:

„ ... თქვენი გუნდის არა ერთი და ორი სახელგატენილი წარმომადგენლის მსგავსად უკიდურესად ცუდად, არაადამიანურად იქცევით. ჩვენამდე მოაღწია დამაჯერებულმა ხმამ, რომ ჩვენი შენობაც, ეზოც, მოწყობილობაც თქვენი და თქვენი წრის გაზრდილი მადის დასაკმაყოფილებლად გინდათ, ცოლის დაკრულზე ცეკვავთ, ორას ადამიანს სრულიად აუღელვებლად ყრით ქუჩაში. აյ ჩატარებული ყველა კვლევითი სამუშაო თუ მიღებული დასკვნები ყოველთვის ემსახურებოდა უპირველეს საქმეს – მომავალი თაობის აღზრდას, თქვენ კი ეს არაფრად მიგაჩნიათ, თქვენთვის მთავარია ვაჭრობა, მოგება, საეჭვო ურთიერთობები, ადამიანების ცხოვრებას კი უხეშად თელავთ უწმინდური ფეხებით, ან როგორი ბოროტი ცინიზმით ესაუბრებით ჩვენს დირქტორს, პატივცემულ, დამსახურებულ ადამიანს, ვინც ოცდაათი წლის მანძილზე ათას ქარტენილში გამოატარა მთელი კოლექტივი, ქართველ ხალხს შეუნახა საკუთარი ქონება, ასობით ადამიანი გაჭირვებას გადაარჩინა. თქვენ კი მას ვერ იტანთ, რადგან მონად არ დაგიდგათ, ხელი არ შეგიწყოთ, თქვენი მადა სწრაფად არ დააკმაყოფილა. სამწუხაროა ყველაფერი ეს, კიდევ უფრო სამწუხაროა უმაღლურობა, წარსულის გადავიწყება, გაზუღუქება, გათავხედება. ისიც კი აღარ გახსოვთ, რომ ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ფსიქოლოგიურ პროგრამაში სხვა ბავშვებთან ერთად თქვენც მონაწილეობდით მთელი წლის მანძილზე. აი, მე მომაწოდეს იმ პერიოდის ფოტოსუ-

რათები, სადაც თქვენც ხართ წარმოდგენილი ცხრა-ათი წლის ასაკში, იქნება ამ სურათებმა მაინც გააღვიძოს თქვენში მიძინებული სინდისი და ხალხს ისე მოექცეთ, როგორც ჩვენ ქვეყანას, თქვენი ნაქები დემოკრატიის პრინციპებს თუ ადამიანობის წოდებას შეეფრება“.

პროფესორმა მოტანილი გამრავლებული სურათები შინაგანად გაბრაზებული, მაგრამ მაინც თავსედურად მდგარ აპოლონს გადააწოდა, სურათები შეკრებილებმა ინტერესით დაათვალიერეს, ზოგს სიცილიც აუტყდა, სურათებში ჩანდა პატარა მოწითალოთმებიანი ზედმეტად მსუქანი ბიჭი. დაბნეული, შეურაცხყოფილი აპოლონი სცენაზე მოკალათებულ ერთგულ თანამშრომლებთან ერთად გვერდითა კარიდან გავიდა, არავის აღარ დალაპარაკებია, შავ, დაბურულმინებიან ჯიპში შევარდა, კარი მაგრად მიიჯახუნა და მანქანაც გაქანდა, მორჩილი თანამშრომლები უკან მიპყვნენ.

დამარცხება, ხალხის მიერ თავზე ლაფის დასხმა გოროზმა აპოლონ უბირიამ თავმოყვარების შელახვად მიიღო, ცოლთანაც შერცხვა, ცოლის დასთანაც. შალიკო ბუიღლიშვილი სასტიკად იყო გაოცებული როგორ გაუბედეს მის ყოვლისშემძლე, თავხედობით ცნობილ მოყვარეს უარის თქმა, ამიტომაც შეეცადა ძვირფას რესტორნებში, სტრიპტიზბარებში, ახალახალ ბოზებში მიპატიჟებით მიყენებული სიბრაზე შეერბილებინა თავისავე მფარველისათვის. აპოლონმა წყენაღრმად ჩაიხვია გულში, ოღონდ ხმა არ

ამოულია, შესაფერის მომენტს დაუწყო ლოდინი, გარკვეული დროის მანძილზე წაყრუების შემდეგ ახალი მზაკვრული დარტყმისთვის მოემზადა. პედაგოგიურ-ფიქტოლოგიური ინსტიტუტი ზემდგომ ინსტანციაში ჩაწყობით საერთოდ გამოიყანა მეცნიერების სისტემიდან და ქალაქის საბჭოს დაუქვემდებარა, სტატუსი შეუცვალა, სახელი გადაუკეთა, ინსტიტუტში საკუთარი მოსყიდული ჯაშუშების საშუალებით ხმები დაყარა, რომ სულ მაღე თანამშრომლებს ყოველთვიური ხელფასი ორმოცდაათი პროცენტით გაეზრდებოდათ, ყოველკვარტალური პრემიალური სისტემით საგრძნობ დამატებას მიიღებდნენ, ამავე დროს არაყითარი შტატების შემცირება არ მოხდებოდა. ამ ფანდით ერთ დროს სასტიკად აბუნტებული თანამშრომლები ჩააწერარა, რამდენიმე მყვირალა სულმდაბლის მოსყიდვა შეძლო. ამის შემდეგ ისე, რომ თავად არც იკადრა ხელმძღვანელობასთან შეხვედრა, დამსახურებული ადამიანისთვის შესაფერისი თანამდებობის შეთავაზება, რითიც მას ოჯახი, მოსწავლე შეიღები უნდა ერჩინა, თავის ერთ-ერთ დებილობით ცნობილ თანამშრომელს, აზრს რომ ვერასოდეს უყრიდა თავს და სასაცილოდ ლაპარაკობდა, მოაწვევინა დირექტორი და სულელური მოტივების მოშვერიებით, სხვაგან მოწყობის ყალბი სამომავლო დაპირებით დაკავებული თანამდებობიდან გაუშვა. დირექტორი გოგი შერვაშიძე, ამაყი, მცოდნე და პატიოსანი ადამიანი კარგად მიზვდა ვინც და რატომაც გამოუცხადა ბრძოლა, ღირსეულად წამოვიდა, არც

ჩივილი დაუწყია, არც მითქმა-მოთქმა, წამოვიდა და შემდეგ მისი ბედით თავზე-დი აპოლონი აღარც დაინტერესებულა, ცხოვრების არეულ-დარეულობის გამო იგი უკვე სხვა გამოუსხინელ ხლართებში იყო გაბმული.

ამ უსიამოვნო ისტორიის შესახებ ახლო მეზობლების ვიწრო წრე მსჯელობდა, მათგან ზოგიერთი მართლა გულით განიცდიდა, რომ კეთილი, სასარგებლო საქმის მკეთებელი ადამიანი გაპირუტყვებულმა აპოლონმა საყვარელ საქმეს ჩამოაშორა, ცხოვრება აურია, შუა ხნის ასაკს მიახლოებული კაცი უმუშევრად დატოვა, უსამართლო ქვეყანაში კი რაიმე ახალ საქმეს შეჭიდება შეუძლებელ, თითქმის უიმედო საქმეს წარმოადგენდა. მეზობლები იმსაც ლაპარაკობდნენ, რომ იმავე სადარბაზოში მცხოვრები მეზობელი ბათუ კვიციანი ასევე გამწარებული ჰყავდა თავზეხელაღებულ აპოლონს, ვინც ცოტა ხნის წინ საკუთარი ამფსონის სარფიან საქმეზე მოწყობის მიზნით კვიციანს თანამდებობა დაატოვებინა. ის ამ დროს საქალაქო ტრანსპორტის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. რაღაც საქმის უნამუსო შეთითხვით ვაჟუკაცი კაცი თანამდებობიდან მოხსნა. კვიციანს ძალიან ვიწრო წრეში ეთქვა „კაცი არ მერქვას ამ ქვეყანაზე და მაგისი ნაბოზარი ცოლის ცხელი ტრუსები დამეხუროს თავზე თუ ეს უნამუსო თახსირი აპოლონი არ გავამწარო“. კარგ პიროვნებად ცნობილ ბათუ კვიციანს აღალი ბიძაშვილი ჰყავდა ძალიან ცნობილი კანონიერი ქურდი. იგი ათი წელი იჯდა

რუსთავის კოლონიაში, სადაც სასჯელად სრულების ყველა დაწესებულებას ფაქტორად ერთპიროვნულად ხელმძღვანელობდა, ქურდული სალაროც მის განკარგულებაში იყო. მან თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ იმდენი ფული გამოიტანა, კიევში სასახლე იყიდა, ხან საქართველოში ცხოვრობდა, ხან უკრაინაში, ხან საზღვარგარეთ. ერთი მეზობელი ამტკიცებდა ბათუმ საკუთარ ბიძაშვილს თხოვა გამოცდილი ბიჭების სთვის დაევალებინა აპოლონის გამწარება, უკანონოდ შეძენილი ქონების წართმევა. სწორედ ძალიან მაგარმა, ზედმიწევნით გამოცდილმა ქურდებმა გატეხეს სარდაფის დაჯავაბნული კარები. „კუტუსმოფერული ლიზი რომ ქურჩულება დაქალებს ათი მილიონი წაიღესო, სინამდვილეში ოქროსა და ბრილიანტების ჩათვლით ოც მილიონზე მეტია წაღებული. სარდაფის იატაკიც კი გაუთხრიათ. სწორედ იქიდან ამოიღეს შეშის ქილებსა და პატარ-პატარა რკინის სეიფებში ჩალაგებული დოლარები და ოქრო-ვერცხლი. ეს არაკაცი აპოლონი ისეა გაჭედილი ხმასაც ვერ იღებს, სად უნდა იჩივლოს ან რა უნდა იჩივლოს ჩემს მიერ მოპარული ქონება მომპარესო? ეგ კი არა, ამ გარეწარმა უნდა ილოცოს მის სხვა სამალავებსაც არ მიაგნონ და უფრო არ გაასუფთაონ, ყოველ წამს ჩურჩულებდნენ მეზობლები. ამ საუბრიდან ერთი კვირის შემდეგ მართლაც მოხდა სასწაული და აპოლონის წყნეთის აგარაკიც გატეხეს, წინასწარ ძალები მოწამლეს, სიგნალიზაცია გათიშეს და როგორც

ამბობდნენ კვლავაც მილიონები წაიღეს. მაშინ კი დარწმუნდა მსჯელობით გართული მეზობლების წრე, რომ აპოლონ უბირიას საქმეში მართლაც უძლიერესი ქურდები იყვნენ ჩართულები.

ქალაქში ყველა ამ საოცარ გაქურდვებზე ლაპარაკობდა, აპოლონის სიჩუმეც საეჭვოდ მიაჩნდათ. მეზობლები ისევ მსჯელობდნენ: „თუმცა რა უნდა ქნას, რომ განაცხადოს შეიძლება პირიქით დაიჭირონ ამზელა ქონება საიდან და როგორ დააგროვეო, ქურდებსაც ვერ მიმართავს დასახმარებლად, ანუ საქმის გასარჩევად, აქ იმხელა ქურდები ჩანან ჩართულები, არავინ ახლოსაც არ გაიკარებს. „ასე აქლემის მსუქანი კოზაკივით გაიჭყლიტა შუაში ადამიანების მოძულე პირი. ქალაქს მოდებულმა ხმებმა სხვადასხვა არხებით ხელმძღვანელობამდისაც მიაღწია, ლიზის თავაწყვეტილმა ბოზურმა ცხოვრებამაც დიდი როლი ითამაშა გაუთავებელ მითქმა-მოთქმაში, ლაპარაკობდნენ ამ არაკაცმა ვის რა მაგალითი უნდა მისცესო, ამას დაერთო აღმასკომში მსხვილი კორუფციული გარიგებებისათვის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის დაჭერა და პატარა მეფედ აღიარებული სქელ-სქელი ფეოდალი უბირია სასწარაფოდ სხვაგან გადაიყვანეს, მერე კიდევ სხვაგან, რასაც მიწაზე დანარცხებაც მოჰყვა, რაც ოცპაციან უმნიშვნელო რედაქციაში მის მოაღვილედ დანიშვნაში გამოიხატა. ბუნებრივია ამ მოულოდნელ გადაყვანა-გადმოყვანაში ნანატრი შენობის უკვე მოკვარახჭინებული საქმეც ჩაიფუშა.

მალე აპოლონის ცოლის დის ძვირფასი მეუღლე შალიკო ბუილიშვილი დააპატიმრეს, გამოუსწორებელი ბოზისა და სინდისგარეცხილი ადამიანის სახელის მქონე ლიზი კოშაბე კი ჰოლანდიაში მცხოვრებ ქართველ წმინდა წყლის აფერისტ ბიზნესმენს გაჰყვა, ისე რომ არავისთვის სიტყვაც არ უთქვაშს. თავლაფდასხმული ყოფილი დიდი კაცი მოსამსახურის ამარა დარჩა შვიდოთახიან ბინაში, მეზობლები კვლავაც ჩურჩულებდნენ: „გაჭირვების ან მოწყენის უბირიას არაფერი ეტყობა, გადამალული მაგას სხვაგანაც უამრავი ექნება, როგორც ამბობდნენ, მართლა მიღიარდერი ყოფილა, თანაც იმდენი ადამიანი ჰყავს გაუბედურებული, რაც მოუვიდა ყველაფერი დამსახურებულად მიეზღო, კიდე იოლად გადარჩა“.

დროის გავლის შემდეგ დაქვეითებულ დიდ თანამდებობის პირს მთელი დღეების მანძილზე ეჩვენებოდა, რომ ისევ აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა. ყოველდღე საკუთარი ფეხით, თან გასუქებულ-მოვლილ-გაპრიალებული წაბლისფერი საუცხოო ჯიშის ლაბრადორის თანხლებით მიბრძანდებოდა და თანხის დაუზოგავად ყიდულობდა ყველა გაზეთს, გინდ ოპოზიციის ყოფილიყო გინდ პოზიციის, სპორტული თუ სექსუალური მიმართულების გაზეთებსაც კი, ასევე ახალ შურნალებსაც იმარაგებდა. სახლში მოსამსახურე ქალი და ლტოლვილი მზარეული ცალკე გაშლილი მდიდრული სუფრით ელოდებოდნენ ქალაქის ყოფილ მეფეს. ნოყიერი საუზმის მერე

აპოლონი ჯდებოდა კარებმიხურულ, ფანჯრებდაკეტილ, ფარდებჩამოშვებულ ვრცელ კაბინეტში და კითხულობდა. ადრე, მუშაობის დროს, ყველა დასახელების უურნალ-გაზეთი ქართულ-რუსულ ენებზე უფასოდ მიერთმეოდა, თან სამსახურის დაწყებამდე, დილაადრიან, რათა სამსახურში მიბრძანებულ ბოსს ყველა ახალი ამბავი შეუფერხებლად გაუცნო, ისიც შესვენებამდე თავდაღუნული კითხულობდა, ავადმყოფობასავით ჰქონდა აკვიატებული საკუთარი თვალით ენახა მასზე ხომ არაფერი ეწერა. შეგავს ფაქტებს მეტისმეტად ავადმყოფურად განიცდიდა, ქება-დიდების წერა თავისუფლად შეიძლებოდა, რაიმე სახის კრიტიკა კი დიდებულ პერსონას არ უნდა გაკარებოდა, თუმცა მისი დროინდელი გაუგებარი გზით მიმავალ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირის შესახებ რაიმე ცუდის დაწერას შურისძიების შიშით რომელი თავზეხელაღებული კორესპონდენტი გაბედავდა. აპოლონი კითხულობდა, საჭირო ადგილებს ხაზავდა, ზოგჯერ ცალკე ბლოკნოტში იწერდა კიდეც, მომსვლელებსა და მთხოველებს კი პირადი მდივანი დაზეპირებულივით პასუხობდა: „არ ცალია, სასწრაფო მოხსენებას წერს, ამ დღეებშიც ვერ მოიცლის, ერთი კვირის მერე გამოიარეთო“. ასე ყოველდღიურად უურნალ-გაზეთების კითხვა ჩვეულებად ექცა აპოლონ უბირიას, თორუმ მის ხელში წიგნი რომ დაენახათ, ისეთი კაცი არ არსებოდა. გაზეთი მაინც სხვა იყო, განსაკუთრებით გაზეთი, ძალზე ეშინოდა პრესის ოპერატი-

ული ხასიათის გათვალისწინებით პირადად მისი თუ სახელგატეხილი ცოლის ამბები ქვეყანას არ მოსდებოდა, ჭორაობაზე მაინცდამაინც თავს არ იკლავდა, თუმცა შინაგანი შეში, რომ მასზე ცუდი რამე არ დაწერილიყო, დღედაღმ ახსოვდა და ამ პრობლემისადმი ავადმყოფური ეჭვიანობა ახასიათებდა.

როგორც ვთქვით, მაგრად ჩამოქვეთებულს, დაგროვილი ქონების მიერთ დიდად თავი არ შეუწუხებია, ხელმძღვანელი კაცი საკუთარი თავის დამდაბლებად მიიჩნევდა თუ ვინმეს ხელქვეითად იმუშავებდა, ან ასეთი რამ როგორ შეეძლო, როცა მრავალი წელი სულ სხვებს ხელმძღვანელობდა და ხალხი მისთვის სამსახურის გასაწევად დაბადებულად მიაჩნდა, ან რატომ უნდა ემუშავა, რატომ უნდა შეეწუხებინა მცირე ანაზღაურებისთვის თავი, როცა იმდენი ჰქონდა მოპარული, მას კი არა შვილიშვილებსაც თავისუფლად ეყოფოდა. აპოლონ უბირია ძირითადად წვრილ-წვრილი თავის გამოჩენით იყო გართული, ცდილობდა საზოგადოებას არ გამოთიშოდა, მისი გვარ-სახელი ყველგან წინ წამოეწია. როგორც კი ამ ცოდვილ ქვეყანას რომელიმე ცნობილი პირი დატოვებდა, იმ დღესვე, ან მეორე დღეს მაინც გაზეთებში ქვეყნდებოდა სამგლოვიარო განცხადებები, სადაც დასაწყისშივე თვალსაჩინო ადგილას აპოლონ უბირია და მისი თანამებრძოლები იუწყებოდნენ კიდევ ერთი დიდი ქართველის, კიდევ ერთი არაჩვეულებრივი პიროვნების დაკარგვას. განცხადებების მხარდამხარ პა-

ნაშვიდის დროს აპოლონ უბირია მასვით ყოფილ-ყოფილი თანამოაზრებით ყველაზე გამოსაჩენ ადგილას იდგა და უამრავ ნაცნობს ხელს ართმევდა. საწყალ უდროოდ გარდასულს სამარის კარამდე მიაცილებდნენ და ქელებში კვლავაც თვალსაჩინო ადგილს იკავებდნენ. ამ უცნაური სულისკვეთებით შეკრულ წრეში ერთი გამორჩეული პირიც ჰყავდათ, ასევე არა ერთი და ორი დიდი პოსტის დაუმსახურებლად მფლობელი ანდრო საგანელიძე, დაუმსახურებელი იმიტომ, რომ ანდრო თითქმის არცერთ პოსტზე არ გამოდგა, თუმცა თავისი მოჩვენებითი განათლებულობისა და ყალბი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ერთი თვალსაჩინო ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ. ახლა უკვე რომელიდაც ყველანაირი საჭორაო პროფილის გაზეთში განყოფილების გამგის უმნიშვნელო ადგილს შეფარებული ანდრო საგანელიძე უკვე თავის ნამდვილ სახეს აჩენდა, ის იყო მუქთი პურმარილისა და თამადობით თავის გამოჩენის დიდად მოსიყვარულე ადამიანი. იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ ხშირად თამადობაში გარკვეულ თანხას უხდიდნენ და ისიც ენად იყო გაკრევილი, შაქარივით დამტკარი ყალბი ლაპარაკით დაბალი ინტელექტის ხალხს ხიბლავდა, სწორედ ისინი ფიქრობდნენ, რომ მასზე უკეთესი თამადა მნელად თუ მოიძებნებოდა. ამ დროს ვინც კარგად იცნობდა საგანელიძეს, ძირითადად სასაკლაოს ანუ „ბოინის“ ძალლად და სამზარეულოს შეჩვეულ ვირთხად მოიხსენიებდა. გიგა მაჩაბელსა და ბევრ

სხვასაც უკვირდათ როგორ იყო აპოლონი და მისი გუნდი ყველა ცნობილი გარდაცვლილის მეგობარი, ხან ასკვნიდნენ, ალბათ, დიდ ადგილებზე მუშაობისას გაიცნეს ამდენი ხალხი, ხან ამბობდნენ თბილისი მაინც პატარა ქალაქია, აქ თუ სისტემატურად გარე-გარე ივლი ყველა გაგიცნობსო. ასე იყო თუ ისე ამ გამოსახენი კუთხით უბირიას და მისი ამსფონების მოღვაწეობა ჩვეულებრივად გრძელდებოდა, გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებებსა და ნეკროლოგებშიც ხშირად იბეჭდებოდა შავი შსხვილი შრიფტით აწყობილი მათი გვარები, რითიც გამოჩენის ჟინს ავადმყოფურად იქმაყოფილებდნენ. კარგა ხნის შემდეგ ნაცნობებმა მეგობრულ გუნდს დამკრძალავი კომისია შეარქეს და თუ საღმე მათ ვერ ხედავდნენ უკვირდათ კიდეც რაშია საქმე, როგორ მოხდა რომ არ ჩანანო. ასეთი მიმართულებით დაკავებულობის გამო ყოფილ ძალიან დიდ კაცს მეორე კიდევ უფრო სასიამოვნო მიმართულებაც გააჩნდა – გასვენებაქელეხებისაგან თავისუფალ დროს ძალიან იზიდავდა მაღალი დონის რესტორნებში დროის ტარება, მსმელს ან ლოთს მას ვერავინ უწოდებდა, რადგან სასმელის მოპარვის ხელობაც კარგად ჰქონდა შეთვისებული, უბრალოდ პურის მჭამელ და მეგობრებში მოქეთვე კაცად მოიხსენიებდნენ. აპოლონს აშკარად უყვარდა ქალებთან, განსაკუთრებით მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ახლო ურთიერთობა. იმდენი იქეთვა ამ ტიპის მანდილოსნებთან, რომ ერთხელ ვიღაც გაქნილმა აფერისტმა სუ-

რათებიც გადაუღო სრულიად ტიტველ დიაცთან ტახტზე დარღიმანდულად მოკალათებულს, მერე კი ფეხება-პლაკულ ტურფაზე გადაწოლილი დაფიქსირა თავისი სქელი მორგვალებული ტრაკით. ეს სურათები რომ ურნალისტებს ხელთ ჩავარდნოდათ, ვინ იცის რა მოხდებოდა, ამიტომაც აპოლონმა მოლაპარაკების მერე დიდი ფული გადაუხადა აფერისტ ფოტოგრაფს სურათებისა და ნეგატივების სანაცვლოდ. სისტემად ქცეულ დროის ტარებას დამკვრელები, მომლერლები, მოცემავეებიც სჭირდებოდა, ამ მხრივაც მილიონერ აპოლონს საქმე კარგად ჰქონდა მოგვარებული. ჯერ კიდევ თბილისში პირველკაცობის დროიდან ძალიან დაახლოებული ჰყავდა ამ კულტურულ-გართობითი საქმის ნამდვილ ოსტატთა ერთი საყურადღებო წრე, სადაც ცხრა-ათი კაცი შედიოდა. თითქმის ყველა მნიშვნელოვან თუ შედარებით უმნიშვნელო სუფრაზე მისი მეგობრების გვერდით ეს გამრთობი საზოგადოებაც იჯდა. ყველა სადღეგრძელოს დამთავრებისა ან სპეციალური მინიშნების შემდეგ იწყებოდა გუნდური სიმღერები, რასაც შიგადაშიგ სოლო შესრულებებიც არ აკლდა, ცეკვაც ლამაზად იყო სიმღერებს მისადაგებული.

ამ საინტერესო გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძმები შოთა, შავლევა, შალვა წითლანაძეები, რომლებზეც ხუმრობდნენ-ხოლმე „მაგათ მამას ბატონ დომენტის ბიჭების კეთებასთან ერთად აღიტერაციაც ძალიან ყვარებია. ბიჭებს სახელებით

რომ უძახის სულ შიშინი და შუილი ისმისო“: გუნდის წამყვანი წევრები იყვნენ ასევე მომღერალ-მოცეკვავე ტიტიკო მანჯავიძე, იგივე ტიკო, გაბრაზებული საუბრის დროს აპოლონის ტიკინად წოდებული, გენო კამლაძე, ჭოველთვის გამოპრანჭული, ჭრელ-ჭრელ ჰალსტუხინი, მოღურ პიჯაკანი, გაპრიალებულ-გალაქულ ფეხსაცმელებიანი ბიჭი, რომლის შესახებაც მეგობრებიც კი ხუმრობდნენ-ხოლმე – „ზედმიწ-ვნით პედერასტული შეხედულება აქვს დაყენებულიო“: მომღერალ-გამრთობთა გუნდის სხვა წევრებიც საინტერესო, თანაც ნიგიერი წარმომადგენლები იყვნენ. სიმღერისა და ცეკვა-თამაშის გარდა მათ ფეხებზე ეკიდათ პოეზიაც, პროზაც, მხატვრობაც, მეცნიერებაც, ყველაფერს ახალი თუ წინა წლების თანამდებობებით, ყველაზე მეტად კი ფულით, ქონებითა და სიმღიდორით ზომავდნენ. ისინი მჭიდროდ მიტმასნილები იყვნენ ყველა დიდი თანამდებობის ან დიდი მატერიალური შესაძლებლობების მქონე ცნობილ პირვნებებთან. ღვთისგან მომადლებული ცეკვა-სიმღერის ნიჭი მათთვის ბუნებრივ თავის გამოჩენასთან ერთად იყო გამორჩინის, ხეირის, საქმეების ჩაწყობის, შუამავლობის უტყუარი საშუალება, რასაც წლების განმავლობაში მოხერხებულად იყენებდნენ კიდეც და აპოლონის გაშლილ სუფრებზე ნამცეცობასავთ ახერხებდნენ საჭირო თანხების შოგნას.

მაგარი ჩამოქვეითების მიუხედავად აპოლონ შალვოვიჩი ცუდ გუნებაზე მაინც იშვიათად იყო, უურნალის

რედაქტორის მოადგილედ ხსენებას ვერავინ კადრებდა, სულ მთავარ რედაქტორად მოიხსენიებდნენ, რედაქტორი უფასო ჭამა-სმის ისეთი მოყვარული ყავდა, ყოველდღე წასადილებისა და ორი-სამი ჭიქის დალევის ფასად მზად იყო თბილისის ყოფილი ბოსისთვის ყველაფერი დაეთმო, თანამდებობაც კი, ოღონდ ამ საკითხის გადაწყვეტა მას არ შეეძლო.

ცნობილი უბანი და გრძელი ეზო კი ჭველაბურად ცხოვრობდა, გაზრდილი პატარა ქურდ-ბაცაცები, მშობლები საერთოდ ფეხებზე რომ ეკიდათ, სულ ფულის შოვნაზე, ქეიფზე, დროის ტარებაზე ფიქრობდნენ და უკვე სხვადასხვა საეჭვო ხარისხის წამლის გაჩინირვით იყვნენ დაკავებული, მათ სწავლა-სა თუ მომავალ ცხოვრებაზე არავინ თავს არ იწუხებდა, დროც ისეთი არეული, ძირფესვიანად აშლილი იყო, რომ სწორ გზაზე დაყენებისთვის არავის აღარ ეცალა. უსაქმურ ლუკა ნაკაიძესაც ბუნებრივია წლები მოემატა, თუმცა ისეთი დაბალი და ჩასუქებული დარჩა, რომ კაცი იფიქრებდა მის-თვის ამხელა დრო არც იყო გასული და ისევ თავნება, ჭინჭყლი სითავზედით სავსე ბიჭად დარჩა. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის დებილური გამომეტყველების ლუკას ცუდ ხასიათს ქალების სურვილიც შეემატა, ვერავის ვერ ატყუებდა, რადგან მას მთელ დიდ უბანში სერიოზულად არცერთი გოგო არ უყურებდა.

მათი მეზობელი სახლის მიწისპირა პირველი სართულის ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა წლების წინ გალ-

ოთებულ ქმარს გაცილებული ზამირა ძარაშვილი. უმძიმესი ცხოვრების გამო მას ძალიან უჭირდა, ნათესავებიც არ-სად ჩანთხნენ, მარტოხელა უვლიდა თავს. ბოლოს გაჭირვების გამო წვრილმან ვაჭრობას მიჰყო ხელი, სახლშიც და ქუჩაშიც ყიდდა მზესუმზირას, მიწის თხილს, გოგრის თესლს, პატარ-პატარა კონებად შეკრულ ყვავილებს. მარტოხელა ქალს თავსედმა ლუკამ თვალი დაადგა. ერთ გვიან საღამოს ჩვეულებისამებრ გადაკრულიც და გაჩირულიც ზამირას ბინას მიადგა, კარგად იცოდა ზამირა სახლშიაც ყიდდა მზესუმზირას თუ თხილს. ამიტომ გაბედულად დაუკაკუნა ქალს კარზე და თუ შეიძლება მზესუმზირა მინდაო დაუძახა. უკან ორი ლაზლანდარა ძმაკაცი ედგა, მათ საქმეში გაყვანასაც აპირებდა, მზესუმზირა იყიდა, ქალს ერთი-ორი კომპლიმენტი უთხრა და უკვე ტვინარეული ეძგერა კიდეც. მართალია ზამირას საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა მოპოვებული და არც სტუმარი მამაკაცები აკლდა, მაგრამ ეზოდან ნაცნობი ახალგაზრდის უეცარმა იერიშმა მაინც მდგომარეობიდან გამოიყვანა და კივილი დაიწყო. ოდნავ შეღბილი ცხაურიანი ფანჯრიდან ხმა მკაფიოდ გაისმა. რაღაც საოცარ ბედად, ლუკასთვის კი ნამდვილ უბედობად

მოხდა ის, რომ ამ დროს ზამირას ბინიდნ ათიოდე მეტრის იქთ სამი პატრული მისეირნობდა ცენტრალური გასასვლელისკენ, ისინი სასწრაფოდ მივიღნენ ბინასთან, ლუკას ორმა თანამზრახველმა მოასწრო გაქცევა, გაოგნებულ მდგომარეობაში მყოფ ლუკას კი ხელები გადაუგრიხეს და მალე პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს. დაკითხვაზე ზამირამ დაადასტურა, რომ არაუხიზულ მდგომარეობაში მყოფმა ბიჭმა მისი გაუპატიურება მოინდომა და ის მხოლოდ შემთხვევის გამო გადარჩა. ლუკას მამამ ნიკო ნაკაიძემ რა არ ცადა, ვისთან არ მივიდა სათხოვნელად, შავი დღისთვის შენახული თანხაც გამოიყენა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. სასამართლომ შვილს გაუპატიურების მცდელობისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მაინც მიუსვა. მალე დამნაშავე ლუკა თბილოსადან რუსთავის კოლონიაში გადაიყვანეს, სადაც მშობლებიც და უბნის მრავალრიცხვანი ამფსონებიც ხშირად აკითხავდნენ, საკვებით, სიგარეტით, როცა ახერხებდნენ წამლითაც ამარაგებდნენ. ერთი წელიც ჩქარა გავიდა და დავაუკაცებული დაბალი ლუკა საკუთარ ბინასა და საერთო ეზოს გმირობის ჩამდენის დებილური გამომეტყველებით დაუბრუნდა.

**მესამე თავის დასახრული.
გაგრძელება იქნება**

ნუგზარ წერეთელი

84 სტუდენტი ახალგაზრდობის შემოქმედება

* * *

შერისხული პოეტის ოთახში
მორიგეობით ენაცვლებიან შიში და მუზა,
გრძელი ღამეა,
გათენება არ უწერია,
განცდა კი რჩება განუწყვეტელი,
თითქოს აღარც მაქვს ძალა მუხლებში,
შვებას ვერ ვპოულობ,
ჰო, ვეღარც ფურცლებში.
წამი წამს მისდევს და ნერვიც
თითქოს ძასთან ერთად
მიდის, მეცლება
არ მეძინება, ღამე მბრძანებლობს,
ფიქრიც როგორც ხასიათი ნელ-ნელა მეცვლება,
რაღაცას ვამბობდი, მაგრამ არა,
ამდენი მოთქმა და ტკივილი კმარა,
ლექსი ლექსი არ ჰგავს,
გამოიწურა თითქოს სულივით,
მას რითმა არ აქვს....
გონება ამერია, მინდა ცრემლი ვცემო,
წერა მინდა და ვფიქრობ რა ვწერო,
ვგრძნობ სიტყვებმაც ხასიათი დაკარგეს,
ყველაფერი დაემსგავსა რაღაცნაირ არაფერს...
ცამ ფერი იცვალა, გაწითლდა, დღევდება,
თვალებში პირიქით-შავდება, ბნელდება
იტყვიან საწყალი ჯერ დაიცალაო;
და მერე მალე გარდაიცვალაო...



* * *

საკუთარ გრძნობებზე თვითონვე თამაშობ,
ამასაც ივიწყებ – ადამიანი ხარ!
და შვებაც, სხივივით გამოკრთის ამაში.
შეირგე ცხოვრება...
რაც არის ეგ არის,
გჭირდება გადახდა ყოველგვარ ბეგარის.
ვერავინ შეცვლის და ვერავინ შეღებავს,

გაყევი დინებას, ან იქნებ არც კი ლირს,
აღარ შევეცდები მე წვალ შენს გაგებას
დამღალე კარგი და გაგიშვი წელები,
იქნებ პირველადაც, თან უკანასკნელად...

* * *

მომეცი წელები,
აყევი ფეთქვას
და იგრძენი წამები
გაგლიჯე იარა ტკივილის უფრო და
სისხლად გადმოღვარე გრძნობები ფეთქვადი...
მომენდე,
წამო და თუ გინდა ღელავდე,
ოღონდ კი იყავი როგორიც ჩემამდე,
როგორც ჩემთან და
ჩემს მერე არ ვიცი...
დღემ ღამე გაზარდა,
ფოთლები დაცვივდა,
ნაცნობი ქუდი და ოდნავი შეთრობა,
არ გცივა.
მაფიქრებ, წელები ვეღარ გრძნობს
შენს წელებს,
ეს სულიც თითქოსდა გაცივდა,
გავცქერი ზღვისაკენ მიმავალ ვაგონებს,
დროში გამინელდა მგონი მაჯის ცემა,
მაბოდებ.
გული ხარ ყელში მობჯენილი
ცრემლის ჩაყლაპვით რომ ცდილობ ჩაგიტანო,
თითქოს სულ გამიქრა ძვირფასი ცხოვრებიდან,
არადა ყელში მაინც მიწევს აგიტანო...

ნათია კაზიძე

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო
უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის
მე-4 კურსი, 109 ჯგ.



ნუ ბამაჩერება, ნუ ბამაჩერება

ნუ გამაჩუმებ, მდუმარება მეყოფა იქაც,
ყველა ბორკილი დავამსხვრიო ვიყვირო მინდა,
ნუ გამაჩუმებ, დე აივსოს ჩემს წილად ჭიქა
და მათქმევინოს, რომ ამქვეყნად გაჩენა ღირდა,
რომ, ღირდა ბრძოლა, თუნდაც ყველა წესის გარეშე,
რომ დავდიოდი და მიტანდა დასჯილი მიწა.
რომ ეს სიცოცხლე თუნდაც ერთხელ გაითარეშებს
და რომ საჩემო ბედილბალი ავისგან მიცაგს.
ხელს ნუ შემიშლი, ეს ის არის ველოდი რასაც
რაც მე აკვნიდან არ მასვენებს, ვერც მიმიგნია.
ეს ის კითხვაა, რომ დამყვება ჩუმად და ნაგსად,
ეს ის ღამეა სარკმელი, რომ შემომინგრია.
ნუ ამატირებ, მე სიცილი უფრო მჩვევია
რა ოხრად მინდა დარდი, ჟამბა ისეც დამცადა,
ჩემს სულს ტკივილი სუროსავით შემოხვევია
და აცრემლება დალოცვილმა არც კი მაცადა.
ნუ დამაძინებ, ვერ ვიმეტებ ძილისთვის წამებს.
ჩავყვები ალგეთს, სასაუბრო გვექნება ბევრი
ნუ გამაჩუმებ, ვისაუბრებთ ჩვენ – მე და ღამე.
და ვიტყვი – ღირდა მეც მესუნთქა ამ მიწის მტვერი.

18.01.2013

03042 პატარა ქართველო

მისმინეთ, მიყურეთ, გაიგეთ
ეს ცა და ხმელეთი თქვენია
სიცოცხლე, ნობათად წაიღეთ
წაიღეთ, წაიღეთ, გელიან
დადექით ასწავლონ გზებზე და
ფართო ნაბიჯებით იარეთ
ჭადარამ დაგთოვოთ თმებზე და
ცაც, მიწაც თქვენსავით წრიალებს
შენს მამულს, უარე ერთგულად,
ღმერთს წმინდა საქმენი ანახე
თუ უიმედობა შეგძულდა,
გახედე ამ ღმერთის სანახებს.
გახედე ბირთვისს და დიდორსა,
კველთას და მარაბდას სამხედრეს,
გახედე კრწანისის მინდორს და
მცხეთიდან ჯვრის ტაძარს ახედე.
იცოდე პატარა ქართველო,
უფალმა გიბობა ეს მიწა
ერთგული დილა რომ ათენო
მჯერა თამარის ხატს შეჰქიცავ.
მე მჯერა ნათელი ხვალის დღის,
შენც უნდა გჯეროდეს კეთილო,
სამშობლოს შემატეთ ხალისი,
მტერს – ვერაგს დედა რომ ეტიროს.

მარიკა ეაზიშვილი

იღია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ უმაღლესი სასწავლებლის ფარმაციის
ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

წალენჯიხის მკვიდრმა გვანცა ჩიქობავაშ
საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ უმაღლესი სახწავლებელი დამთავრა.
ინსტიტუტში გატარებული დაუკიწყარი დღეების
სითბომ მას დააწერინა გულწრფელი ლექსი. ეს
არის მართალი სულისკვეთებით სავსე სტრიქონები
უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი
მესვეურისადმი, რასაც ვთავაზობთ ჩვენი უურნალის
მკითხველს.



სითბო

ძლვნად ქალბატონ ნ.გულუას

თქვენ კოლხი ქალის სათნოება და
ხიბლი გმოსავთ,
ერთი მიწის ვართ, ერთი კუთხის,
და მიხარია,
მზეს ვატან თქვენთან იასამნებს,
იებს და სოსანს,
გფარავდეთ მუდამ ღვთისმშობელი
წმინდა მარიამ!
აშუქებთ მზისებრ თქვენი სულის
უნაზეს სხივებს,
მე ვიკრავ გულში და ჩემს ბავშვურ
სამყაროს ვითბობ,
გამოვარიდებ ცივ ნისლებს და
შრიალა წვიმებს,
და დიდხანს დამაქვს თქვენი რძისფერ
ღიმილის სითბო.
და ახლა კდემით ეს რითმები
მოგესათნოვათ,

მოგესათნოვათ ჩემი გული
სუფთა და წრფელი;
მთვარემ სარკმლები გვირილების
შუქით დათოვა
და გადათოვა თქვენზე ფიქრით
ცისფერი ველი.
დაე, უფალმა აგამზეოთ
თბილი გულისთვის,
მეც უფლის მადლით ვახმიანებ
ლექსის გიტარებს,
გმადლობთ, ლამაზო ქალბატონო, სიყვარულისთვის,
სხვა არაფერი, ჩემი სულის მზე მოგიტანეთ!

გვანცა ჩიქობავა

ანა ახმატოვა

* * *

უბერავს ცხელი მხუთავი ქარი,
მზის მხურვალებამ დამწვა სელები,
მაღას მსუბუქი სვეტი კამარის
ცისფერ მინას რომ მოჰყავს მშვენებით.
ისევე წევოს სურნელი ხმელი
გადმოეფრქვევა ნაწავებს გზნებით,
ნაძვის გრეხილი ნაოჭა ღერი
ჭიანჭველების ჭრელდება გზებით.
გუბურა ვერცხლის ფერად იზრდება,
ახლებურია სიცოცხლე ლალი,
ნეტავ დღეს ვინდა დამესიზმრება
ისევ ჰამაკის რწევაში დაღლილს.

1910 წ.

პოეტი
/ციკლიდან „ხელობის საიდუმლოებანი/“

რა სამუშაო, მიდი და წერე,
უზრუნველია ცხოვრება თითქოს,
ხუმრობით ჩათვლი საკუთრად მერე,
როცა შეიგრძნობ მუსიკის სითბოს.
და მხიარული ვიღაცის სკერცო
შენს ნებისმიერ სტრიქონში მდგარი,
იფიცებს რომ ის ვერაფერს შეცვლის,
როს ყანებს ვერცხლის გადასდის ცვარი.
შემდეგ ტყეებში ფიჭვების დუმილს,
ისეც მდუმარეთ ერთი შეხედვით,
სანამდის კვამლის ფარდები ჩუმი
დგას და ამ ნისლებს ყველგან ეხები.
ვიღებ ერთიან მარჯვნივ თუ მარცხნივ,
დანაშაულის არქონის განცდით,
ცბიერ ყოფაში არ გინდა მარცხი
და დამის კლანჭებს ვერაფრით გაცდი.
1936-1960 წ.წ.

ნაშებეფი

მე მომეჩვენა სინათლეები
 ჩემთან მოფრენენ განთიადამდე,
 ვერ მივხვდი,
 ისევ ფიქრებს შევები,
 თვალების ფერსაც ვერ ვცნობ გადამდებს.
 გარშემო სივრცე თრთოდა, მღეროდა,
 ვფიქრობ ვინა ზარ,
 მოკეთე, მტერი,
 ზამთარს თუ ზაფხულს აწ რაღას ველი.

1950 წ.

* * *

მე გაღიმება უკვე შევწყვიტე,
 ტუჩებს მიცივებს ყინულის ქარი,
 იმედს დააკლდა ერთი მეწყვილე,
 სიმღერაც ერთით ნაკლები არი.
 და ამ სიმღერას ჩუმად, ჩემითვე
 გადავცემ ლანძღვა-დაცინვისათვის,
 გული,
 რომელიც ტკივილს ვერ ითმენს,
 ვით სიყვარულის ქრება სიზმარი.

1915 წ.

თარგმნა ნუგ ზარ წერეთელმა

მთხვევის სიმფონია

გამოხვალ ადრე,
 გახედავ ამ მთებს,
 და არა სტეპებს
 ქარებით ნათრევს,
 დროება მწვანე შუქნიშანს ანთებს,
 და იმედივით წამოშლის ნატვრებს.
 მზე ისე ანთებს ამინდს დარიანს,
 აყვავილებას მოჰკავს შინდისას,
 სულ სხვაგვარია,
 სულ სხვაგვარია,
 ლურჯი ცისკარი
 სტეფანწმინდისა.
 დღე არის თითქოს ნაძერწი ცვილის,
 ბევრი სიმწვანით დედდება სივრცე,
 და ისე ქრიან
 ფიქრები დილის,
 როგორც მოხევე მირეკავს კვიცებს.
 აღარ ზვავდება სიკვდილის შიში,
 გვერა სიცოცხლე კლდესავით გაძლებს,
 და მთები ისე შედიან ჩრდილში,
 ვთ თივის ძნებით ავსებენ საბძელს.
 ჩანს მყინვარწვერი
 ნათლის სვეტივით,
 ვხარობდი,
 თითქოს ბალდი ვიყავი,
 წამოსულს მიტომ გამომეტირე,
 რომ გზებზე აღარ დავლლილიყავი.
 მაგრამ დარიალს ფერით ფოლადის,
 მაინც ვერაფრით მივატოვებდი,
 ძალა ქარიშხლის ქროლვა – მოვარდნის
 ჩანდა მწვერვალებს მინატოლები.
 აქ სიჭაბუკეც მიცქერს გერგეტით,
 ქარები მთების სუნთქვას მახლიან,
 განფაქიზება –

ოღონდ ეგეთი,
 ჯერ ქვეყნად არსად არ მინახია.
 აქ მყინვარწვერზეც ვიდექი ერთხელ,
 აქ ვარ ყველაზე მაღლა ასული,
 გამეორებას ვერაფრით ვერ გთხოვ,
 ძველო დღეებო,
 უკვე დასრულდით.
 ოღონდ წუთითაც აღარ მცილდებით
 შემატებულნი ძვირფას თარიღებს,
 გთხოვთ, ასე ნულა ჩამაცივდებით,
 სიმართლეს მაინც ვერვინ გაიგებს.
 ვინ ჰპოვებს უამით გამქრალ ბიჭობას,
 შორს გაფრენილებს ნეტარ წამებად,
 თუ გარდასულის ნახვა გინდოდათ,
 ის ფრესკასავით დარჩა სამებას.
 მაღლა ზეცაში ზარები რეკენ,
 ნისლივით მისდევს წესებს ადათი,
 ზეცასთან მთების ვიხილავ დრეკვებს,
 ვახტანგი მაღალ მთებზე გადადის.
 ახლა შორია იალბუზამდე,
 ძალით ხერგავენ
 ქლუხორს, მამისონს,
 სამშობლოს ვინაც გმირად უზარდეს,
 იქნებ იპოვოს ხსნა საამისო.
 თუ ვინმე ოდნავ ჩამოჰვავს ვახტანგს,
 თუ ვინმე ოდნავ ჩამოჰვავს დავითს,
 ნაოცნებარიც დავრჩები სახტად,
 მებრძოლი მხოლოდ საკუთარ თავით.
 სიძლლეს ვიძენ მე დარიალით,
 სივრცეს მიარღვევს თვალი ქორული,
 მაღამოსავით ვერ დამიამებს
 ტკივილს,
 ქედების რუხი ხორუმი.
 ეშვება ჯანდის მძიმე ფარდები,
 თერგი მიბლავის კლდეებს ლომივით,
 თუ სიმაღლიდან გადავვარდები,

ისევე თერგის ტალღა მომივლის.
 რომელსაც ახლა თითქოს განგრევა
 სურს რუსეთისკენ ოსთა კარების,
 წინ დარიალი აისანგრება
 ნიშნად სამშობლოს ვეღარ არევის.
 მე ეს სიძალლე ბავშვივით მიპყრობს,
 ატყლაშუნებენ შოლტებს ქარები,
 რომელ კუთხეშიც არ უნდა ვიყო,
 ქარივით აქეთ მოვეჩქარები.
 მაღალი მთები ისე მიცავენ,
 როგორც მშობელი იცავს პატარას,
 მთებო, ჯერ კიდევ მაშინ მიცანით,
 როცა მყინვართა გზებით მატარეთ.
 მასვით ბროლივით წყალი ნაჟური,
 ლურჯი ყინულის დნობის შედეგი,
 მერე მრავალი საქმე საშური
 ვაკეთე,
 თქვენაც მხარში მედექით.
 სიძალლისაკენ მიმითითებდით,
 ანდა მიხმობდით აფრენისაკენ.
 შორით მწვერვალებს,
 თლილი თითებით,
 თითქოს ეკავათ
 აფრების სარკე.
 სარკე ელავდა ოქროსფერებად,
 ანგელოსს ჭვრეტდა ღამეგანათევს,
 მთა თუკი ერთხელ მოგეფერება,
 მერე არასდროს არ გიღალატებს.
 არ მიგატოვებს ახლობელივით,
 ვით განათებულ ტაძარს ტიარა,
 ის თავად შენში სახლობს ბერივით,
 ღრომაც ვერაფრით გადაგიარა.
 მიტომ მიტაცებს ეს სიმფონიაც
 ნისლიან მთების ბეთჰოვენივით,
 რაც ცხოვრებაში გამიგონია,
 ჯერ კიდევ რჩება ვერშეცნობილი.

სახლი და კარი აქ მინდა მქონდეს,
 მთებს მივყვებოდე სხივთა ოქრომდე,
 ქარი კი ქროდეს,
 ქროდეს და ქროდეს,
 მყინვართა წმინდა სუნთქვა მოჰქონდეს.
 მსურს მუხლმაგარი ვიყო მოხევე,
 გადავდიოდე პირბასრ ქარაფებს,
 თუ ანგელოსი ღამით მომხედავს,
 სხვას არც ვინატრებ, ალბათ, არაფერს.
 და საქართველომ - წყარომ სიმაღლის,
 კვლავ ცისკარივით უნდა იელვოს,
 ჩიტივით მაფრენს ძალა ნიაღვრის,
 სურს უფრო მეტად გამაძლიეროს.
 რომ გავედევნო სივრცეს გრიგალად,
 დავტოვო ჩემი ქედი ფრიალო,
 ვიგრძნო ბოლომდის ჯებირს ვინ გავა,
 რომ საძებნელად კიდევ ვიარო.
 უკვდავთა კვალზე ვნახო მეფენი,
 ხალხი დაცემას ვისაც შესტირის,
 ქარი კი მოჰქრის თეთრი შხეფებით,
 გაყინულ სტეპებს წამოსხლეტილი.
 რისი სტეპები,
 მთები მთებია,
 ვერ შესწვდებიან
 სხვები ვერასდროს,
 წინსვლას უინიანს,
 წინსვლას ვნებიანს,
 მივდევ და მინდა ვერვინ შემასწროს.
 აქ ვიყავ მაშინ,
 როცა ნერგავდნენ
 სიყვარულს,
 ქვეყნის რაიც მართებდათ,
 ძნელი კი იყო მისვლა თერგამდე
 წინ რომ შუბივით მიემართება.
 მიტომ ყოველთვის მშურდა თერგისა,
 მთების ოდენა კლდეთა გამპობის,

და დარწმუნებაც
 ძლივსლა მეღირსა
 რასაც ვწერდი თუ
 რასაც ვამბობდი.
 კვლავაც ფიქრებით გავცქერ დღევანდელს,
 თითქოს სინათლის ვიყო ჩამრთველი,
 ისევ ბრძოლაში უნდა შევვარდე,
 როგორც შერბოდა ადრე ქართველი.
 უნდა ვიქუხო მღვრიე თერგივით,
 გასასვლელები დავყო ხევებად,
 ჩემო მამულო,
 თუკი ვერ გივლი,
 კვლავაც მჭირდები გასამხნევებლად.
 გადავუქროლებ ველებს ზემოდან,
 როგორც დროების სწრაფი მხედარი,
 რახან ასეთი ბედი მელოდა,
 სხვა მხრისკენ აღარც გავიხედავდი.
 დღემდის ზვავივით სათქმელს ვმალავდი,
 მტრები უარესს რაღას მიზამდნენ,
 წინ დარჩენილი
 გზები მარადი
 არ შემიწყვიტო
 უკუნისამდე.
 ძმებივით მდევენ სალი კლდეები,
 იმედის თვალით შევცქერ მონასტერს,
 ის კი მარწმუნებს –
 რახან შეები,
 კიდეც გაძლებ და
 კიდეც მოასწრებ.

მიწურვა

ფიქრი თანდათან უფრო მუქდება,
თითქოს წვებიან მთაზე ჯანდები,
ორლობები აღარ შუქდება,
გაავებული ყეფენ ძალლები.
დიდი ცხოვრება
იწყებს მიწურვას,
გზა მეორდება ქვეყნად მრავალის,
და ეს სიცოცხლეც ისე მიცურავს,
ვით ნისლი,
ქედზე გადამავალი.

შპლავების ბინადარი

წვიდა დიდზე დიდი პოეტი,
წავიდა დიდზე დიდი მწერალი,
გაუსაძლისი საღამოებით
ისევ მაწამებს ბედი ვერანი.
სიმწრისგან ვიგრძნობ,
როგორც მაშინდელს,
ისევე ვრჩები ფიქრით ქებაში
და ძველებურად აქეთ მამშვიდებს
კაცი მცხოვრები უკვდავებაში.

მძიმე ფელიფაზი

ცხოვრება ისე გადასხვაუერდა თითქოს შეცვალა ქარი გრიგალმა,
თუმცა გაუძლო შენი დღეების ზვავად მომსკდარმა რუხმა იგავმა,
შენმა კალამბაც არ გადამტყდარმა,
დღემდის მოსულმა,
კიდეც იკალმა,
არაკაცობის ყველა ნიშანთან მოსისხლესავით შეურიგალმა.
შენ არ შეცვლილხარ, ისევ განიცდი თუ ვინმეს ცუდის უნდა კეთება,
როცა მამულის ბედი გაწუხებს აღარ გამინებს მტერთან კვეთება.
დარდობ ამდენი ტვინარეული ერთმანეთს მტრულად დატაკებია,
სითბო იშლება, საქმეც იშლება, როცა ნამდვილი დატაკები ვართ.
ვინდა მიხედავს საქმეს საეროს, რაც დაგაკისრა თავად განგებამ,
გაყინულ ჰაერს არწევს ნაკადი, კვამლი ცას ერთვის და იგრაგნება.
წითლად გამოკრთის სითბო ბუხრიდან და ნახშირდება ხმელი წიფელი,
ცაზე კი დაღლილ წეროებივით ერთმანეთს სდევენ დღენა მყიფენი.
ცხოვრებაც ისე მოცახცახეა, როგორაც კვამლი გაყინულ ცაში,
და ქარაშოტი ამოვარდნილი მყის მოცახცახე ნაკადსაც წაშლის.
მხოლოდ ეს მთები არ ირწევიან მწვერვალ და მწვერვალ აღმართულები,
მე სხვა მგონია,
თუ სხვა მევონა,
ჟამი კი ისევ წარმართულია.
და ნაკვერჩხლებზე მოციმციმეზე ტკაცუნით იწვის მწვადი ბუხარში,
ღროს ვერაფერი ვერ შეუცვლია და ვერაფერი გადაუხარშავს.
ისე შემოაქვთ შემწვარი ხორცი თითქოს სუფრაზე ეცემა ცოდვა,
და მალე თრობა – სხვა გზის მეგზური
გულს დოლაბივით დაუწყებს კოდვას.
შენ კი მიტირი გამქრალ წელიწადს,
რომელიც ასე ცუდად წავიდა,
გინდა არასდროს არ განმეორდეს ანუ არასდროს დადგეს თავიდან.
რათა ეს წელი,
ეს მძიმე წელი,
შენი ხსოვნიდან ამოიშალოს,
ვარაუდითაც არ გაიხსენო,
როგორც ფერდობზე წყარო მიმშრალი.
ის რაც მძიმეა, აუჭანელი, გინდა როგორმე არ გაიხსენო,
თითქოს დამშრალი ღელის ტოტივით ვენები ცივად გადაიხსენი.
რადგან ის წელი ცუდად წავიდა,

ან მოელოდი კიდეც უარესს,
 თითქოს მთებიდან მომსკდარ ნიალვარს ვერც ბილიკებით შემოუარეს.
 ძალიან ცოტა რამე გადარჩა, უამრავი კი წალეკილია,
 ამ დროს ვიღაცა მაინც ზეიმობს,
 ეტყობა მაგრად გარეკილი აქვს.
 რა დროს ზეიმი და ყიჯინია როს დაჭრილივით ქვეყანა გმინავს
 ისმის გასროლა,
 გვერდზე ან უკან ცივად ჩხრიალებს დაფშენილი მინა.
 დღეს აგცდა,
 თითქოს იყო ყაჩალი, კიდევ გადარჩი ამ სროლაშიაც,
 მკვლელი კიდევაც რომ დაიჭირონ,
 შავბნელ განზრახვას არ ცნობს მაშინაც.
 მაინც ეს გზები გადარჩენისა კიდევ რამდენჯერ უნდა ეძებო,
 მხოლოდ ერთი მაქეს დღემდის იმედი,
 რომ ისევ მწყალობ ყოვლის შემძლებო.
 ალბათ, ჯერ კიდევ არ გამიმეტებ, ძნელია ფიქრი გადაგებაზე,
 ბრძოლის დროსაც კი არა მქონია სურვილი ანდა ვადა ქებაზე.
 სხვაგვარი იყო ჩემი მიზანი
 და ეს მიზანი კიდევ მამაგრებს,
 თუკი ვიარე,
 თუ ეს საშინლად გადახლართული გზები გავაგნე.
 თუ კიდევ ერთხელ აღარ დამამსხვრევს
 წუთისოფელი, მყიფე შუშისებრ,
 და ისევ მინდა, საწყალს კი არა,
 მთელი ცხოვრებით ვგავდე უშიშრებს.
 ამ მძიმე წელმაც ვეღარ გამტეხოს,
 რაც ლვარცოფების მსგავსად გავიდა,
 იქნებ გათენდეს,
 მორჩეს ყინვები
 და მზეც გამოჩნდეს სამალავიდან.
 იქნებ აღზევდეს ჩემი მამული, ფერფლიდან აღდგეს ძველი დიდება,
 ისე კარგია თუნდაც იმედი, ლვინო წყალივით არ მეკიდება.
 გავცქერ მომავალს,
 რომ ძარღვებივით მჭერარი სიმები კვლავაც ამიწყოს
 და ცოდვიანი ის ერთი წელიც
 არყოფილივით გადამავიწყოს.

გათელვა

თვალთმაქცობაში მოხდა დიდი დახელოვნება,
სხივიც გარუხდა ერთ დროს ოქროდ ჩამოწვერილი,
მზოლოდ ახლები გადაიქცნენ სახელოვნებად,
ძველებს კი უპვე
უწოდებენ ჩამოწერილებს.
სიახლე ჰქვია თვალთმაქცობას,
კაცის გაწირვას,
ხედვაც გამხდარა სიმართლისკენ ცივად ელამი,
ვიღაც მდიდარი დაუნდობლად ძალით ჩაგძირავს,
ანდა გაგთელავს,
ვით თუშეთში თექას თელავენ.

ვერ ვისწავლეთ

კარგს ვერაფერს მიახარებთ
წინაპრების ამაყ სულთა,
მოდის დიდი ნიაღვარი
გვარებგადაკეთებულთა.
ეს რამდენი ქართველია,
ამრავლებენ ერისთავებს,
გზა მრავალჯერ გაგვთელია
ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ.

მწარე მონოლოგი

ცივად მიყვება დღეს ღამე,
 სდევს აღზევებას ღაცემა,
 შენი ცხოვრებაც შებლალეს
 უნიჭო არაკაცებმა.
 დღეები ჰგვანან საშინელ
 ომისგან ნიშნის მოგებას,
 აღარაფერი გამშვიდებს,
 სულ სხვანაირი დრო დგება.
 ძველთა დროთაგან ასეა,
 ვრჩებით მონებად, მსტოვრებად,
 ალივით მობარბაცეა
 კაცის ყოფა და ცხოვრება.
 ვეღარც კი გრძნობენ წუთიერს,
 თუნდ პატარასაც არ თმობენ,
 ელტვიან უხამსს, უდიერს,
 ხალხს მოგონილით ართობენ.
 კითხვის ნიშნებად გვაქციეს,
 გაჭირდა გზების გაგნება,
 ზოგის საოცარ საქციელს
 ვადრით გოდოლის დანგრევას.
 ჟამი ჯებირებს შემოშლის,
 ანდა მოანგრევს პირწმინდად,
 ერთადერთ საქართველოში
 ვინ რა სატანჯველს იწვნიდა.
 ბევრის მიგნება დაგვჭირდა,
 ვით დროის ჯანღში გარევა,
 უფრო და უფრო გაჭირდა
 ამ წუთისოფლის გალევა.
 შეხვედრა მეტად გართულდა
 კაცურ კაცობის ნაზავთან,
 შიშმა,
 თან ნებადართულმა,
 დაგვაძაბუნა,
 დაგვზაფრა.
 გამოსავალი დახშულა,
 ვით ჩახერგილი ქვაბული,

და მიკვირს – თუკი სახლში ვარ,
 რად ვარ მშიშარაც, ძაბუნიც.
 სულში ვინ ჩაკლა მამაცი,
 ვინ დაანათლა ავი ზნე,
 გიჟის პერანგი ჩამაცვით,
 თუ სხვა არ მქონდეს სამიზნე.
 თუ ვერ მივხედე ქვეყანას
 შეძლებით მამაპურით,
 თუ მოძმისათვის შემხარბდა
 მაისში წვიმის შხაპუნი.
 ანდა ნისლები გომბორზე
 საფერავივით სქელები,
 ამ საოცრების მომგონზე
 გზა გადის ცისარტყელების.
 ბედი საწყალი კაცისა
 მეტი ან ვიღამ დაწყევლოს,
 შემოდგომისპირ ნაცრისფრად
 სატკივარისგან ნაწყენო.
 ვნატრობ: ვინც ერთურთს გვაცილებს,
 იმისთვის თოფის დატენას,
 ვინაც ქართველს
 ძალით ამცირებს
 თან ერთურთს გადაამტერა.
 ვინც გზა სიმართლის ჩატეხა,
 ან ვერ დაიცვა სრულებით,
 მიტომ მოვარდნილ ქარტეხილს
 ვერ ვებრძვით უსუსურები.
 ნაცვლად მამულის მოვლისა,
 ქვეწისთვის ძალის გაცემის,
 კლავენ, უმეტეს ყოვლისა,
 ერთმანეთს არაკაცები.
 ხალხს ვინ დაიცავს ამათვან,
 არ მოჩანს კაცის მსგავსება,
 ვინც თვალი ავად დამადგა
 ერგოს თვალების დავსება.
 ძმობის და სითბოს ძაგიერ
 ჩასაფრებულთა რიგია,
 ვიღაც ცხოვრებას აგირევს,

გართმევს რაც ფეხქვეშ გიგია.
 ქრება იმედი ამ ყოფის,
 დარღი ჭლექივით გაოსებს,
 საიქიოში ნამყოფი
 არც ფიქრობ სააქაოზე.
 სატკივარს თუ არ ეშველა
 გზას წინსვლის სუნი ვერ ასდის,
 სამოთხის ბალში შეშვება
 აიკრძალება ყველასთვის.
 უიმედობამ იმეტა,
 ძნელდება გზების გაგნება,
 ერთიდა გვრჩება იმედად —
 და შველას შევთხოვთ განგებას.

გზაზე

სურნელი იდგა თავთავის,
 სიმწვანის მცემდა ნაკადი,
 თაყვანი ვეცი სამთავისს,
 და ისევ გზაზე გავქანდი
 კვლავ მოვილოცე ყინწვისი,
 როგორც ქვეყნის მშვენება,
 ჩემი დიდებულ მიწისთვის
 თავის დადებაც მენება.

გხედავ

ისევ ოცნებით გზედავ
 უღვთოდ ლამაზს და კოხტას,
 დამრჩა ნაბოძებ ბედად,
 რაც წლების წინათ მოხდა.
 შენი მშვენებით ახლაც
 ვივსები, ანუ ვთვრები,
 ჟამმა კი წლები დახრა,
 როგორც ღვარცოფმა მთები.

გაზაფხულის მოლოდინი

ქარი დაარწევს პურის ყანებს მარაოსავით,
აალივლივებს ქარვასავით მცირე ბექობებს,
ტანძალალ ქედებს,
მწვანე ფარჩით მარად მოსილებს,
ეს მიმოქროლა ფერებს სტაცებს,
როგორც მეკობრე.
მალე დადგება ველ-მინდვრებზე გორები ნამჯის,
გაიბმებიან ხეობისკენ ქარვისფერ მძივად,
კვლავაც შეგრძნება მავსებს კაცის
ჩუმის და გამრჯვის,
მწვერვალებიდან ირეკლება ყინული ცივად.
ცოტა ხანიც და მოედება სიცივე დაბას,
გადმოიღვრება გორებიდან წვიმა ნესტივით,
დრო ისე გარბის,
იფანტება ისევე სწრაფად,
ვით სიჩუმეში სევდიანი ჰანგი მესტვირის.
აქ ყველა შრომობს,
არ არსებობს გამონაკლისი,
კაცურ კაცობის სახელს სწორედ ასე იძენენ,
შრომობს მომავალ გაჭირვების გამო მანგლისი,
სიგრილესავით არე-მარეს ავსებს სიძველე.
აქვე ახლოს კი გაკვამლული ქალაქი ბორგავს,
ათეულ წლობით დამშვიდება რომ არ ეღირსა
მაღალი ზეცა, მეჩვენება, დამეწყრილს მოგავს,
ისევ ზეციდან მოვარდნილი მქუჩარ მეხისგან.
უიმედობა მხრებზე მაღევს მძიმე ლოდივით,
სულ ასე მედო
და ვერაფრით ვერ ვიცილებდი,
ჩქარი ალგეთი ბატქნებივით ჩქერებს მოდენის,
ფანტელებივით მერე შორს რომ მიციმციმებენ.
ნატურმორტივით მთას ჰკიდია ჩუმი სოფელი,
მიდამოს ავსებს კრამიტების მოწითალო ფერი,
სივრცეს გავყურებ,
სურვილები ძლივსლა მოფრენენ,
ატაცუნებულ შუაცეცხლის, ჭიქის და ჭერის,
შარიშურივით აღარ ისმის შრიალი რტოთა
მოდის სიყვითლედ მარადისი ჟამი გახმობის,
და გახმობისთვის განწირული ბუნება შფოთავს
ზაფხულისა და შემოდგომის ერთად დამმხობი.

აქ გაჭირვებაც, დალზინებაც ერთურთს მოსდევენ,
 როგორც ფარაში ერთი ცხვარი მისდევს მეორეს,
 როცა ელვები მაღალ ფიჭვებს კლანჭებს მოსდებენ,
 შენ იმალები,
 თუ ბიჭი ხარ, მიდი, ეომე.
 ზოგჯერ გგონია საბოლოო ძალით იცლები,
 თითქოს მათარა წყურვილისას ჩადის ძირამდე,
 შხამით ნაუღენთი მოცვივიან მთიდან ისრები,
 ადამიანებს კვლავ წირავენ,
 როგორც წირავდნენ.
 მწარე ფიქრები მოედება ზევებს ნისლებად,
 თითქოს გაყრისას
 მთასა და ბარს ელის გაყოფა,
 მერე ეს ჯანდი ქედებიდან ისე იცრება,
 როგორც წუთებზე დაკიდული ყოფნა-არყოფნა.
 მიემართები ნაწამები, ქალაქისაკენ,
 სად უნდობლობაც, სიძულვილიც დგება კვამლივით,
 ისევე დალებ,
 სინანულით იტყვი მისაგებს,
 და კარგად იცი ეს ტკივილი აღარ გაგივლის.
 ფიქრების დოლში მაინც ნატრობ გაყინულ დაბას,
 მშვიდ, გაჭირვებულ ცხოვრებისკენ გული გაგიწევს,
 თუმცა სხვა დროა,
 მიმქროლავი ძალიან სწრაფად,
 ფიჭვების ჭალა საბძელივით თითქოს დაგიწვეს.
 მიგაქანავებს ეს ცხოვრება შენც ნაფოტივით,
 თითქოს ფარებად ედებიან სივრცეს ქედები,
 გაზაფხულზე კი წიფლნარები შორს გაფოთლილი,
 კვლავაც განწირულ განახლებით გაიმედებენ.
 გაზაფხულამდე ჯერ შორია,
 ცვივა ფანტელი,
 ქარები ტალღად მოფარფატე ნისლებს არწევენ,
 გადარჩენილი,
 უმცირესი ცოდვის ჩამდენი,
 არ ეპუები აღარც ქარს და აღარც ქარწვიმებს.
 გრძნობ, რომ ცხოვრებაც მიქანაობს დასასრულისკენ,
 არ გემეტება არაფერი,
 არ მეორდები,
 ყინვის ხლართებში თუმც ცხოვრება გასუსულია,
 მაინც ფეხზე ხარ და გაზაფხულს დაელოდები.

ნუგ ზარ წერეთელი

გაცი, ორმალიც დააპლდა შველას



2013 წლის იანვრის ბოლოს მოულოდნელად წავიდა ამ არეულ-დარეული ცხოვრებიდან გოგი დემეტრაძე. მთელმა თბილისმა და საქართველოშ იცოდა, თუმცა უფრო დაწვრილებით გაიგო ვინც იყო ეს საოცრად პატრიოტი კაცი, ვინც ქვეყნისათვის საკუთარი საქმით, საკუთარი მოწოდებით თავდადებული სამსახურის მაგალითს უჩვენებდა ყველას, ან რეალურ მასტერ-კლასს უტარებდა. იგი ისევე დააკლდა თვავის საყვარელ ქალაქს, როგორც დიდი შემოქმედი, დიდი მუქნიერები, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები თუ გამოჩენილი სპორტისტები აკლდებიან ქართულ გარემოს. გაზეობი ამ სამწუხარო ფაქტის შესახებ აღნიშნავდნენ, რომ თითქმის ერთ პერიოდში ერთდროულად წავიდნენ საქართველოს სახელოვანი შველები: სახალხო არტისტები გურაშ საღარაშე და ნოდარ ანდოულაძე, გამოჩენილი ქართველი პედიატრი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი, მათთან ერთად დიდ დანაკლისად იყო ჩათვლილი ცნობილი

ისტორიკოსი და ქართული ფეხბურთის თავდადებული ქომაგი, თბილისის კოლორიტი გოგი დემეტრაძე. სრული სიმართლისთვის შეიძლება ითქვას, რომ ზემოქამოთვლილი საქართველოს გამოჩენილი შვილების გვერდით რეგალიებისა და წოდებების გათვალისწინებით ვერ იდგა გოგი დემეტრაძე, მაგრამ სიყვარულის, ერთგულების, კაცობრის, პატრიოტიზმის მხრივ იგი ნებისმიერ დიდ ქართველს გაეჯიბრებოდა და გაუტოლდებოდა.

გოგი დემეტრაძე ნახევარსაუკუნეზე მეტი წელი ხნის მანძილზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი სიყვარულით ასწავლიდა სტუდენტებს ისტორიას. როგორც თავად აღნიშნავს, პირველ პერიოდში ეს იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია. ფეხბურთის დიდმა ქომაგმა ისტორიაც სასარგებლო კუთხით გამოიყენა. თბილისის „დინამოს“ კალენდრის მიხედვით შეადგინა პრაქტიკის გეგმა და თავისი სტუდენტი-პრაქტიკანტები იმ ქალაქებში დაჰყავდა, საღაც მის მშობლიურ გუნდს თამაშები პქონდა. პედაგოგიური მოღვაწეობის მეორე პერიოდში იგი უკვე საქართველოს ისტორიას ასწავლიდა, ახალგაზრდობას ჩვეული სიყვარულით აცნობდა ჩვენი მრავალსაუკუნოები ისტორიის მქონე სამშობლოს გმირულ წარსულს, ამავე დროს სტუდენტებს თბილისის „დინამოს“ თამაშების საყურებლად, უკვე საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა და რაიონში ატარებდა.

ისტორია მისთვის სამშობლოს სიყვარულში სულ უფრო და უფრო ჩაღრმავების გზა იყო, სისტემატურად

ქითხულობდა, წერდა, ეძებდა, წარსულის მტერიან ფოლიანტებში ჩაღრმავებას ცდილობდა. სტუდენტებს ძალიან უყვარდა ემოციებით, ცოდნით, იუმორით, სიკუთით სავსე ლექტორი, ვინც საკმარისაც იჩენდა მხოლოდ იმ მიზნის მისაღწევად, რომ მეტი გულმოდგინებით ესწავლათ საქართველოს ისტორია და მთელი სიგრძე-სიგანით შეეთვისებინათ მისი გმირული წარსული.

გოგი დემეტრაძე იყო ქართული ფეხბურთის აღიარებული მეტრი და ქომაგი. ამ შერივ იგი ქართული სამამულო ფეხბურთის გულშემატკიცვართა ლიდერს, ბელადად აღიარებულ ქართლოს სკონიძეს ღირსეულად უშვენებდა მხარს, მასთან ერთად და სხვა ახლო მეგობრებთან ერთად დღე და ღამ ფიქრობდა ქართული ფეხბურთის განვითარების ხელისშეწყობისათვის საჭირო პრობლემებზე. იგი სტადიონ-სა და მწვანედ მოლივლივე მინდოოს ადრეული წლებიდანვე იყო შეზრდილი. ერთხელ ექვსი-შვიდი წლის პატარა ბიჭი სტადიონზე მარტო არ გაუშვეს, არადა არავის ეცალა წასაყოლად, ბოლოს იმდენი ეხვეწა ბებიას, რომ ის წაჰყვა სტადიონზე. თბილისის „დინამო“ მაშინდელ მქუხარე „ცსკა“-სთან ერთით ოთხს აგებდა, ბევრი სულსწრავი გაბრაზებული გაიქცა, გოგიმ კი ბებია ბოლომდე დატოვა. იმ დღეს ქართული სასწაული მოხდა: თბილისის „დინამო“ ხუთით ოთხი მოიგო ურთულესი თამაში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები დაჯაბნა. ამ მოვლენის შემდეგ გოგი დემეტრაძეს ერთი თამაშიც არ გაუცდენა, თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრებს სულ თან დაჰყვებოდა. ამავე დროს იგი იყო ქართველ გულშე-



ბაკურიანი, 1994 წლის იანვარი.
მარცხნიდან: არჩილ ათანელიშვილი,
გოგი დემეტრაძე, ნუგზარ
წერეთელი, ვივი მევრელიშვილი,
გურამ კალანდაძე

მატკივართა კლუბის პრეზიდენტი და ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარული დეპარტამენტის პრეზიდიუმის წევრი.

ლეგენდასავით დადიოდა და დადის თბილისა თუ საქართველოში ის ფაქტი, რომ გოგი დემეტრაძეს ფეხბურთში მსოფლიოს არცერთი ჩემპიონატი არ გამოუტოვებდა. ერთხელ კი, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთში წასასვლელი ფული არ ჰქონდა, სასესხებლადაც კი ვერსად იშოვა, ადგა და საკუთარი აეტომანქანა „უიგული – 06“ გაყიდა და მაინც წავიდა დასასწრებლად.

ვერის ბალი გოგი დემეტრაძისა და მისი ახლო მეგობრებისათვის „დინამოს“ სტადიონთან ერთად თითქოს მეორე სამობლო იყო, თავისუფალ ღროს აქ ისხინებ, არჩევდნენ, საუბრობდნენ, კამათობდნენ, გეგმებს ადგენდნენ, რადგან მათთვის ფეხბურთი უბრალო თამაში კი არა, თავის გამოჩენის, ნაღდი შერქ-

ინების არენა იყო. საბჭოთა კავშირის ბატონობის წლებში ფეხბურთი თითქოს ერთადერთ ასპარეზს წარმოადგენდა, სადაც მათ შეეძლოთ ვეება რუსეთის გუნდების დამარცხება, საკუთარი პატრიოტული გრძნობების დაქმაყოფილება და საქართველოს სახელის დროშასავით აფრიალება. საქართველოს ყოველი გამარჯვება გოგი დემეტრაძისა და მისი მეგობრებისათვის უდიდესი ბედნიერების, სიამაყის, წარმატებების დღეები იყო.

ბუნებით ალალმა, ემოციურმა გოგიმ მაგარი კამათიც იცოდა და თავის დაცვაც. ფიზიკურად ძალიან ძლიერი ბიჭი სტუდენტობისას მეორე კურსზე უნივერსიტეტის ჩემპიონიც გახდა კრივში, უმჩატეს წონაში გამოილოდა. შემდეგ მეგობრები ეხუმრებოდნენ – მეტოქე არ გამოცხადდა და ისე გახდი ჩემპიონი. – „ასე იყო თუ ისე ჩემპიონი მაინც ჩემპიონია, თუ არ გჯერათ მიღით და ოქვენ ცადეთო“, – პასუხობდა.

გურამ რჩეულიშვილი იხსენებდა ხოლმე: ერთხელ შეკამათებისას გოგი დემეტრაძესთან მეგობრული ჩხუბი მომივიდა, სიმართლე უნდა ვთქვა, ისეთი მოქნილი და ღონიერი იყო ვერაფრით ვერ მოვუგე, ერთმანეთს მაგრად ვუბათქუნეთ, მერე შევრიგდით და ლუდების დასალევად წავედით სამაიას ბალშიო. ამ ამბავს გოგი დემეტრაძეც იხსენებდა, კარგა გვარიანად დავცხეთ ერთმანეთს, მაგრამ ჭორია რჩეულამ მაინც

ჯანსურ ჩარევიანი, ვაჟა ქლებტი, შურა დემეტრაძე, გურამ გეგეშიძე, ზაზა ჩიქოვანი, ნუგზარ წერეთელი, ვერნი ალფაიძე, ვივი თოიძე, თემო ბერიძე, ვოვი ჩიჩუა, თამაზ ოქრუაშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, ბაკურ ბაქრაძე, მერაბ მანჯგალაძე, კოტე ბაქრაძე, ბონდო შოშიტაიშვილი, თენგიზ ზაქარეიშვილი, ნოდარ ცხვირავაშვილი, ომარ ბერაძე, მიტო დანგაძე, ლევან ჭავჭავაშვილი, გურამ კალანდაძე, ვიორგი ბერძენიშვილი, რეზო ხაზარაძე.

დამინდო, თორებ გურამს ჩხუბს ვინ მოუგებდა, ისედაც სხვადასხვა წონითი კატეგორიების წარმომადგენლები ვიყვითო. გურამი ძალიან უყვარდა, უდიდეს მწერლად თვლიდა და ყოველთვის უხაროდა წერილებში ბევრ მეგობართან ერთად მასაც რომ უთვლიდა მოკითხვას.

მეგობრების სული და გული იყო, უამრავი მეგობარი ჰყავდა მამაკაცებშიც და ქალებშიც, თბილისში არ არსებობდა ისეთი წრე ნაცნობები და მეგობრები რომ არ ჰყოლოდა. საერთო ენას ყველგან პოულობდა, ყველა უყვარდა და პატივს სცემდა. ეს თხელი, სპორტული აღნაგობის ტანძორჩილი კაცი არაფერს არ აკლდებოდა, ყველგან ასწრებდა ყოფნას, საკუთარ სიტყვას ამბობდა, გახსნილი, ფართო გულით ცხოვრობდა, უამრავ სიყვარულსა და სიკეთეს იტევდა, ბოლოს სწორედ უსაზღვროდ მოსიყვარულე გულმა უღალატა, ფეხზე მდგარი, მოლაპარაკე, უცებდაცა და მარადისობაში გადაინაცვლა.

გოგი დემეტრაძეს სახელი ლეგენდასავით დარჩა თბილისსა და საქართველოში, ის ყველას დააკლდა. ვერის ულამაზეს ბალშიც მისი სული მუდმივად იტრიალებს, საზოგადოებრიობა, მრავალრიცხოვანი მეგობრები ყოველთვის სიყვარულით გაიხსენებნ საოცარ პიროვნებას გოგი დემეტრაძეს, ვისოგისაც უპირველესი საფიცარი მშობლიური საქართველო იყო.